საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№44 (373)
30 ნოემბერი – 6 დეკემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



«როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს პოლიტიკოსებს აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში?» 8

## კართან მოდგა ოსმალეთი

«ახლო მომავალში თურქეთში ჩამოყალიბდება ძლიერი ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ევროკავშირსაც დაუპირისპირდება და მეზობლების მიმართ გაცილებით რადიკალური გახდება»



5 «რას მოუტანს საქართველოს თურქეთის შესაძლო იზოლაცია ევროპისგან და მისი ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც სულ უფრო აქტიური და ძნელად განსაჭვრეტი ხდება?»



«კვირიკაშვილს ვერ გაუგია, რომ 4 წელიწადია, შურისძიებას კი არა, სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ!» 7



9 მამა დავითი (ნოზაძე):

დღეს გმირია ის, ვინც რუსეთთან მოლაპარაკებას შეძლებს, ვინც შემოატრიალებს ამ პროცესებს და დადებით მუხტს შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობაში

## ერთი დოლარი სამ-ნახევარი ლარი გახდება 3



## რა უნდათ საქართველოსგან ამერიკელ «ნეოკონებს»?

4



## «რუსული პროპაგანდის» აბსურდულობის შესახებ 10

## ბიძინა ივანიშვილის წერილი დონალდ ტრამპს 6

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კახა კალაძე: ხუდონჰესის პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს



**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატ კახა კალაძის განცხადებით, მთავრობა „ხუდონჰესის“ საკითხზე ახალ კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს.** „ჩვენ ვთანხმდებით, რომ „ხუდონჰესი“ არის ყველაზე ენერგეტიკული პროექტი ქვეყანაში — დაახლოებით 702 მეგავატი სიმძლავრის. მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თუმცა ვიცით, რომ ამ პროექტს აქვს გარკვეული პრობლემები და ეს პრობლემები არის გადასაწყვეტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. ჩვენ ვაპირებთ რამდენიმე ხანში კონკრეტული გეგმა წარმოვადგინოთ ამ პროექტთან მიმართებაში. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს გეგმა ადგილობრივ მოსახლეობასთან იქნება თანხვედრაში, რათა ეს პროექტი განხორციელდეს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ამ პროექტის განხორციელებით ვიძენთ ენერგეტიკულად უმნიშვნელოვანეს პროექტს, ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას“, — განაცხადა კახა კალაძემ.



# ონლაინსესხები აიკრძალება

**პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად მომხმარებელთა უფლებების დაცვის პაკეტს ამზადებს, რომლის თანახმადაც ონლაინსესხების გაცემა აიკრძალება.**

როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, ეს მოთხოვნა საზოგადოებისგან მოდის და მთავრობა აღნიშნულ საკითხზე ეროვნულ ბანკთან ერთად მუშაობას იწყებს. „ეს მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო ჩვენი საზოგადოების მხრიდან. ეს ნაბიჯი გადადგმულია სწრაფი ეკონომიკური განვითრებისთვის“, — აღნიშნა **გიორგი კვირიკაშვილმა.** პრემიერის თქმით, იგეგმება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის გაზრდაც. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მსგავსი ცვლილებები ბიუჯეტში დამატებითი რესურსების მობილიზებას შეუწყობს ხელს, რომელიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.



# საქართველოს ახალი მთავრობა კრიტიკის ქარცეცხლში

**საქართველოს ახალ მთავრობას ოპოზიცია მწვავედ აკრიტიკებს. მისი აზრით, ახალ მთავრობას ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად არანაირი გეგმა არც ჰქონია და არც აქვს. ოპოზიციონერთა განცხადებებით, პარლამენტმა ახალი მთავრობის დამტკიცებით, სამთავრობო კრიზისი დააანონსა.**

„ახალი მთავრობის ამ უნიათო შემადგენლობის წყალობით, 2017 წლის ბოლომდე სამთავრობო კრიზისი გარდაუვალია. მთავრობაში კვლავ ვიხილეთ მინისტრი, რომელიც ეჭვმიტანილია საყდრისის აფეთქებასა და კორუფციულ ტენდერებში; მინისტრი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმების გაგებაში არ არის და კობმლეს „სასამართლო“ პროცესითაა დაკავებული; მინისტრი, რომელიც ლარის გაუფასურებას აბრალებს ხან ბრექსიტის შედეგებს და ხან — მზეზე პროტონების აფეთქებას; ასევე, მინისტრი, რომელიც ფიქრობს, რომ, რაც უფრო მეტი დაუგეგმავი ფული იხარჯება ბიუჯეტიდან, მით ხარჯთეფექტიანია მისი დარგი. ასევე, დაემატა მინისტრი — მედროვეობის კლასიკური ნიმუში — აქტიური ოპოზიციონერი, რომელიც მთავრობას პოლიტპატიმრების არსებობაში ადანაშაულებდა და დღეს მმართველი ძალის აპოლოგეტია. პრემიერმა პირდაპირ განაცხადა, რომ არ უნდა ველოდოთ პენსიების მატებას, არ უნდა ველოდოთ სხვადასხვა დარგში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა ხელფასების მატებას, არ უნდა ველოდოთ ეკონომიკაში წინსვლას, რადგანაც ამ მაჩვენებლებით, 80-100 წელიწადშიც კი ვერ დავეწევით საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა-ახალი საქართველოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **სერგო ჩიხლაძემ**.

ექსპერტ **გიგა ბედინეიშვილის** განცხადებით, მთავრობა არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეკონომიკური ზრდა დააჩქაროს. მისი თქმით, ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს საშინაო ვალების აღება და შეამციროს სამთავრობო ხარჯები. ეს არის ის მინიმუმი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს. ეკონომიკის ექსპერტი **პაატა შეშელიძე** ამბობს, რომ მთავრობის მიერ გაცხადებული ეკონომიკური გეგმა რეალობას არ ასახავს. შეშელიძე მთავრობას და ეროვნულ ბანკს რეკომენდაციებსაც აძლევს. „ეროვნულმა ბანკმა უნდა შეწყვიტოს რეფინანსირების სესხების გაცემა, საერთოდ შეწყვიტოს ლარის მიწოდება ბაზარზე, მთავრობამ უნდა შეწყვიტოს შიდა ვალების დაგროვება,“ — აცხადებს შეშელიძე.



# მიხეილ სააკაშვილი რადას უკანასკნელ ზამთარს დაჰპირდა

**კიევში გაიმართა ოდესის ყოფილი გუბერნატორისა და მისი მომხრეების საპროტესტო აქცია, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმა რადას რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მოითხოვა. ,,თუკი თქვენ კიევში არ ხართ, შეგიძლიათ შემოგვიერთდეთ პირდაპირი ტრანსლაციით ამ გვერდზე. ერთად და გამარჯვებამდე!“ — ასე მიმართა სააკაშვილმა მხადამჭერებს.**

ჩერნოვოლის ძეგლთან ასობით ადამიანი შეიკრიბა. აქციის ლოზუნგი იყო „ამჟამინდელი რადას უკანასკნელი ზამთარი“. აქციის ორგანიზატორებმა დაარიგეს ბუკლეტები „რადას ასი შეუსრულებელი დაპირება“ და „ჩვენი მოთხოვნები“. მიტინგზე შეკრებილებს ხელში უკრაინისა და ევროკავშირის დროშები ეკავათ. ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი პოლიტიკური ძალა შექმნა, რათა მონაწილეობა მიიღოს უკრაინის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში. მისი თქმით, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა მთლიანად უნდა შეიცვალოს. მხარდამჭერებს სიტყვით მიმართა სააკაშვილმა და ხელისუფლებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა მოსთხოვა. მან ამ მოთხოვნით მთელ უკრაინაში ხალხის მობილიზების დაწყების შესახებ განაცხადა. დნეპროპეტროვსკის მერი — **ბორის ფილატოვი** ოდესის ყოფილი გუბერნატორის ექსტრადიციას მოითხოვს. მისი მწვავე რეაქცია მიხეილ სააკაშვილის მიერ კიევში საპროტესტო აქციაზე გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა. ექსგუბერნატორმა განაცხადა, რომ დეცენტრალიზაცია უკრაინაში კორუფციას კიდევ უფრო გაზრდის. ფილატოვის თქმით, თუ სააკაშვილს ასეთი პოზიცია აქვს, თვითონაც ჩაეწერება მათ სიაში, ვინც სააკაშვილის ექსტრადირების მომხრეა.

გიორგი კვირიკაშვილი:

# ამ ტემპით ჩვენი ქვეყანა განვითარებულ ქვეყნებს 100 წელიწადში ვერ დაეწევა



**„გიდასტურებთ, რომ 100 წელი ვერ დაეწევა ჩვენი ქვეყანა განვითარებულ ქვეყნებს ამ ტემპით“, — ასე უპასუხა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის — გიგა ბოკერიას კითხვას დაბალი ეკონომიკური ზრდის შესახებ.**

კვირიკაშვილის თქმით, ქვეყანა შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობით გეგმავს. „სწორედ იქით არის მიმართული ჩვენი რეფორმები და ჩვენი ნაბიჯები, რომლებსაც ვგეგმავთ. თქვენი უფლებაა, ამას დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა: ქვეყანაში მოსახლეობა უკეთესობას ვერ იგრძნობს, სანამ მთლიანი შიგა პროდუქტი არ იქნება აღმოსავლეთ ევროპის მაჩვენებლების დარი მაინც, ამიტომ გვჭირდება უფრო მეტი ზრდა და სწორედ ამიტომ გვჭირდება ის ცვლილებები, რომლებიც დღეს წარმოვადგინეთ“, — თქვა პრემიერმა. კვირიკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობამ ეკონომიკური ზრდის მიმართულებით გარკვეული „მსხვერპლი“ გაიღო, როდესაც ბიუჯეტის სტრუქტურა შეცვალა და ჯანდაცვის ხარჯები გაზარდა. „როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, უამრავი პრობლემა დაგვხვდა მოსაგვარებელი, მათ შორის: რიგითი ადამიანების სოციალური ყოფა, ჯანდაცვის პრობლემები; ქვეყანა იყო იმ მდგომარეობაში, რომ ადამიანები ვერ მკურნალობდნენ, ვერ მიდიოდნენ საავადმყოფოში, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ჩვენ ამ პრობლემებს მივხედეთ. ასეთი დაბალანსებისკენ მიმართული ნაბიჯები, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად მოითხოვს ეკონომიკური ზრდის მიმართულებით მსხვერპლს. ეს არის ჩვეულებრივი ეკონომიკური განვითარების პრინციპი, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ“, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

# პავლე კუბლაშვილი ემიჯნება «გირჩის» პოლიტიკურ განცხადებებს



**პავლე კუბლაშვილმა პოლიტიკა დატოვა. იგი სრულად ემიჯნება აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელების პოლიტიკურ განცხადებებს დ მოსაზრებებს. მან 24 ნოემბერს დაარეგისტრირა კომპანია Key Points consalting-ი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს გაუწევს იურიდიულ კონსულტაციებს, საადვოკატო მომსახურებას.**

„არ ვაპირებ პარალელურად საჯარო პოლიტიკური აქტივობის გაგრძელებას. ეს ხელს შეუშლიდა ჩემ საქმიანობასაც და პარტიასაც. ამიერიდან ნებისმიერი საჯარო განცხადება ჩემი მხრიდან იქნება პირადად ჩემი პოზიცია და არ უნდა იყოს გაგებული, როგორც „გირჩის“ ხედვა და პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე“. ვრჩები „გირჩის“ რიგით მხარდამჭერად და ყოველთვის ვიქნები ზურა ჯაფარიძისა და თითოეული „გირჩელის“ გვერდით. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვისთან ერთად ან ვისთან ოპონირებისას მიმიღია მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჟურნალისტებს, რომელთა გარეშეც მე ვერ ვიქნებოდი საჯარო ფიგურა. შევხვდებით აუცილებლად, ახლა უკვე კერძო სექტორში“, — ნათქვამია პავლე კუბლაშვილის განცხადებაში.

„რა დღეშია ლარი? მაგრამ ერთი სიტყვა არ უთქვამთ, რას აპირებენ და რა იქნება უახლოეს მომავალში, თუმცა რა უნდა თქვან, ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა არ არის, ეროვნული ვალუტა რამ უნდა გააძლიეროს?!“

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თამარ იოვაშვილი: ერთი დოლარი 3,5 ლარს გაუტოლდება



**საზოგადოების ყურადღება რამდენიმე დღეა, საქართველოს პარლამენტისკენ არის მიპყრობილი. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ახალ მთავრობას ამტკიცებენ და ყველანი მათ სამომავლო გეგმებს ვისმენთ. მოვისმინეთ ლანძღვა-გინება, ქება-დიდება, მაგრამ არ მოგვისმენია, რას აპირებს მთავრობა უმუშევრობის, უსახლკარობის, ულუკმაპურობის აღმოსაფხვრელად და ლამის კუპონად ქცეული ეროვნული ვალუტის დასახმარებლად. გვესაუბრება ორგანიზაცია „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი:**

**— თამარ, დიდი ხანია, უსახლკაროთა და უმუშევართა პრობლემებით ხართ დაკავებული. დიდია, ასეთი ადამიანების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში?**

— ეს უდიდესი პრობლემაა. გეტყვით მონაცემებს, რომლებიც შეგზარავთ. მხოლოდ თბილისის მასშტაბით 12 000 ოჯახი უსახლკაროდ არის დარჩენილი, ანუ მათ რეგიონშიც არ აქვთ მიწის პატარა ნაკვეთიც კი, ხოლო 86 ათასი ოჯახი გამოსახლების მოლოდინშია და ეს მხოლოდ თბილისში. ასეთივე ვითარებაა ქუთაისშიც. ბათუმში — 2 500 ოჯახი, ხოლო ჭიათურაში 2 000 ოჯახია უსახლკაროდ დარჩენილი. უსახლკარო ოჯახების 30% შვილიანია, თანაც უმრავლესობა მრავალშვილიანი ოჯახია.

— **სოციოლოგმა ზურაბ ბიგვავამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ძალიან ცუდია, როდესაც გაზეთებში სულ ნეგატიურ მოვლენებზე წერენ, რადგან ეს საზოგადოებას უიმედობის განცდას უტოვებსო... ფიქრობთ, რომ ამ პრობლემებზე ხმამაღლა არ უნდა ვისაუბროთ, რათა სხვა, „ბედნიერ“ ოჯახებსაც, არ „გავუფუჭოთ“ გუნება?**

— ასეთ მტკივნეულ თემებზე უფრო მეტი უნდა ვისაუბროთ, თანაც ამაზე მხოლოდ გაზეთები თუ წერენ, თორემ ტელევიზიებში ჩვენი წამყვანები ხან პარიზიდან გვესალმებიან, ხან ლონდონიდან და იქაურ ბოჰემურ ცხოვრებას გვიჩვენებენ. ასე უნდათ, მიჩქმალონ არსებული რეალობა? სჯობს, სიმართლეს თვალებში ჩახედონ.

თანაც ბიგვავამ ეგ რატომ თქვა? **თვითონ ხომ აქვეყნებენ „ბედნიერ“ სტატისტიკას, რომ ქვეყანაში 768.000-ზე მეტი უმუშევარი არ გვყავს. კეთილი ინებოს ყველა „დასაქმებულმა“ და „წარმატებულმა“, წაიკითხონ, მოიკითხონ, დაინტერესდნენ, რა ხდება მათ ქვეყანაში. სოლიდარობა გამოიჩინონ, არავინ იცის, ვის რა ელოდება.**

25 წელიწადზე მეტია, ვადით თუ ვადაზე ადრე, ვირჩევთ ახალ-ახალ ხელისუფლებებს და არც ერთ მათგანს მოქალაქის დაცვაზე არ უზრუნია, არც ერთი კანონი არ გვაქვს ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული.

**— არც ახალარჩეული მთავრობისგან მოგისმენიათ რაიმე საიმედო?**

— არაფერი, ყურადღებით ვისმენდი ყველაფერს. არც არაფერი შეიცვლება, რადგან არ სხედან იქ ის ადამიანები, რომლებიც ხალხზე იზრუნებენ. ისინი არიან მარიონეტები, რომლებსაც ხელის აწევა-დაწევა ევალებათ. წინასაარჩევნო დაპირება პირველივე პარლამენტის სხდომაზე უარყვეს, **პრემიერმა თქვა, რომ პენსია არ გაიზრდება. რა დღეშია ლარი? მაგრამ ერთი სიტყვა არ უთქვამთ, რას აპირებენ და რა იქნება უახლოეს მომავალში, თუმცა რა უნდა თქვან?! ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა არ არის, ეროვნული ვალუტა რამ უნდა გააძლიეროს?!** ველოდები, რომ ერთი დოლარი 3,5 ლარს გაუტოლდება, თანაც მალე და ამაზე არ ვილაპარაკოთ, უნდათ დავდუმდეთ, იმიტომ, რომ დოლარების პატრონები არ გავალიზიანოთ?!

**„საქსტატმა“ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, უმუშევრობამ 0,1 პროცენტით იკლო, მაგრამ რატომ, არ ამბობენ. ხალხი მასობრივად ტოვებს ქვეყანას და ამიტომ იკლო უმუშევრობამ.**

სახელმწიფომ არ შეიძლება ყოველთვის ბიზნესმენისა და დამსაქმებლის ინტერესები დაიცვას.

**კეთილი ინებონ, ბიუჯეტი სწორად გაანაწილონ, მოიკლონ დროსტარება, პრეზიდენტი სასახლიდან გამოიყვანონ, პარლამენტი თბილისში გადმოიტანონ, უაზრო კონცერტში 30 მილიონი არ დახარჯონ და პრობლემა მოგვარდება. 10 მილიონია საჭირო, რომ ამ ქალაქში უსახლკაროდ არავინ იყოს.**

**«კეთილი ინებონ, ბიუჯეტი სწორად გაანაწილონ, მოიკლონ დროსტარება, პრეზიდენტი სასახლიდან გამოიყვანონ, პარლამენტი თბილისში გადმოიტანონ, უაზრო კონცერტში 30 მილიონი არ დახარჯონ და პრობლემა მოგვარდება. 10 მილიონია საჭირო, რომ ამ ქალაქში უსახლკაროდ არავინ იყოს»**

**აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში არასრულწლოვანთა დასაქმების კუთხითაც მძიმე მდგომარეობაა, ამ საკითხზე ეკონომიკის ექსპერტი — იოსებ არჩვაძე გვესაუბრება:**

— საქსტატის მონაცემებით, საქართველოში 5-დან 17 წლამდე 577 200 ბავშვია და, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მათი 4,2 პროცენტი, ანუ 24 ათასზე მეტი ბავშვთა შრომაშია ჩართული. ბავშვთა შრომა ისეთ შრომას ეწოდება, რომელიც ბავშვებს ართმევს ბავშვობას და მავნეა მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის. აღმოჩნდა, რომ ბავშვთა შრომაში ჩართულია ბავშვების 64 პროცენტი, ანუ 16 ათასამდე ბავშვი. მათი უმრავლესობა (9 ათასი ბავშვი) ღამის საათებში მუშაობს, 5 500 — სახიფათო გარემოში, ხოლო 4 700 — სახიფათო ინსტრუმენტების, მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების გამოყენებით ან ატარებს მძიმე ტვირთს. ირკვევა, რომ სახიფათო შრომაში ჩართულია ვაჟების 67,4 პროცენტი და გოგონების 51,4 პროცენტი.

**— ბატონო სოსო, პარლამენტარ გიორგი გაჩეჩილაძის გამოსვლაზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა. მან იკითხა, იმდენი დოლარი თუ შემოვა მალე, რომ ლარის გამყარება დასარეგულირებელი გახდეს, მთავრობა ამისთვის თუ არის მზადო?**

— რა უნდა ვთქვა ამ „ბრავადულ“, საფუძველს მოკლებულ ნათქვამზე.

მიხოსა და მაროზე ანეკდოტისა არ იყოს, ნეტავ, მთავრობამ „ობიაზატელნიში“ ივარგოს (ლარის სტაბილურობა) და მათგან „პრაიზვოლნის“ (ლარის მეტისმეტი გამყარება) აღარ მოვითხოვთ...

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# ლარი რეკორდულ მინიმუმამდე გაუფასურდა



**ეროვნულმა ბანკმა 26 ნოემბერს ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ერთი დოლარის ოფიციალურმა ფასმა 2.5026 ლარს მიაღწია. ეროვნული ვალუტა ევროს მიმართაც გაუფასურდა. ლარის გაუფასურების წინა პიკი მიმდინარე წლის 28 იანვარს აღინიშნა, მაშინ ერთი დოლარი 2.499 ლარი ღირდა.**

„ძალიან განვიცდით, რომ მოსახლეობისთვის ლარის კურსი არის მტკივნეული“, — განაცხადა პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი კვირიკაშვილმა** საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრაზე. მისივე თქმით, ლარი, სხვა ქვეყნის ვალუტებთან შედარებით, ნაკლებად გაუფასურებულია დოლარის მიმართ. „ლარის მსყიდველუნარიანობა დოლარის მიმართ კურსით არ განისაზღვრება. ლარის მსყიდველუნარიანობა ინფლაციის მაჩვენებლით განისაზღვრება. მეორე საკითხია, რომ ლარის დევალვაცია, რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია ჩვენი მოსახლეობისთვის, დოლარიზაციის მაღალი დონიდან და იქედან გამომდინარე, რომ საკრედიტო პორტფელის 63%-ზე მეტი დოლარიზებულია. ამას ბევრი მიზეზი აქვს. მიზეზთა შორის არის ის, რომ დღეს რეგიონში ყველა ვალუტა, ჩვენი ყველა სავაჭრო პარტნიორის ვალუტა დოლარის მიმართ გაუფასურებულია. არის დოლარის გამყარების ტენდენცია. რა თქმა უნდა, მიზეზები არის იმ აჟიოტაჟშიც, რომელიც ქვეყანაში ხელოვნურად იქმნება — თემა ახალი ამბებიდან არ ჩამოდის და ხელოვნური ხელშეწყობა ხდება. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ლარის გაუფასურებაში ბრალი მხოლოდ ოპონენტებს დავდო, მაგრამ მგონია, რომ ეს ყველა ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ეს ის საკითხია, სადაც მეტი კონსოლიდაცია უნდა იყოს, მისი გადაჭრის მიმართულებით“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.




# «აუდიტორია 115»-მა პროტესტის რადიკალურ ზომებს მიმართა



**თსუ-ს მეექვსე კორპუსთან პიკეტი მოეწყო, პირველ კორპუსთან კი მასშტაბური აქცია გაიმართა. ასე გააპროტესტეს „აუდიტორია 115“-ის წევრებმა 28 ნოემბერს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები. ისინი მთავრობასა და პარლამენტს 5-პუნქტიან მოთხოვნას უყენებენ. აქციის ორგანიზატორები სტუდენტური თვითმმართველობის არსებული მოდელის დაფინანსების წესის შეცვლასა და საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციას ითხოვენ. სტუდენტები თსუ-ს მეექვსე კორპუსში ღამით შეიჭრნენ და ორივე შესასვლელი მერხებით ჩახერგეს.**

„ბუნებრივია, ვეთანხმები, რომ ყველა სტუდენტი თანასწორია, მაგრამ პროტესტის ფორმა არ მომწონს“, — განუცხადა ჟურნალისტებს თსუ-ს რექტორმა **გია შარვაშიძემ**. მისი თქმით, თსუ-ში თვითმმართველობის არჩევნები ჩვეულებრივ გარემოში ჩატარდა. „ყველამ კარგად იცოდა, რომ 25 ნოემბერს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. რაც შეეხება პროტესტის ფორმას, ეს მიუღებელია. ავტონომიის პრინციპის გაზრდით უნდა მოხდეს კანონმდებლობის გაუმჯობესება. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის შესაბამისად, მისი სრული დაცვით“, — აღნიშნა შარვაშიძემ. როგორც რექტორმა თქვა, იმისთვის, რომ პრივილეგირებული ჯგუფები აღარ იყოს, ყველაფერი გაკეთდა ამ ორი თვის განმავლობაში, მათ შორის თანხებთან დაკავშირებით. თსუ-ს პირველი კორპუსის ოთხივე საარჩევნო უბანზე თვითმმართველობის არჩევნები შეწყდა. ოთხივე უბნის შესასვლელი „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმა გადაკეტეს.

„აუდიტორია 115“ რექტორისგან მოითხოვს, საჯაროდ მხარი დაუჭიროს მათ ლეგიტიმურ მოთხოვნებს, დააჩქაროს პროცესები და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ჯგუფის მუშაობას. ისინი ასევე მოითხოვენ, რომ რექტორი დადგეს არა პოლიტიკური პარტიებისა და მანკიერი სისტემის, არამედ სტუდენტების მხარეს. ისინი მოითხოვენ, სასწრაფოდ გაიზარდოს სტუდენტური საცხოვრებლების რაოდენობა და დაიწყოს უკვე არსებული საცხოვრებლების რეაბილიტაცია. „აუდიტორია 115“ განაგრძობს პროტესტის რადიკალური ფორმით გამოხატვას და რჩება უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში.

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის ლიბერალური ჯგუფები, რომლებიც ქართველმა ამომრჩეველმა 8 ოქტომბერს ისტორიის სანაგვეზე მოისროლა, პოლიტიკურ ავანსცენაზე დაბრუნების გზებს ეძებენ და ვაშინგტონში ამას კარგად ხედავენ. ამიტომ ივანიშვილის ხელისუფლება არ არის დაზღეული იმისგან, რომ ამერიკული მხარე „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული კრიზისისას მკვეთრ განცხადებებს არ გააკეთებს. არც ბიძინა ივანიშვილს, არც ქართულ საზოგადოებას, ალბათ, არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ამერიკელები თამაშის წესებს ან ადრე მიღწეულ შეთანხმებებს დაიცავენ.**

**საქართველო კვლავ ამერიკელი „ნეოკონსერვატორების“ ყურადღების ცენტრშია. აშშ-ის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დონალდ რამსფელდმა ჩვენი ქვეყნის შესახებ „უოლ სტრიტ ჯორნალში“ საკმაოდ დამაფიქრებელი წერილი გამოაქვეყნა. უახლოეს მომავალში კი საქართველოში სენატორი ჯონ მაკკეინი ჩამოვა. საინტერესოა, რამ განაპირობა „ძველი ნაცნობების“ გააქტიურება.**

# რა უნდათ საქართველოსგან ამერიკელ «ნეოკონებს»?



**შეჩერებულია როგორც «ნატოს კარზე კაკუნის», ისე რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი – ხელისუფლება, ფაქტობრივად, ელოდება რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლას და პასიურობს, რადგან საბედისწერო შეცდომის დაშვების ეშინია. ვინაიდან აშშ-ს არ შეუძლია ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგობა დაძლიოს, ოფიციალური თბილისიც მაპზე საუბრით დიდად არ აწუხებს, რადგან ამ თემის მუდმივი პედალირება საქართველოში ანტიამერიკულ განწყობებს ზრდის**

## რამსფელდის გეგმები და ილუზიები

დონალდ რამსფელდის ბოლო ვიზიტი საქართველოში ამა წლის ივნისში შედგა — მისმა ფონდმა თბილისში „კავკასია-ცენტრალური აზია-ავღანეთი-მონღოლეთის რეგიონული ფორუმი“ ჩაატარა. ამ ღონისძიებას საქართველოს პრემიერმინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე დაესწრნენ. პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** კი დონალდ რამსფელდს ავლაბრის რეზიდენციაში უმასპინძლა და **ზალმაი მამოზი ხალილზადთან** („ხალილზად ასოსიეიტის“ პრეზიდენტი) ერთად ის „საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებში შეტანილი პირადი წვლილისთვის“ ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოვა.

დონალდ რამსფელდმა თანამდებობა 2006 წელს დატოვა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონია, ამიტომ ბუშის ადმინისტრაციაზე საუბრისას მას საქართველოში გაცილებით იშვიათად ახსენებენ, ვიდრე **კონდოლიზა რაისს** ან, მაგალითად, **დიკ ჩეინის**. უნდა აღინიშნოს, რომ ის ყოველთვის იყო საქართველოს ნატოში სწრაფი გაწევრების მომხრე და პირველად ამაზე ჯერ კიდევ 2003 წლის დეკემბრის დასაწყისში მიანიშნა, როდესაც თბილისში ახალი ხელისუფლების მიმართ თეთრი სახლის მხარდაჭერის გამოსახატავად ჩამოვიდა.

გასულ კვირას გამოქვეყნებულ წერილში რამსფელდი ახალ ადმინისტრაციას მოუწოდებს, მხარი დაუჭიროს საქართველოს ფორსირებულ ინტეგრაციას ნატოში. ,,პირველ რიგში, უნდა აღმოიფხვრას ყველა ბარიერი საქართველოს ნატოს წევრობის გზაზე და საქართველომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს მაპი. საქართველომ გადაიხადა თავისი საფასური — ქართველი ჯარისკაცები ამერიკელ და ნატოელ ჯარისკაცებს გვერდით უდგანან ავღანეთსა და ერაყში. რუსეთი პრეტენზიებს აყენებს, რომ საქართველოს წევრობა ნატოში პროვოკაცია იქნება. რუსეთის შესაძლო რეაქციამ ნატოს ზოგიერთი წევრი დაარწმუნა, რომ საქართველოს სვლა ნატოსკენ უნდა გადაიდოს. ნატოს ბოლო სამიტებზე არაერთხელ აღინიშნა საქართველოს წვლილი დასავლეთის უსაფრთხოებაში. ახლა მოქმედების დროა. დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესები არ უნდა იქნას მძევლად აყვანილი რუსეთის უკმაყოფილების გამო... ამერიკის სასიცოცხლო ინტერესები ფსონზე დევს საქართველოში. საქართველო ის მოკავშირეა, რომელიც ჩვენ გვჭირდება“, — წერს აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრი (“ინტერპრესნიუსის” თარმანი).

საგულისხმოა, რომ წერილში არაფერია ნათქვამი ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგობის დაძლევის გზებზე. **ბუშის** ადმინისტრაციამ ეს ვერ მოახერხა — ვერც აგვისტოს ომამდე (ბუქარესტის სამიტზე) და მით უმეტეს — მის შემდეგ. მსგავსი გადაწყვეტილებები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში კონსენსუსის საფუძველზე მიიღება და არანაირი მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ვაშინგტონს, გვერდი აუაროს გერმანია-საფრანგეთის არაფორმალურ ვეტოს, არ არსებობს. დონალდ რამსფელდი ტრამპის ადმინისტრაციას სთავაზობს, ფაქტობრივად, ჩიხში შევიდეს, რადგან მისი გეგმა სრულიად უპერსპექტივოა, ისევე, როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — **მევლუთ ჩავუშოღლუს** წინადადება ნატოში საქართველოს გაწევრებაზე მაპის მინიჭების გარეშე, რადგან „ძველი ევროპის“ წარმომადგენლები მედგარ წინააღმდეგობას ამ შემთხვევაშიც გაწევენ. რა საჭიროა იდეა, რომლის ხორცშესხმა შეუძლებელია, და მასზე დაფუძნებული ილუზიები?

ამ გზავნილში ორი საინტერესო ქვეტექსტია — რამსფელდი ცდილობს, ხელი შეუწყოს თეთრი სახლის ძალისხმევას და გარკვეული წვლილი შეიტანოს აშშ-ის პოსტსაბჭოთა პარტნიორების დამშვიდებაში, რომლებიც ტრამპის არჩევის შემდეგ შიშობენ, რომ ამერიკელებმა შეიძლება მიატოვონ. ამასთანავე, ამერიკული ისტებლიშმენტის ნაწილს სურს, გააღრმავოს „ახალი ცივი ომი“ და ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთთან მწვავე კონფრონტაციაში ჩართოს. როგორც ჩანს, დონალდ რამსფელდიც ამ მიმართულებით მუშაობს.

## მაკკეინის ჯვაროსნული ლაშქობა

ესტონეთი-უკრაინა-საქართველო — ასეთი იქნება სენატორების — **ჯონ მაკკეინისა** და **ლინდსი გრემის** ვიზიტის მარშრუტი; „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, ისინი ჩამოთვლილ ქვეყნებში დონალდ ტრამპის ინაუგურაციამდე ჩავლენ. იქვე ნათქვამია, რომ მნიშვნელოვან ბარიერად „ახალი გადატვირთვისთვის“ შეიძლება სწორედ ამერიკელი კანონმდებლების პოზიცია იქცეს. აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ერთი გარემოება — რამსფელდი, მაკკეინი და სხვები ვერ მოუწოდებენ ტრამპის ადმინისტრაციას, აქტიურად იმოქმედოს რუსეთის საზღვრებთან, თუ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობა შესაბამის სიგნალებს არ გააძლიერებს — „გაგვაწევრეთ ნატოში!“, „მოგვეცით იარაღი!“ და ა.შ., მაგრამ ამერიკელების შესაძლო უკანდახევით შეშფოთებული პროდასავლელი ლიდერები აღმოსავლეთ ევროპაში ცდილობენ, ზედმეტად არ გააღიზიანონ კრემლი მაშინ, როდესაც მიზნის მიღწევა (მაგალითად, ნატოში გაწევრება) შეუძლებელია. ეს რეალური პრობლემაა ნეოკონსერვატორებისთვის და მის გადაწყვეტას ცდილობენ.

ყველაზე კარგად მათ **მიხეილ სააკაშვილი** გაუგებდათ, მაგრამ ის ამჟამად „ოფსაიდშია“, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. საინტერესოა, რა რჩევას მისცემს ჯონ მაკკეინი გახლეჩის პირას მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, რომლებთანაც მრავალწლიანი პარტნიორობა აკავშირებს. არც ისე მცირეა იმის ალბათობა, რომ გარკვეული ფორმით მხარდაჭერას **ბოკერიას** ჯგუფის მიმართ გამოხატავს, თუმცა მისი მთავარი ადრესატი ხელისუფლება იქნება, სწორედ მისგან შეეცდება, მიიღოს მკვეთრად ანტირუსული პოზიციის გამოხატვა, რომელიც ნატოში გაწევრებისა და იარაღის მოწოდების მოთხოვნით დაგვირგვინდება. „ნაცმოძრაობის“ ფაქტორი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, რადგან ეს პარტია კრიზისშია და ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი ხელშესახებ პერსპექტივაში არ ექნება.

მსგავს სიტუაციებში ივანიშვილის ხელისუფლება, როგორც წესი, როლების განაწილების ტაქტიკას მიმართავს. რამდენიმე მაღალჩინოსანი, მაგალითად, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი მკვეთრ პროდასავლურ და ანტირუსულ განცხადებებს აკეთებენ, ხოლო პრემიერმინისტრი და კიდევ რამდენიმე ფიგურა მათ მოგვიანებით „აბალანსებენ“, არბილებენ და ცდილობენ, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მისთვის სასურველი მესიჯი მიიღოს. ამასობაში, რეალურად შეჩერებულია როგორც „ნატოს კარზე კაკუნის“, ისე რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი – ხელისუფლება, ფაქტობრივად, ელოდება რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლას და პასიურობს, რადგან საბედისწერო შეცდომის დაშვების ეშინია. ვინაიდან აშშ-ს არ შეუძლია ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგობა დაძლიოს, ოფიციალური თბილისიც მაპზე საუბრით დიდად არ აწუხებს, რადგან ამ თემის მუდმივი პედალირება საქართველოში ანტიამერიკულ განწყობებს ზრდის, მაგრამ რამსფელდს, მაკკეინსა და მათ უკან მდგომ ძალებს სწორედ ახლა სჭირდებათ საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებების ისტერიკული მოწოდებები სასწრაფო დახმარებაზე, რის სანაცვლოდაც, მხარდამჭერი განცხადებებისა და საგაზეთო სტატიების გარდა, რეალურად არაფრის შემოთავაზება არ შეუძლიათ. თუ ივანიშვილის ხელისუფლება შესაბამისი როლის შესრულებაზე უარს იტყვის, მის წინააღმდეგ შეიძლება ერთი პრობლემური თემა გამოიყენონ, მით უმეტეს რომ ამის გაკეთებას, სავარაუდოდ, აშშ-ის ხელისუფლებაც აპირებს.

## ძია სემის ორმაგი თამაში

მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესი დასკვნით სტადიაში შევიდა, აშშ-ის ხელისუფლებამ სხვადასხვა ფორმით არაერთგზის მიანიშნა, წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანიას არავინ უნდა შეეხოს. **ბიძინა ივანიშვილმა** მიიღო ეს სიგნალი და განაცხადა, რომ იმედი აქვს, არჩევნებამდე სასამართლო საბოლოო ვერდიქტს არ გამოიტანს, მაგრამ, თუ ეს მოხდება, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ **ქიბარ ხალვაშმა** ტელეკომპანიის მენეჯმენტი 8 ოქტომბრამდე არ შეცვალოს.

არჩევნების შემდეგ, როდესაც ცხადი შეიქნა, რომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული იურიდიული პროცედურები დასკვნით სტადიაში შევიდა და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ უზენაესი სასამართლო ძალაში დატოვებს ქიბარ ხალვაშისთვის სასურველ გადაწყვეტილებას, აშშ-ის ელჩი საქართველოში **იან კელი** „რუსთავი 2“-ში მივიდა, იქ დახურული შეხვედრა გამართა და განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები მხარს უჭერს მედიის მრავალფეროვნებას“. ტელეკომპანიის გენდირექტორმა **ნიკა გვარამიამ** და მისმა თანამოაზრეებმა აღიქვეს ეს, როგორც ერმნიშვნელოვანი მხარდაჭერა, ხოლო მათი ოპონენტების ნაწილმა — როგორც ჯენტლმენური შეთანხმების დარღვევა ამერიკელების მხრიდან, რადგან წინასაარჩევნო პერიოდი დასრულდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მიანიშნეს „რუსთავი 2“-ის ხელშეუხებლობაზე. ეს კი, მათი აზრით, ივანიშვილის ხელისუფლებას ორ გამოსავალს უტოვებს — ან სასამართლოზე ზემოქმედება მოახდინოს, მისი დამოუკიდებლობა და კანონის უზენაესობის პრინციპი უგულებელყოს და გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, ან წინასწარ შეეგუოს იმას, რომ „დამოუკიდებელი მედიის შეზღუდვისთვის“ გააკრიტიკებენ, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლები, ისე სენატორ მაკკეინის მსგავსი ფიგურები. აშშ-ის ხელისუფლება ქართველ პარტნიორებზე ზემოქმედების კიდევ ერთი ბერკეტის მოპოვების შესაძლებლობას, სავარაუდოდ, ხელიდან არ გაუშვებს. ეს ისტორია, ალბათ, კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ჯენტლმენური შეთანხმება შეიძლება დადო მხოლოდ ჯენტლმენებთან.

ივანიშვილის მოწინააღმდეგეები დღეს ფრიად დასუსტებულები არიან, თუმცა მათი ძალების კონსოლიდაცია შეიძლება სწორედ „რუსთავი 2“-ის გარშემო მოხდეს, მით უმეტეს, თუ დასავლეთიდან სერიოზული მხარდაჭერის იმედი ექნებათ. ის ლიბერალური ჯგუფები, რომლებიც ქართველმა ამომრჩეველმა 8 ოქტომბერს ისტორიის სანაგვეზე მოისროლა, პოლიტიკურ ავანსცენაზე დაბრუნების გზებს ეძებენ და ვაშინგტონში ამას კარგად ხედავენ. ამიტომ ივანიშვილის ხელისუფლება არ არის დაზღეული იმისგან, რომ ამერიკული მხარე „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული კრიზისისას მკვეთრ განცხადებებს არ გააკეთებს. არც ბიძინა ივანიშვილს, არც ქართულ საზოგადოებას, ალბათ, არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ამერიკელები თამაშის წესებს ან ადრე მიღწეულ შეთანხმებებს დაიცავენ.

**ლუკა ნემსაძე**

**თურქებს აღარ აკმაყოფილებთ ვაშინგტონის უსიტყვო მორჩილება და მათი ამბიციები სატელიტობას სცდება. ახალი როლის ძიების პროცესში თურქეთმა შეიძლება საკმაოდ ხისტ, მეტიც, აგრესიულ პოლიტიკას მიმართოს, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ — ქართველი „პროდასავლელები“ რეალობისთვის თვალის გასწორებაზე უარს ამბობენ და თურქეთს კვლავინდებურად მხოლოდ ვაშინგტონის ნების გამტარებლად წარმოაჩენენ. როგორც ჩანს, მათ არ ჰყოფნით გონიერება და გამბედაობა იმისთვის, რომ რეგიონში შექმნილი ახალი სიტუაცია ობიექტურად აღწერონ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კართან მოდგა ოსმალეთი

**ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობა დღითიდღე უარესდება. დიალოგის შეწყვეტა რეალურ საფრთხედ იქცა. რას მოუტანს საქართველოს თურქეთის შესაძლო იზოლაცია ევროპისგან და მისი ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც სულ უფრო აქტიური და ძნელად განსაჭვრეტი ხდება?**



**დიდია ალბათობა, რომ ახლო მომავალში თურქეთში ჩამოყალიბდება ძლიერი ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ევროკავშირსაც დაუპირისპირდება და მეზობლების მიმართ გაცილებით რადიკალური გახდება და ამან ოფიციალურ თბილისს შეიძლება რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგოს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება და საექსპერტო საზოგადოება თურქეთში მიმდინარე პროცესებს გაათმაგებული ყურადღებით უნდა დააკვირდეს**

## მე ვარ თურქი, მაშასადამე – ევროპელი?

24 ნოემბერს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ევროკავშირში თურქეთის გაწევრების თაობაზე მოლაპარაკებების შეწყვეტის რეკომენდაციით. მთავარ მიზეზად დასახელდა რეპრესიები, რომლებსაც ერდოღანის ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ მიმართავს. ევროპარლამენტის მომხსენებლის — **კატი პირის** ინფორმაციით, ბოლო თვეების განმავლობაში შეთქმულების მხარდაჭერის ბრალდებით თურქეთში დევნა განიცადა და სამსახური დაკარგა 110.000-ზე მეტმა ადამიანა, დაიხურა თითქმის ყველა დამოუკიდებელი გამოცემა, ხოლო 145 ჟურნალისტი ციხეში აღმოჩნდა. ამ კონტექსტში, საინტერესო იქნება იმ მონაცემების მოყვანა, რომლებიც გასულ კვირას თურქეთის იუსტიციის მინისტრმა **ბექირ ბოზდაგმა** გამოაქვეყნა — **ფეთჰულა გიულენის** მოძრაობასთან ბრძოლის ფარგლებში დაპატიმრებულია 36951 პირი, გამოძიება სულ 92607 პირით დაინტერესდა; ეს მართლაც უპრეცედენტო მასშტაბებია.

ევროკავშირის კომისარი საგარეო პოლიტიკის საკითხებში — **ფედერიკა მოგერინი** რთულ მდომარეობაში აღმოჩნდა. ევროპარლამენტარების ინიციატივა საფრთხეს უქმნის მოლაპარაკების პროცესს, უპირველესად კი, მარტში მიღწეულ შეთანხმებას მიგრანტების თაობაზე, რომლის ფარგლებში, ევროპის კარიბჭესთან ლტოლვილების „მეცხრე ტალღის“ შეჩერების სანაცვლოდ, თურქეთს ევროინტეგრაციის დაჩქარება, ფინანსური დახმარება და უვიზო რეჟიმი უნდა მიეღო. ბოლო საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია მას შემდეგ, რაც ნოემბრის დასაწყისში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუთ ჩავუშოღლუმ** ბრიუსელს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წაუყენა: თუ წლის ბოლომდე ევროკავშირი უვიზო რეჟიმს არ შემოიღებს, თურქეთი უარს იტყვის შეთანხმებაზე ლტოლვილების რეადმისიის თაობაზეო. ევროკომისიის ხელმძღვანელმა **ჟან-კლოდ იუნკერმა** განაცხადა, რომ თურქეთის მთავრობის მუქარის არ ეშინია და ის თვითონ არის დამნაშავე, რომ პროცესი ჩიხში შევიდა, რადგან არ სურს, შეცვალოს კანონმდებლობის ის მუხლები, რომლებიც მოქალაქეებს ქვეყნიდან თავისუფალ გასვლას უკრძალავს. პარალელურად, ევროკავშირის წარმომადგენლები პრაქტიკულად ყოველდღე ადანაშაულებენ თურქეთის ხელისუფლებას ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში და სანქციების შემოღებასაც კი მოითხოვენ. ვალში არც ერდოღანის ხელისუფლება რჩება, რომელიც ოპონენტებს ტერორიზმის ხელშეწყობაში, თურქეთში აკრძალული „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მხარდაჭერასა და ტყუილში ადანაშაულებს.

ბრიუსელელი მაღალჩინოსნები იძულებულნი არიან, გაითვალისწინონ ევროპელი საზოგადოების შეშფოთება რეპრესიებზე, მაგრამ, ამასთანავე, ისინი წევრი სახელმწიფოების, უწინარესად კი, გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობების ზემოქმედებას განიცდიან, რომლებსაც არ სურთ, შეთანხმება მიგრანტების თაობაზე გაუქმდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური თვალსაზრისით საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას თურქეთის პრობლემებთან არანაირი კავშირი არ აქვს, თუმცა რეალურად პროცესის შეფერხების მთავარი მიზეზია, რადგან საქართველოსთვის (უკრაინასთან ერთად თუ მის გარეშე) უვიზო რეჟიმის მინიჭება თურქეთის იგნორირების პირობებში ერდოღანის ხელისუფლებისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იქნება და კონსენსუსის შესაძლებლობას მინიმუმამდე დაიყვანს.

## „გაფართოება“ და „დაბრუნება“

თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების დაკვირვების პროცესში შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ერდოღანის მთავრობა ცდილობს, რაც შეიძლება რადიკალური განცხადებები გააკეთოს. ამას, სავარაუდოდ, რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი არქიტექტორი, ყოფილი პრემიერმინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავუთოღლუ თავის მონოგრაფიაში „სტრატეგიული სიღრმე“ (2001) მიუთითებს იმაზე, რომ მისი ქვეყანა წლების განმავლობაში ცდილობდა, დაეფუძნებინა საგარეო პოლიტიკა **ათათურქის** პრინციპზე „მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მთელ მსოფლიოში”. ის ფრიად იდეალისტურად გამოიყურება, თუმცა მის უკან სავსებით პრაგმატული გათვლა იდგა — იმ პერიოდში, როდესაც წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოები ძლევამოსილების პიკზე იმყოფებოდნენ, ქემალისტური თურქეთი ცდილობდა, მათთან შეჯახების საფრთხე მინიმუმამდე დაეყვანა. ამას მოჰყვა ორი მთავარი შედეგი — თურქეთმა „ურისკო საგარეო პოლიტიკის“ გატარება დაიწყო, ფაქტობრივად, უარი თქვა ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე და საგარეო გამოწვევების მიმართ ტაქტიკური რეაგირების რეჟიმში გადავიდა. ამასთანავე, მან მჭიდროდ დაუკავშირა თავისი მომავალი ნატოსა და ევროკავშირს და დამოუკიდებელი რეგიონული პოლიტიკის გატარებაზე უარი თქვა. ამან, საბოლოო ჯამში, თურქეთი აშშ-ის სატელიტად გადააქცია, მისი ავტორიტეტი კი რეგიონში მკვეთრად დაეცა.

დავუთოღლუ თურქეთის პოლიტიკურ ელიტას ამ მიდგომის გადახედვისკენ, ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირებისკენ მოუწოდებდა, მით უმეტეს, რომ ამისთვის შესაბამისი წინაპირობები გაჩნდა. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თურქეთის ეკონომიკა სწრაფად განვითარდა და მსოფლიო ეკონომიკების ტოპ-ოცეულში შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ლიდერ ქვეყნებთან შედარებით ბევრი სასარგებლო წიაღისეული არ აქვს და არც თანამედროვე ტექნოლოგიებს ფლობს. განვითარების ტემპი XXI საუკუნის დასაწყისში ისეთი მაღალი იყო, რომ 2023 წლისათვის თურქეთის ხელისუფლებამ მთავარ მიზნად დასახა წამყვანი ეკონომიკების ტოპ-ათეულში შესვლა. ეკონომიკური გაძლიერების ფონზე გაჩნდა გაცილებით ამბიციური საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა და სურვილი, მით უმეტეს, რომ რეგიონში მასშტაბური კრიზისი დაიწყო, ხოლო წამყვანი მოთამაშეების მდგომარეობა გართულდა.

ყოველივე ეს აისახა ერდოღანის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის სტილსა და რიტორიკაზე, „ძლიერებთან ამა ქვეყნისა“ კომუნიკაციისას ის გაცილებით თამამი გახდა. აქ მნიშვნელოვან როლს ფსიქოლოგიური, სუბიექტური მოტივები, თვითდამკვიდრებისა და მრავალწლიანი დუმილის კომპენსირების სურვილი ასრულებს. ამასთანავე, გადატრიალების მცდელობის შემდეგ ერდოღანი მოწადინებულია, მოსახლეობის თვალში ძლიერ ლიდერად წარმოჩნდეს. მან უკვე გააგებინა მსოფლიოს, რომ თურქეთის ძველი საგარეო პოლიტიკა, რისკების მინიმიზაციითა და დამამშვიდებელი რიტორიკით, აღარ დაბრუნდება, თუმცა მისი ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკის კონტურები ექსპერტებისთვის კვლავინდებურად ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, რომ დავუთოღლუმ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასახა „ნული პრობლემა მეზობლებთან“, მის ნაშრომში გვხვდება ისეთი ტერმინებიც, როგორიცაა **„აჩილიმი“,** რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „გავლენის სფეროების გაფართოება“ და **„დენიუში“,** ანუ „დაბრუნება“, ხოლო ჩარღმავება ამ საკითხში ცხადყოფს, რომ „ნულ პრობლემაში“ იგულისხმება პრობლემების გადაწყვეტა ისე, როგორც ეს თურქეთის ხელისუფლებას წარმოუდგენია და ამის ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს მისი მოქმედება სირიასა და ერაყში.

## ოსმალეთი თუ თურქეთი?

დავუთოღლუ მიიჩნევს, რომ პოლიტიკური აზრი თურქეთში ოთხი ძირითადი მიმართულებით ვითარდება, მათ შორისაა: **1. ახალი ოსმანიზმი; 2. ახალი ისლამიზმი; 3. რადიკალური პროდასავლურობა; 4. თურქიზმი.** ის მიიჩნევს, რომ სავსებით შესაძლებელია თურქეთის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება ამ ოთხი ვექტორის სინთეზის საფუძველზე; მეტიც, ეს აუცილებელია, რადგან თითოეული მათგანი მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს.

ჩავუშოღლუ წინააღმდეგია იმისა, რომ მის მიერ შემუშავებულ საგარეო კურსს, ნეოოსმანური უწოდონ, მაგრამ უამრავი ექსპერტი ამას მაინც აკეთებს და, შესაძლოა, ხედავს კიდეც გარკვეულ კავშირს დღევანდელ თურქეთსა და ძველ იმპერიას შორის, ყოველ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ თურქული „პროდასავლურობა“, რომელიც ქემალისტური იდეების ტრიუმფის პერიოდში სასათბურე პირობებში ვითარდებოდა, დღეს, განსაკუთრებით კი გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ნაკლებად პოპულარულია. აშკარაა, რომ თურქებს აღარ აკმაყოფილებთ ვაშინგტონის უსიტყვო მორჩილება და მათი ამბიციები სატელიტობას სცდება. ახალი როლის ძიების პროცესში თურქეთმა შეიძლება საკმაოდ ხისტ, მეტიც, აგრესიულ პოლიტიკას მიმართოს, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ — ქართველი „პროდასავლელები“ რეალობისთვის თვალის გასწორებაზე უარს ამბობენ და თურქეთს კვლავინდებურად მხოლოდ ვაშინგტონის ნების გამტარებლად წარმოაჩენენ. როგორც ჩანს, მათ არ ჰყოფნით გონიერება და გამბედაობა იმისთვის, რომ რეგიონში შექმნილი ახალი სიტუაცია ობიექტურად აღწერონ.

ერდოღანი აგრძელებს მწვავე კამათს ევროპელ ჩინოვნიკებთან და მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირის „მოსაცდელში“, სადაც მისმა ქვეყანამ ათწლეულები გაატარა, გაჩერებას აღარ აპირებს. მან განაცხადა, რომ თურქებმა საკუთარი დამოკიდებულება ევროინტეგრაციის მიმართ შეიძლება მომავალ წელს საგანგებოდ დანიშნულ რეფერენდუმზე გამოხატონ. თუ თურქეთის გაწევრება ევროკავშირში დღის წესრიგიდან მოიხსნება, საქართველოს ევროინტეგრაციული პერსპექტივები პრაქტიკულად განულდება, რადგან ის არა მხოლოდ რუსეთის, არამედ თურქეთის ინტერესებსაც შეეწინააღმდეგება. ნაკლებად სავარაუდოა, ასეთ ვითარებაში ევროკავშირის მესვეურებმა თავი გადადონ და ყველა პოლიტიკური თუ გეოგრაფიული ფაქტორის უგულვებელყოფით ჩვენს ევროპულ მომავალზე ზრუნვა დაიწყონ.

საქართველოს ისტორიას ერთ მარტივ დასკვნამდე მივყავართ – უკეთესის იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ უარესისთვის უნდა ვემზადოთ. ერდოღანს სურს, კონსტიტუცია შეცვალოს და თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადააქციოს, რაც მკვეთრად გაზრდის მის კონტროლს ხელისუფლებაზე. დიდია ალბათობა, რომ ახლო მომავალში თურქეთში ჩამოყალიბდება ძლიერი ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ევროკავშირსაც დაუპირისპირდება და მეზობლების მიმართ გაცილებით რადიკალური გახდება და ამან ოფიციალურ თბილისს შეიძლება რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგოს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება და საექსპერტო საზოგადოება თურქეთში მიმდინარე პროცესებს გაათმაგებული ყურადღებით უნდა დააკვირდეს.

**ლუკა ნემსაძე**

პაროდია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის ურთიერთობა ხომ გახსოვს? ისიც ხომ გახსოვს, რას უშვებოდა ბილი მონიკას? ჰოდა, ჰილარი რომ ამას შეეგუა და ბილი არ მოიშორა, მონიკამ კიდევ მილიონები აკეთა მემუარების წერით, ეგ არის კოაბიტაცია. წინა ხელისუფლება ექცეოდა საკუთარ ხალხს სწორედ ასე, როგორც ლევინსკის — კლინტონი და, ამის მიუხედავად, კოაბიტაციის რეჟიმი ჩაგვირთეს. ისე, მაშინ მე დამაბრალეს ეგ ამბავი, — ბიძინამ ვერ გაიმეტა ნაცებიო და აგერ, ამ არჩევნებზე, მე კი არა, ნახევარმა მილიონმა ვერ გაიმეტა და იცი, რას მივხვდი? ნახევარი მილიონი მონიკა გვყავს საქართველოში.**

# ბიძინა ივანიშვილის წერილი დონალდ ტრამპს

**სალამი, მისტერ დონალდ! გამეცინა, დონალდი რომ დავწერე, ჩემს ბავშვობაში „ჟვაჩკა“ იყო „დონალდო“, მანეთი ღირდა „ციგნებთან“. მერე დაარქვეს „ჟვაჩკას“ საღეჭი რეზინი და „ციგნებს“ კიდევ — ბოშები, თორემ ჩემს ბავშვობაში ყველაფერს თავისი სახელი ერქვა...**



გული მიგრძნობდა, რომ გაიმარჯვებდი და წინასწარ მონდოდა მოლოცვა, მაგრამ მოგეხსენება, ჩვენთანაც არჩევნები იყო და ჩემს შუშის სასახლეში იმდენი მთხოვნელი (ახლა დაარქვეს მთხოვნელი, თორემ ჩემს ბავშვობაში მათხოვარი ერქვა, კინოც არის ოლია მათხოვარზე) იყო, ფანჯრებიდან ორთქლის გაწმენდას ვერ ასწრებდნენ. თანაც რამდენჯერაც წერილის დასაწერად დავჯექი, ხან **გუგული მაღრაძე** დამადგა თავზე, ხან — **ეკა ბესელია** და მაგათი ინგლისურით რომ მომეწერა, ევროატლანტიკური სივრცისკენ ჩვენ სწრაფვას წერტილს დაუსვამდი. ეგებ ჯობდეს კიდეც ერთი დიდი წერტილი, მაინც ისე გამოდის, როგორც ბევრს გამოუვიდა ამ წინასაარჩევნოდ — აკაკუნებდნენ ჩემს კარზე და არ ვუღებდი. ასეა მანდაც — რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მის შემდეგ ვაკაკუნებთ და თქვენ კიდევ, კარის გაღების ნაცვლად, „გლაზოკიდან“ გვაკვირდებით. ისე, ჩემს სახლს „გლაზოკი“ არ სჭირდება, სპეციალურად შუშის კარი მაქვს, რომ დავინახო, ვინ მოდის და გასაღებად არ ჩავიდე.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, გილოცავ-მეთქი. **ჩემი არ იყოს, შენც მოგწყინდებოდა მხოლოდ ბიზნესი და ფულის კეთება და კი გადაწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა. თავდაპირველად რთული მეგონა, ისე ხატავდნენ ყველაფერს, პიკასოს ნახატი „დორა მაარი კატით“, რომელიც ახლა ჩემი საკუთრებაა, მარტივ ქმნილებად აღვიქვი ლამის, მაგრამ, ახლოს რომ მიხვალ და დაინახავ, იოლია. ყოველ შემთხვევაში, აქ იოლია.** ფულს სუნი არ აქვსო, — გაგონილი გექნება შენც, მაგრამ საკმარისია, ბევრი გამოაჩინო და სუნზე ყველა მოდის, ყველა გიცინის და სინამდვილეში ხომ ვიცი, გულში რა უდევთ — არავის ეყვარები რეალურად, მხოლოდ იმ მომენტამდე გცემენ პატივს, სანამ ფული გაქვს, მაგრამ, როგორც კი იგრძნობენ, რომ შენს ბიუჯეტს რაღაც მოაკლდა, მაშინვე ცხვირს წაიგრძელებენ, სხვა მხრიდან ხომ არ მოდის ფულის სუნიო.

არ მიწყენ, იმედია, რამდენიმე რჩევა რომ მოგცე. რაც უნდა იყოს, შენზე მეტი გამოცდილება მაქვს და, თანაც, აქაურობაც ამერიკის არჩევნებს დაემსგავსა — ორი პარტია იბრძვის რეალურად პარლამენტში მოსახვედრად და, მე რომ არ მევარგა, მართლა ორი გავიდოდა ბოლოში. მოკლედ, **მინისტრთა კაბინეტის შერჩევისას დიდი სიფრთხილე გმართებს.** კარგი გარეგნობის მინისტრები არ ამართლებენ. მყავდა რამდენიმე და ერთი დავტოვე ბოლოს. ისიც იმიტომ, რომ საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ატარებს, ხან წვერი მოუშვა, ხან — ბულანჟე, ხან თმა დაიგრძელა და ახლა ისეთი ულვაში აქვს, ზაურს შეშურდება. ზაური შენ არ გეცოდინება, ქართული ფილმის გმირია, „რაჭა ჩემი სიყვარული“ ჰქვია... ჰოდა, ახლა იმას ვფიქრობ, ვიზიტით რომ წავა სადმე, საზღვარზე როგორ გადაუშვებენ, უულვაშოა პასპორტის სურათში... მოკლედ, მინისტრებზე გითხარი და იმასაც დავამატებ, რომ გენდერულ თანასწორობაზე მაინცდამაინც ბევრს ნუ იფიქრებ, თორემ ქალი, რომ დანიშნავ თანამდებობაზე, ოჯახის წევრებით გაგივსებს სამსახურებს და ატყდება მერე აბავი, — ნეპოტიზმიო, კლანებიო... არა, შენ კი არაფერი, მაგრამ ჟურნალისტები მოგიშლიან ნერვებს. ნერვების მოშლა კიდევ არ ღირს, ნერვები თუ იშალე, რაღა გასართობია...

დამიჯერე, არ ისწავლო სიტყვა **კოაბიტაცია.** მე ძალიით მასწავლეს. თავდაპირველად მომწონდა კიდეც, მეგრულ გვარს ჰგავდა რაღაცნაირად და ჩემი დედაქალაქის მერი ამბობდა ძალიან სასაცილოდ, მაგრამ ბოლოს მე გამხადა სასაცილო კოაბიტაციამაც და მერმაც. ბიჭო, წინასაარჩევნოდ ხალხს დაჰპირდა, მილიონი ხე უნდა დავრგო თბილისშიო. მაშინვე გადავიანგარიშე გონებაში, ერთი ხე სამი მილიონი დამიჯდა და ამას მილიონი ხის დარგვა უნდა-მეთქი. კი მივხვდი, მიქარული მქონდა, მაგრამ რაღა დროს, კანდიდატს ხომ არ შევცვლიდი?! ესეც გაითვალისწინე, რომ მიხვდები, შეგეშალა, მაშინვე ნუ აღიარებ, აცადე ცოტა, ეგებ გამოასწოროს, თუ არადა, მერე ერთი ჩასჩურჩულე ყურში და ნახევარ საათში წავა თანამდებობიდან. ასეთ მომენტში ისეთი სახე მიიღე, თითქოს შენც გაგიკვირდა, თითქოს არ იცოდი, მაგრამ ყველაფერი აკონტროლე მაინც.

კოაბიტაციას დავუბრუნდეთ. არც კი ვიცი, როგორ აგიხსნა და რა მაგალითი მოგიყვანო. უი, გამახსენდა. **ბილ კლინტონისა** და **მონიკა ლევინსკის** ურთიერთობა ხომ გახსოვს? ისიც ხომ გახსოვს, რას უშვებოდა ბილი მონიკას? ჰოდა, **ჰილარი** რომ ამას შეეგუა და ბილი არ მოიშორა, მონიკამ კიდევ მილიონები აკეთა მემუარების წერით, ეგ არის კოაბიტაცია. წინა ხელისუფლება ექცეოდა საკუთარ ხალხს სწორედ ასე, როგორც ლევინსკის — კლინტონი და, ამის მიუხედავად, კოაბიტაციის რეჟიმი ჩაგვირთეს. ისე, მაშინ მე დამაბრალეს ეგ ამბავი, ბიძინამ ვერ გაიმეტა ნაცებიო და აგერ, ამ არჩევნებზე, მე კი არა, ნახევარმა მილიონმა ვერ გაიმეტა და იცი, რას მივხვდი? **ნახევარი მილიონი მონიკა გვყავს საქართველოში.** ახლა, შენი მისწრაფება და ქალების სიყვარული რომ ვიცი, მაშინვე აქეთ ნუ გამოვარდები, — ბევრი მონიკააო, გადატანითი მნიშვნელობით გითხარი ეგ და მანდაც გამოიყენე ხოლმე გადატანითი მნიშვნელობით რაღაცები, გამოგადგება, დამიჯერე.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შემოიკრიბე მეტ-ნაკლებად ცნობილი თუ უცნობი პოლიტიკოსები, ოთხი წელი გვერდში გყავდეს, მთლიანად შენზე დამოკიდებული გახადე და ოთხი წლის შემდეგ ხელის ერთი დაქნევით რომ დაიქნევ (ქნევა არ შეგეშლება შენი ბეგრაუნდის კაცს), მარტო დარჩები პრაქტიკულად პოლიტიკურ ველზე, უფრო ზუსტად — შენ და მონიკები, რაც უნდა გაუკეთო, მაინც ის რომ ურჩევნიათ... ძველი დრო... დაგიდგება მერე კარზე რიგი, მე აქ დამასაქმე, მე — იქო, მაგრამ არ უნდა აჰყვე, თორემ გაგაგიჟებენ. **ჟურნალისტები არ მიიჩვიო ძალიან, მიჯირყვნე ხოლმე, ჩაეკითხე, ეკამათე, ფილოსოფოსების ფრაზებით ესაუბრე და ეგ ამართლებს ძალიან — აქ ტელევიზიების ჟურნალისტების უმრავლესობას, ფილოსოფოსები კი არა, სოციალურ ქსელებში ორსიტყვიანი სტატუსების მეტი არაფერი აქვს წაკითხული, ამიტომ მაგათი არ შეგეშინდეს, რამდენიც გინდა, ეკამათე, ბოლოს გამარჯვებული გამოხვალ.**

ანეკდოტები მოუყევი ხოლმე თვეში ერთხელ ჟურნალისტებს. მერწმუნე, მთელი ერთი კვირა სალაპარაკო მეტი არაფერი ექნებათ, შენ კი მშვიდად შეცვლი რომელიმე მინისტრს და ისინი ისევ იმ ანეკდოტზე ისაუბრებენ. ვალუტის კურსი თუ გაგექცა, პანიკაში არ ჩავარდე და, სანამ კომენტარს გააკეთებ, შენს აქტივებს გადახედე. მიხვდები, რომ არაფერი საგანგაშო არ ხდება და კომენტარიც მშვიდი და გაწონასწორებული იქნება.

გლობალური დათბობის შესახებ შენი განცხადება მოვისმინე და მომეწონა. ამინდის შეცვლა ხელოვნურად მე ნამდვილად არ მეშლება, ბოლოს და ბოლოს, პინგვინისთვის სულ ზამთარი მაქვს და ზებრა საჰარის უდაბნოს ქვიშაზე დამირბის ეზოში, მაგრამ არ ღირს მსოფლიოს ბუნებაში ჩარევა და, მაგ თანხებს თუ დაზოგავ, საყოველთაო ჯანდაცვაში ჩადე და გეტყვი რატომაც — რომ შეგეკითხებიან, რა გააკეთეო, პასუხი ყოველთვის გექნება. აბა, შენ თუ ოთხ წელიწადში გინდა ამერიკის გამოსწორება და სხვა რელსებზე გადაყვანა, არ გამოგივა. დრო სჭირდება ამას, დრო კიდევ, შენც იცი, ფულია.

ხელფასს რომ არ იღებ, მომეწონა. მეც არ ვიღებდი პრემიერობისას, მაგრამ ეს აღარ ახსოვს არავის. აიღებ-არ აიღებ... ერთი ფასი აქვს მაინც და ჩვენი მდგომარეობის ხალხისთვის რა სჯობს, თვითონ განსაჯე.

პირველ ეტაპზე ეს იყო. საქართველოში ჩამოსვლას რომ დააპირებ, მითხარი და კარგად გაგიმასპინძლდები. ოღონდ არ დამიწყო მერე, მიშა ჩემი ძმაკაცია, ეგებ აპატიოო. არ იცის მაგან ძმაკაცობა და ურთიერთობა, ხომ ხედავ, უკრაინიდანაც გააბუნძულეს და ამ სიტყვას, „გააბუნძულეს“, თუ ვერ გადაგითარგმნის თარჯიმანი, მე აგიხსნი. **გაბუნძულება ის არის, რაც შენ უქენი დემოკრატებს თეთრი სახლიდან. ჰოდა, ისე მოიქეცი, ოთხი წლის მერე შენზე არ მომიწიოს ამის დაწერა... კოლეგა ხარ მაინც...**

**ჟურნალისტები არ მიიჩვიო ძალიან, მიჯირყვნე ხოლმე, ჩაეკითხე, ეკამათე, ფილოსოფოსების ფრაზებით ესაუბრე და ეგ ამართლებს ძალიან — აქ ტელევიზიების ჟურნალისტების უმრავლესობას, ფილოსოფოსები კი არა, სოციალურ ქსელებში ორსიტყვიანი სტატუსების მეტი არაფერი აქვს წაკითხული, ამიტომ მაგათი არ შეგეშინდეს, რამდენიც გინდა, ეკამათე, ბოლოს გამარჯვებული გამოხვალ**

**ფულს სუნი არ აქვსო, — გაგონილი გექნება შენც, მაგრამ საკმარისია, ბევრი გამოაჩინო და სუნზე ყველა მოდის, ყველა გიცინის და სინამდვილეში ხომ ვიცი, გულში რა უდევთ — არავის ეყვარები რეალურად, მხოლოდ იმ მომენტამდე გცემენ პატივს, სანამ ფული გაქვს, მაგრამ, როგორც კი იგრძნობენ, რომ შენს ბიუჯეტს რაღაც მოაკლდა, მაშინვე ცხვირს წაიგრძელებენ, სხვა მხრიდან ხომ არ მოდის ფულის სუნიო**

მსოფლიო

## ფრანსუა ფიიონი: ოლანდი რუსეთის მიმართ აბსურდულ პოლიტიკას ატარებს

**საფრანგეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, ყოფილმა პრემიერმინისტრმა ფრანსუა ფიიონმა კონკურენტ ალან ჟუპესთან დებატებისას რუსეთის მიმართ პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პოლიტიკას აბსურდული უწოდა. ფიიონი საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალისტთა ლიდერ მარინ ლე პენს დაუპირისპირდება.**

„საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ არასწორი და აბსურდულია. ის რუსეთს იზოლაციისა და ნაციონალისტური ქმედებებისკენ უბიძგებს. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი და ბირთვული პოტენციალის მქონე ქვეყანაა,“ — აღნიშნა ფიიონმა კონკურენტ **ალან ჟუპესთან** პოლიტიკურ დებატებში. მან დასძინა ისიც, რომ აუცილებელია, მხარეები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და აღადგინონ დაკარგული კავშირები.



**ქოცებისა და ნაცების დაპირისპირება პარლამენტში იმ აბსურდის თეატრის გაგრძელებაა, რომელსაც კოაბიტაცია ერქვა და ახლა ეს აფერა თვისებრივად ახალ ფორმაში გადავიდა, რომელსაც ალხანა-ჩალხანას, გნებავთ, პოლიტიკურად ერთნაირსქესიანი ნაცებ-ქოცების ქორწილი ჰქვია. ერთი სიტყვით, უკვე მერამდენედ გაბითურებულ საქართველოს ქოცები ნაცებივით მართავენ, იმ განსხვავებით, რომ ცოცხებით არ (თუ იქნებ ჯერჯერობით ვერ?) გვაუპატიურებენ და ამისთვის მადლობა ივანიშვილს?**

ავი მესაიდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერთ-ერთ წერილში ვწერდი, რომ ახალი პარლამენტის პირველივე სხდომებზე გამოჩნდება, რისთვის გამოიყენებს „ქართული ოცნება" საკონსტიტუციო უმრავლესობას-მეთქი და, აჰა, გამოჩნდა კიდეც — „ახალი" პარლამენტი და „ძველი" მინისტრთა კაბინეტი ერთმანეთს დითირამბებს უმღერიან, თანაც ერთი და იმავე ტექსტით — „რა კარგი იყო გასული 4 წელი და უფრო კარგი იქნება მომდევნო 4 წელიწადი". ორივენი ერთად კი „ნაციონალურ მოძრაობას" „უტევენ" პრინციპით — „თქვენ რომ 9 წელიწადი...", რაც, სიმართლე გითხრათ, უკვე ყელში ამოვიდა...

# საქართველოს ხელისუფლებას, იმის მაგივრად, რომ განგაშის ზარები დაარისხოს, ერთ ხელში მახათი უჭირავს, მეორეში — სადგისი

## როცა ქალღი პატრონს ვერ ცნობს, ამომრჩეველი კი — ივანიშვილს



### კვირიკაშვილს ვერ გაუგია, რომ ქართველი საზოგადოება, 4 წელიწადია, შურისძიებას კი არა, სამართლიანობის აღდგენას ითხოვს!

რატომ დავსვი წერილის დასაწყისშივე ამდენი ბრჭყალები?

იმიტომ, რომ ახალი ვუწოდოთ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, რომლის შემადგენლობასაც აქეთ **თამარ ჩუგოშვილი** და მისი მსგავსი რამდენიმე ლიბერასტი დაამატეს, იქით კი — **ენძელა მაჭავარიანი** (ამ ქალბატონზე ქვემოთ), რომელიც რბილი **ლ**-თი უმტკიცებს ერთგულებას ბიძინა ივანიშვილს, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულად მეჩვენება.

რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, აქ, უბრალოდ, **ქოცებმა ნაცებისდროინდელი და მათივე მოგონილი სამთავრობო კარუსელი დაატრიალეს, ანუ რამდენიმე მინისტრი ერთი სავარძლიდან მეორეში გადასვეს და მინისტრთა კაბინეტს, პარლამენტისგან განსხვავებით, ფორმალურადაც ვერ უწოდებ ახალს.**

ქოცები ნაცების ნიჭიერი მოწაფეები აღმოჩნდნენ — მშვენივრად შეირგ-მოირგეს ნაცების მიერ მიღებული მახინჯი კანონები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დახვდათ და არქიმედესავით შეჰყვირეს „ევრიკა!" — ეს რა მაგარი რამ ყოფილაო (განსაკუთრებით — საარჩევნო კანონი) და არათუ გასული არჩევნებისთვის შეცვალეს რაიმე, არამედ, მგონი, არც 2020 წლისთვის აპირებენ ამ მიმართულებით რაიმეს შეცვლას.

მკითხველს შევახსენებ პრემიერ **კვირიკაშვილის** მიერ ცოტა ხნის წინათ ნათქვამს, რომელიც ერთი-ერთში „ჯდება" ნაცების რიტორიკაში, რომ **თურმე წარსულს თავი უნდა დავანებოთ, შურისძიებეზე უარი ვთქვათ და მხოლოდ წინ ვიყუროთ(?!).**

ამიტომაც არის, რომ პარლამენტში ყასიდადაც კი აღარავინ ახსენებს სამართლიანობის აღდგენას — ერთადერთმა **გედევან ფოფხაძემ** შეახსენა ეს თემა პრემიერს და პასუხიც შესაფერისი მიიღო: ეს პროკურატურის საქმეა, რომელშიც ჩვენ ვერ ჩავერევითო.

**კვირიკაშვილს ვერ გაუგია, რომ ქართველი საზოგადოება, 4 წელიწადია, შურისძიებას კი არა, სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.**

რას ჰქვია, ვერ ჩავერევით?!

**ვის სჭირდება ქოცების მიერ ნაცების წარამარა დამუნათება იმ ყბადაღებული 9 წლით ან რის მაქნისია გოგა ხაინდრავას მიერ გადაღებული „ჰეროკრატია", თუ ამ ფილმის გმირები, ციხის ნაცვლად, პარლამენტში სხედან და მორალს გვიკითხავენ?!**

**ქოცებ-ნაცების დაპირისპირება პარლამენტში იმ აბსურდის თეატრის გაგრძელებაა, რომელსაც კოაბიტაცია ერქვა და ახლა ეს აფერა თვისებრივად ახალ ფორმაში გადავიდა, რასაც ალხანა-ჩალხანას, გნებავთ, პოლიტიკურად ერთნაირსქესიანი ნაცებ-ქოცების ქორწილი ჰქვია.**

**ერთი სიტყვით, უკვე მერამდენედ გაბითურებულ საქართველოს ქოცები ნაცებივით მართავენ, იმ განსხვავებით, რომ ცოცხებით არ (თუ იქნებ ჯერჯერობით ვერ?) გვაუპატიურებენ და ამისთვის მადლობა ივანიშვილს?**

ერთადერთი, ვინც ნაცებისა და ქოცების სიამტკბილობას არღვევს, „პატრიოტთა ალიანსის" 6 დეპუტატია, რომელთაგან ერთის, **ემზარ კვიციანის**, კანდიდატურა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მოადგილის პოსტზე „ქართულმა ოცნებამ" ნაცების კანდიდატის სასარგებლოდ ჩააგდო(?!).

აი, კიდევ ერთი ლუსტრაცია იმისა, რომ ნაცებისა და ქოცების დაპირისპირება სინამდვილეში მირაჟია, ქიმერა...

სად პოულობს, რომელი ნაგავსაყრელიდან მოათრია ქოცების ძველი თუ ახალი სახეები, უპრინციპო ნაძირალები ბიძინა ივანიშვილმა?

**ევროინტეგრაციის მინისტრი?!**

აი, კლასიკური სახე დღევანდელი ხელისუფლებისა — ჯერ კიდევ გუშინ საქვეყნოდ გაჰყვიროდა **ვიქტორ დოლიძე** ირაკლი ალასანიასთან დუეტში, კაბელების საქმე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკური პატიმრები ჰყავს და დღეს ეს კაცი ევროინტეგრაციის მინისტრად დანიშნეს?!

როგორც ბიძინა ივანიშვილი უწოდებს **მურუსიძეს, ადეიშვილსა** და სხვა ჯალათებს სააკაშვილის მიერ შექმნილი სისტემის მსხვერპლს (თორემ ისე კაი ბიჭები არიანო), ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ ვიქტორ დოლიძესა და სხვა მინისტრ-დეპუტატებსაც სისტემის, ოღონდ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი სისტემის, მსხვერპლი. ამ სისტემას კი ივანიშვილის ბაგაზე დაბმა ჰქვია. ბაგაზე, რომლიდანაც საკვების მიღება მწვავე ფორმის ამნეზიას იწვევს და გავიწყდება, რომ, საკუთარი სტომაქის გარდა, არსებობს „პატარა და უმნიშვნელო" რაღაცები — **მოყვასი,** რომელსაც, შენგან განსხვავებით, შია, სცივა და სწყურია, და **სამშობლო,** რომელიც დაგლეჯილ-დაფლეთილია.

სიტყვამ მოიტანა და, ვიქტორ დოლიძე, ფრთიანი ანგელოზიც რომ იყოს, რომელი ევროინტეგრაციის მინისტრია, ევროკავშირის, რომელიც არსებობის (ყოველ შემთხვევაში ამ სახით) უკანასკნელ დღეებს ითვლის?

ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლას თავი რომ დავანებოთ, რომელსაც ევროკავშირის დასასრულის დასაწყისი უწოდეს სოლიდურმა ანალიტიკოს-პოლიტოლოგებმა, აშშ-ის პრეზიდენტად **დონალდ ტრამპის** არჩევამ თავდაყირა დააყენა თანამედროვე გეოპოლიტიკა — მსოფლიო ელვის სისწრაფით იცვლება და ამიტომაც ყველა, ვისაც ჭკუა აქვს, ამ ცვლილებების შესაფერისად მოქმედებს.

ან ავიღოთ ფილიპინების პრეზიდენტის — **როდრიგო დუტერტეს** ანტიამერიკული, გნებავთ, ანტიდასავლური დემარში. ფილიპინები, რომელიც აშშ-ის ყურმოჭრილი მონა იყო რეგიონში, ახლა მკვეთრად შემობრუნდა რუსეთ-ჩინეთისკენ. საფრანგეთში კი მემარჯვენე ცენტრისტების პარტიის შიგა პრაიმერისში პრორუსმა კანდიდატმა გაიმარჯვა. მოლდოვაში, ბულგარეთსა და ლიტვაში პრორუსულად განწყობილი ძალების გამარჯვების შესახებ წინა სტატიაში ვწერდი და აღარ გავიმეორებ...

**ეს სია, სავარაუდოდ, გაიზრდება. საქართველოს ხელისუფლება კი, ვითომ არაფერი მომხდარა, ისევ ნატოსა და ევროკავშირზე მღერის. არადა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი სასწრაფოდ არის შესაბრუნებელი 180 გრადუსით — რუსეთთან უნდა დავამყაროთ სტრატეგიული კავშირი, თორემ მალე გვიან იქნება თითზე კბენანი.**

რუსეთმა რატიფიცირება მოახდინა კანონისა, რომლის ძალითაც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთისა და სომხეთის სამხედრო ძალები ერთიანდებიან და ამიერიდან მოსკოვიდან მიღებულ ბრძანებას დაემორჩილებიან. დიდი სამხედრო სტრატეგობა არ სჭირდება იმას, თუ რას ნიშნავს ყოველივე — საკმარისია, რუკას დავხედოთ და ცხადი შეიქნება, რომ საქართველო გარშემორტყმულია რუსეთის სამხედრო ძალებით. ამას გარდა, გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის განზრახვაზე გალში სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ, სადაც კრემლი 15-20 ათასი სამხედროს შეყვანას აპირებს. ეს ყველაფერი პუტინისა და ტრამპის სატელეფონო საუბრის შემდეგ მოხდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რას მოუტანს საქართველოს მათი პირისპირ შეხვედრა...

ამის მიუხედავად, **დღეს ვინც ნატოსა და ევროკავშირზე ლაპარაკობს, ვისაც ისევ ბრიუსელ-ვაშინგტონის იმედი აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ან უვიცი ბრიყვი მოყვარეა, ან ჭკვიანი და შეგნებული მტერი.**

ხელისუფლება კი იმის მაგივრად, რომ სასწრაფოდ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყოს მოლაპარაკებები, იმაზე მსჯელობით არის დაკავებული, რომელი ზღაპარია უფრო მავნე ჩვენი შვილებისთვის — „კომბლე" თუ „ხუთკუნჭულა", „ნაცარქექია" თუ „ასფურცელა" და ა.შ.

მოკლედ, **საქართველოს ხელისუფლებას, იმის მაგივრად, რომ განგაშის ზარები დაარისხოს, ერთ ხელში მახათი უჭირავს, მეორეში — სადგისი.**

თუმცა არა, მთლად უსაქმოდაც არ არიან — დიდი ხანია, მესმოდა, დედა ენის ბაღში **ირაკლი ჩარკვიანს,** მეტსახელად მეფეს ძეგლი უნდა დაუდგანო, რაც, სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ მართლაც დაუდგამთ.

ამ ფაქტმა, რომ იტყვიან, ააფეთქა „ფეისბუქი" ძირითადად უარყოფითი კომენტარებით, — ნარკომანს დაუდგეს ძეგლიო, რაც, ვფიქრობ, არასწორია, რადგან უამრავი დიდი ხელოვანის ჩამოთვლა შემიძლია, რომლებიც ან ნარკომანი იყვნენ ან ლოთი. თუნდაც **ნიკო ფიროსმანი** და რუსი **მიხეილ ბულგაკოვი** კმარა ჩემი ნათქვამის დასტურად. ლოთია თუ მორფინისტი ვერ განვიკითხავ, რადგანაც ცოდვებისთვის მაშინ ვაგებთ პასუხს, როდესაც უზენაესის წინაშე წარვდგებით.

ჩემი აზრით, საკითხი ასე უნდა დასმულიყო — **ნარკომანიც რომ არ ყოფილიყო, ძეგლი უნდა დაგვედგა „შენ აფრენ"-ის ავტორისთვის, თანაც დედა ენის ბაღში?!**

აღსანიშნავია, რომ ეს ძეგლი დაიდგა არა თბილისის ბიუჯეტის, არამედ კერძო სახსრებით, მაგრამ ნებართვა ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის უფროს **ია მაქაცარიას** გაუცია. ეს ის მერიის კულტურის სამსახურია, რომელმაც 4 წელიწადია, ვერ მოახერხა ველოსიპედის ძეგლის აღება და დავით აღმაშენებლის ძეგლის თავის ადგილზე დაბრუნება, რაც ჯავრად ჩავაყოლეთ საფლავში დიდ **მერაბ ბერძენიშვილს.**

მივმართავ ქალბატონ ია მაქაცარიას: თუ გაფრენაა, ბოლომდე გავაფრინოთ და „გენიალური" ლექსის „შენ აფრენ" „გენიოსი ავტორის" ნეშტი მთაწმინდაზე ავასვენოთ და, პოეზიის მეფე „სულ ტყუილად" რომ ეგონა თავი, იმ გალაკტიონის გვერდით გავუთხაროთ საფლავი „ნამდვილ მეფე-პოეტს" და ის ძეგლიც ზედ დავადგათ...

ახლა კი ზემოთ შეპირებული პასაჟი — ქალბატონ **ენძელა მაჭავარიანზე:**

4 წელიწადი ისე გავა, რომ ეს ქალბატონი ერთხელაც არ მივა მიკროფონთან. არადა. რბილ **ლ**-ზე ეტყობა, კარგი ხაჭაპურის გამოცხობა ეცოდინება და ამიტომ ამ ქალბატონის 4 წლით მოცდენა პარლამენტში, პურმარილის მოყვარული ქართველი ერის წინაშე ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩადენილ კიდევ ერთი დანაშაულია... იმედია, იმერულ ტრადიციებზე აღზრდილ ქალბატონს ეს ხუმრობა არ ეწყინება, რადგან, თავგასიებული ვანო ჯავახიშვილისგან განსხვავებით, არც ქალბატონი ენძელას რბილ ლ-ს დავცინი და, მით უმეტეს, არც მის გამომცხვარ ხაჭაპურსა თუ ისრიმმაყვალში „ჩადობილ" წიწილას დავიწუნებდი...

**დავით მხეიძე**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეგობრებო, გამოფხიზლდით, 2016 წლის ბოლოა! აფხაზეთი კარგა ხნის წასულია და, თუ შემობრუნდა ფედერაცია-კონფედერაციით, ერთი ადგილი უნდა დავუკოცნოთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ?**



# ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!

## როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს პოლიტიკოსებს აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში?

**ქართული მედიასაშუალებების უდიდესი უმრავლესობა, 25 წელია, იმ ანტირუსული ფსიქოზით ცხოვრობს, რომელსაც ე.წ. ეროვნული ხელისუფლების პერიოდში მიეცა ფართო გასაქანი. საკმარისია, რაღაც ითქვას საქართველოზე (კარგი თუ ცუდი), თუნდაც დადებითად ვიყოთ მოხსენიებული, ამას ქართული ჟურნალისტიკის მხრიდან მყისვე მოჰყვება ხოლმე რეაქცია, ცხადია, ნეგატიური. ამის მაგალითია ჟურნალისტ მანანა ნოზაძის სტატია „სადაც რუსი ცხოვრობს, იქ ყველგან არ არის ნოვორასია!“, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 22 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა.**

„რუსეთი კალაშნიკოვის ენით საუბარს განაგრძობს. ახლახან რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეების კომიტეტის ხელმძღვანელმა ლეონიდ კალაშნიკოვმა განაცხადა, რომ მოლდოვას ტერიტორიული კონფლიქტის გადაწყვეტა შეიძლება მაგალითი გამოდგეს უკრაინისა და საქართველოსთვის“.

საკითხი ეხება მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. კალაშნიკოვის აზრით, თუ მოლდოვა გადაწყვეტს კონფედერაციული სახელმწიფო სისტემის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მოლდოვას შემადგენლობაში დნესტრისპირეთის დაბრუნებას, ეს მაგალითი, შეიძლება იყოს უკრაინა-საქართველოს ტერიტორიული საკითხების მოსაგვარებლად.

**უდავოდ ყურადსაღები განცხადებაა ხავსს მოჭიდებული წყალწაღებულებისთვის (უკრაინა-საქართველო), თუმცა, საკითხავია — თვითონ მათ თუ სურთ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება?!**

კითხვას მოუფიქრებლად არ ვსვამ, ამას რეალობა და ჩემი გამოცდილება მკარნახობს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“, წლების განმავლობაში, ავსტრია-გერმანიაში რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს შორის. შეხვედრების ორგანიზატორები ინგლისელი და გერმანელი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. **შეხვედრებში მონაწილე 7-7 წარმომადგენელი მშვიდ ვითარებაში ვარკვევდით, რა გზა აგვერჩია შესარიგებლად. 2003 წლის შეხვედრაზე კონკრეტული გეგმაც დაისახა, რომელსაც ხელისუფლებამ უდავოდ ზერელე ინტერესი, უფრო ზუსტად უინტერესობა შეაგება, რამაც მაფიქრებინა ის, რაც ზემოთ ვთქვი.**

შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. რა მივიღეთ „ვარდების რევოლუციით“, ყველასთვის ცნობილია. **ჩატყდა რის ვაივაგლახით შეკოწიწებული ნდობის ხიდი და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ადრინდელ ჩიხურ მდგომარეობას დაუბრუნდა. 2008 წლის აგვისტომ კი წერტილი დაუსვა ქართულ-აფხაზურ კავშირებს, მით უმეტეს— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თემას.** აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, ცხადია, არა ყველას მიერ აღიარებული, მაგრამ განდგომილთათვის მთავარია რუსეთის აღიარება.

**2008 წელმა ცივი წყალი გადაასხა 2003 წლის მოლაპარაკების შედეგებს და ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობას, ერთ ქვეყანაში თანაცხოვრებას — ფედერაციული თუ კონფედერაციული სახელმწიფო სისტემის ფარგლებში.**

**არის თუ არა მცირე შანსი მაინც, ვილაპარაკოთ ქართველთა და აფხაზთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე, ანუ იმ ვითარების დაბრუნებაზე, რომელიც 2008 წლის ომამდე იყო? — პირდაპირ ვიტყვი — არა! და ამას ვერც კალაშნიკოვის ვარაუდი უშველის და ვერც პუტინის. როგორც ერთხელ პუტინმა განაცხადა, რუსეთი ამ საკითხს (აფხაზეთის დაბრუნებას) ვერ გადაწყვეტს, თუ აფხაზთა მხრიდან ამის სურვილი არ იქნება.**

და მართლაც, **როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს პოლიტიკოსებს აფხაზეთის, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება?** ალბათ, ასე: იტყვის პუტინი და მეორე დღესვე ფსოუზე აღდგება საქართველო-რუსეთის საზღვარი! მსგავსი რამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარშიც არ ხდებოდა, მით უმეტეს 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში. უმალ შემედავებიან და მაგალითად ყირიმს მოიყვანენ, რაც შეუფერებელი იქნება, ვინაიდან ყირიმმა რეფერენდუმი ჩაატარა და იქ მცხოვრებმა რუსმა უმრავლესობამ მხარი ჯერ დამოუკიდებლობას, ხოლო შემდეგ რუსეთთან შეერთებას დაუჭირა. **აფხაზეთში ერთ დროს უმრავლესობაში მყოფი ქართული მოსახლეობა, უმცირესობაშია. იქაურები დღეს აქ ცხოვრობენ, თავიანთი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით, რომელთა გადაწყვეტილება „ნამდვილი“ აფხაზეთისთვის ნულის ტოლფასია ისევე, როგორც იმ ყოფილი თუ დღევანდელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების, რომლებიც ქართველთა და აფხაზთა ერთიან სახელმწიფოზე ლაპარაკობენ.**

ვეჭვობ, რომ კალაშნიკოვის განცხადებამ აღფრთოვანება გამოიწვიოს აფხაზეთში. აი, 2003 წლამდე რომ ჰქონოდა მსგავს რამეს ადგილი, უდავოდ გამოიწვევდა. მაშინ აფხაზები ფედერაცია-კონფედერაციას ითხოვდნენ და, რომ ყოფილიყო ცენტრალური ხელისუფლების აზრიანი მოქმედება, დღეს საქართველოს განდგომილი ყოფილი ავტონომიები არ ექნებოდა.

**კალაშნიკოვის განცხადება არ არის ხელწამოსაკრავი, მაგრამ აფხაზეთის საკითხი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრეროგატივაა და მას სურკოვი წარმართავს. ის ხშირად ჩადის აფხაზეთში და ღრმადაა ჩახედული ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს საქმეებში. კალაშნიკოვის ნაცვლად სურკოვს რომ განეცხადებინა ეს, სხვა იქნებოდა, მაგრამ, როგორც რუსები ამბობენ, „უთევზობის დროს, კიბორჩხალაც თევზია“. და ნაცვლად კრიტიკისა, დაფიქრების შემდეგ შეიძლება პასუხის გაცემა.**

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ტაშს ვუკრავთ **ნოდარ ნათაძის** მოსაზრებას, რომელიც გამორიცხავს ფედერაცია-კონფედერაციას. პატივცემულ ნოდარს მხარდამჭერებიც ჰყავს ყოფილი პარლამენტარების სახით, რომლებიც აცხადებენ, რომ „ფედერალური სახელმწიფოს მოწყობა, ანუ სახელმწიფოს იურიდიულად და პოლიტიკურად დაყოფა ორ ან მეტ ტერიტორიულ ერთეულად, რომლებსაც საკუთარი პოლიტიკური ნება და შესაბამისი უფლებამოსილებები გააჩნიათ, სახელმწიფოს ერთიანობის პარალიზებას ნიშნავს“. ვკითხულობ ამ „შედევრს“ და თავი შუა საუკუნეებში მგონია, არადა, 2016 წლის მიწურულია. გერმანიაც და შვეიცარიაც დაშლილ-დაქუცმაცებული მეჩვენება ამის წაკითხვის შემდეგ და, თუ დღეს გადაურჩნენ დაშლას, ხვალ აღარაფერი ეშველებათ.

**2008 წლის აგვისტოდან აფხაზეთი „დამოუკიდებელია“ და მას არანაირი სურვილი არ აქვს, ქართველებთან ფედერაცია-კონფედერაციაზე ილაპარაკოს.**

**მეგობრებო, გამოფხიზლდით, 2016 წლის ბოლოა! აფხაზეთი კარგა ხნის წასულია და, თუ შემობრუნდა ფედერაცია-კონფედერაციით, ერთი ადგილი უნდა დავუკოცნოთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ?**

**ისტორია გავიხსენოთ: „ქართველმა ერმა ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ შეგნებულად უარყო საკუთარი თავის დაქუცმაცება კუთხურობის პრინციპით. ქუჯი ერისთავმა თავისი დინასტიის ძალაუფლებაც დათმო და საკუთარი საბატონო მეფე ფარნავაზს დაუქვემდებარა“.**

ვიმეორებ, 20016 წლის მიწურულია, შესაბამისი აზროვნებით, ხალხთა შორის ურთიერთობებით, გაეროთი, ევროკავშირით, ევროსაბჭოთი, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციით და, სამწუხაროდ, ყველაფერ ამასთან შეუფერებელი ჩვენი მენტალიტეტით. ასეთ აზროვნებით გაჭირდება ქვეყნისთვის უსერიოზულესი საკითხის დროის შესაბამისად გააზრება, ადეკვატური რეაქციის გამოვლინება.

ნათაძე ამბობს, რომ „კალაშნიკოვი ცრუობს, როცა მოლდოვას მაგალითს ადარებს საქართველოს. რეალურად კი, საქართველო არის უნიტარული, ერთიანი ქვეყანა, როგორც ისტორიულად, ისე დღესაც და საქართველოში შემოსულ სხვა ხალხებს (თათრებს, სომხებს, თურქული მოდგმის აზერბაიჯანლებს და სხვებს) ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის უფლება არ აქვთ“.

**ამაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ვერაფრით დავარქმევთ უნიტარულს, გარდა ერთისა, თუ თვითონ არ ვაღიარებთ ყოფილი ავტონომიების საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებობას. მხოლოდ მაშინ შეიძლება დარჩენილი საქართველო უნიტარულად მოვიხსენიოთ... მაგრამ, რა ვუყოთ აჭარის ავტონომიას?**

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ისტორიას, უნიტარულობა აგებდა სამთავროებად დაყოფასთან. თუნდაც საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოებრივი მოწყობა (სამი ავტონომიური ერთეული — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი) უფრო ფედერალურობას ნიშნავდა, ვიდრე უნიტარულობას.

ჟურნალისტის მასალიდან სხვა „მარგალიტების“ მოყვანაც შეიძლება, მაგრამ აღნიშნულიც კმარა, თუმცა კიდევ ერთ ამონარიდს გთავაზობთ. **„ჩეჩნეთის ომი იყო განმათავისუფლებელი ომი, აფხაზეთის ომი კი იყო რუსების მხრიდან დაპყრობითი ომი ავტოქტონური ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ“,** — აცხადებს ნათაძე.

ჩეჩნეთის ომს, კარგა ხანია, „განმათავისუფლებელს“ არვინ არქმევს. მხედველობაში მყავს არა რუსი, არამედ დასავლელი სპეციალისტები. რაც შეეხება „რუსეთის მხრიდან დაპყრობით ომს ავტოქტონური ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ“, ესეც მსოფლიოს მიერ კარგა ხნის წინათ დადგენილი ფაქტია.

გავიმეორებ: **2008 წლის ომი საქართველოს გონგამოცლილმა ხელისუფლებამ წამოიწყო და, როგორც აგრესორმა, შესაბამისი დამარცხება იგემა. მოგვწონს თუ არა ეს, ფაქტია. რაც უფრო მალე ვაღიარებთ ამას და ომის გამჩაღებელს მივცემთ სამართალში, მით უკეთესი მისი წყალობით შეკვეცილი საქართველოსთვის.**

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველები სხვა მენტალიტეტისანი ვართ — არაფრით გვინდა ჩადენილი დანაშაულის აღიარება და მუდამ სხვას ვადანაშაულებთ, ამ შემთხვევაში რუსეთს, რომელმაც საკმაოდ ბევრი იღვაწა (ისტორიულად) რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

მისასალმებელია გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მეზობელ თურქეთთან დაკავშირებული მასალის გამოქვეყნების ინიციატივა, რომელსაც წინ უძღვის ისტორიული ფაქტი შემდეგი შინაარსისა: **„მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი, ასევე, აჭარაც ოსმალოებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს.**

ამ ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარებით შეიქნა შესაძლებელი: **პირველად — 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილები: ქობლიანი, აბასთუმანი, ახალციხე, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, აბოცი ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო და ერუშეთი. 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, პარიზის ზავით, შემოერთებული იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ოლთისი“.**

ზემომოყვანილი ისტორიული ფაქტი, რომელსაც „გულმავიწყობის“ გამო ნაკლებად იხსენებენ ქართველი „სპეციალისტები“, უმადურობის გამოხატულებაა, რაც შეეხება ნათაძის მოსაზრებას, ის ისტორიული ფაქტების დამახინჯების მცდელობაა. ასეთი ისტორიის მქონე ქვეყანას ვერაფრით დავარქმევთ „უნიტარულს“.

დავუბრუნდეთ დღევანდელობას და კალაშნიკოვის განცხადებას მოლდოვას მაგალითის (თუკი გამოვა) უკრაინა-საქართველოზე გავრცელების თაობაზე. რომ იტყვიან, ცდა ბედის მონახევრეაო, ვეცადოთ, ჩვენ ხომ მეტი არაფერი დაგვრჩენია — იქნებ რალაც გამოვიდეს. ბოლოს და ბოლოს, დიალოგი ხომ აღდგება? ესეც დიდი საქმეა წლების განმავლობაში ბუტიაობის შემდეგ.

დღეს მსოფლიოში დიდი ძვრებია, განსაკუთრებით — რუსეთის მიმართულებით, რაც გასათვალისწინებელია. ამ ქვეყანასთან პოლიტიკური დიალოგი თუ დაკარგულს ვერ დაგვიბრუნებს, დაახლოებას მაინც შეძლებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ლამის მტრად ქცეული ქვეყნებისთვის. და თუ ამას მივაღწევთ, იქნებ სხვა რამესაც გამოვკრათ ხელი...

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

**„ერს, რომელსაც, სულ რაღაც ორასი წლის ისტორია აქვს, მოზეზრდა უზნეობა და ჩვენ დავიწყოთ?! ამერიკელები და ევროპელები გონს მოვიდნენ და ჩვენ ჩავეფლოთ ამ უმსგავსობაში?! იტალიის პარლამენტში ტუჩებში აკოცეს კაცებმა კაცებს, ქალებმა ქალებს; დღეს ვერ ხედავთ, იქ რა ხდება? ყოველდღე მიწისძვრაა. ახლა ვიღაც იტყვის, ეს ტექტონიკური მოვლენებიაო, მაგრამ ეს არ არის სწორი. ღმერთმა დაუშვა და იძრა მიწა, ღმერთმა ინება და მოვიდა ჭექა-ქუხილი, ღმერთმა ინება და მოვიდა სეტყვა, ღმერთმა ინება და დაწვა სოდომ-გომორი...“**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მამა დავითი (ნოზაძე): დღეს გმირია ის, ვინც რუსეთთან მოლაპარაკებას შეძლებს, ვინც შემოატრიალებს ამ პროცესებს და დადებით მუხტს შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობაში

**ბოლო პერიოდში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თემქის წმინდა მარკოზ ეფესელის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ნოზაძე).**

**— მამაო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტს მოსკოვში ჩვენს პოლიტიკურ წრეებში სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგმა ეს ვიზიტი დადებითად შეაფასა, ზოგმა — მკვეთრად უარყოფითად. მაგალითად, ნაციონალი გივი თარგამაძე ამბობს, ეს ყველაფერი ჩემთვის მძიმე საყურებელიაო... როგორ ფიქრობთ, რა დატვირთვა ჰქონდა პატრიარქის მოსკოვში ვიზიტს და რას უპასუხებთ იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ კრიტიკითა და ლანძღვით არიან დაკავებულნი?**

— ორი მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი შეხვდა ერთმანეთს და რა არის აქ მიუღებელი?! საქართველოს პატრიარქი ასევე ხვდება მსოფლიოს პატრიარქს, ელადის მთავარეპისკოპოსს, რუსეთის პატრიარქს რატომ არ უნდა შეხვდეს?! ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი სულთანთან დადიოდა შეხვედრებზე; და იცით, რატომ დადიოდა? იმიტომ, რომ ბერძენ ხალხს, რომელიც იმხანად თურქების ტყვეობაში იმყოფებოდა, ამოესუნთქა. ახლა ვინმემ არ იფიქროს, მაგალითად, გივი თარგამაძისნაირმა ადამიანებმა, რომ იმ პატრიარქს თავისი ხალხი და სამშობლო არ უყვარდა. ცნობისთვის: რომ მიდიოდა, სახრჩობელა მიჰქონდა ხოლმე და, როცა გაბრაზდებოდა სულთანი მისი საყვედურებით, ამოიღებდა სახრჩობელას, ჩამომკიდე, არ მეშინია სიკვდილისო.

არ ვიცი, კონკრეტულად რაზე ილაპარაკეს მოსკოვში უწმინდესმა და რუსეთის პატრიარქმა, მაგრამ ვფიქრობ, თვით ფაქტი, რომ შეხვედრა გაიმართა, დადებითი მოვლენაა. საზოგადოდ, რატომ არ უნდა იყოს რუსი და ქართველი ერი ერთმანეთთან კარგად, ვერ გამიგია. ჯერ ერთი, ერთი რწმენის ხალხი ვართ და მეორეც — ჩვენი ისტორია, საუკუნეებია, გადაჯაჭვულია ერთმანეთს. კი, იყო უსიამოვნებებიც, იყო ომი და უბედურებაც, მაგრამ დადებითიც ხომ ბევრი გვახსოვს. ახლა გამოდის ზოგიერთი, „დიდი მცოდნე“ ისტორიისა და ამბობს, ერეკლე მეორემ შეცდომა დაუშვა, როცა გეორგიევსკის ტრაქტატი გააფორმაო. ქართლი და კახეთი გაწყვეტილი იყო, სულ რამდენიმე ასეული ათასი კაცი ცხოვრობდა. სად ვიქნებოდით დღეს, რომ არა ერეკლეს გადაწყვეტილება?! არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **თუ სწორად მოვიქცევით, ღმერთი აფხაზეთსაც დაგვიბრუნებს, სამაჩაბლოსაც და ტაო-კლარჯეთსაც, თურქ „ძმებს“ რომ აქვთ დღეს მიტაცებული.**

**— დღეს რუსეთზე და მასთან ურთიერთობების დარეგულირებაზე საუბარი სერიოზულ რისკებს შეიცავს — პროდასავლური მედია და პოლიტიკური ჯგუფები მაშინვე კრემლის აგენტობაზე იწყებენ ხოლმე საუბარს.**

— იმიტომ, რომ დასავლეთს სჭირდება ასე. ეს ნაციონალები, ხომ ყველამ ვიცით, ვის დაკვეთას ასრულებენ... დასავლეთში ყველაზე არაკეთილსინდისიერ პარტიებთან თანამშრომლობენ.

თარგამაძე რომ ამბობს, მძიმე საყურებელია ჩემთვის ეს ვიზიტიო, მისთვის საერთოდ ქრისტიანობაა მძიმე ასატანი და საყურებელი. მღვდელს რომ ხედავს, ეკლესიას, მორწმუნე ადამიანს, აწუხებს. გულწრფელად ვურჩევ, მოვიდეს ეკლესიაში და შეინანოს ყველა ცოდვა. მერე აღარ იქნება მძიმე საყურებელი პატრიარქის შეხვედრები. საერთოდ, ყველას ვურჩევ, ამ ადამიანების ლაპარაკს ყურადღება არ მიაქციონ. **ესენი არიან დაქირავებული პროპაგანდისტები და, რასაც ლაპარაკობენ, იმიტომ კი არა, რომ საქართველოს ბედი აწუხებთ, არამედ იმიტომ, რომ ასე სჭირდებათ მათ მბრძანებლებს დასავლეთში.**

**— მათი მთავარი „არგუმენტი“ რუსეთის მიმართ არის ის, რომ ამ ქვეყანასთან დიალოგს აზრი არ აქვს. ისინი თვლიან, რომ, რაც უნდა მოვინდომოთ, კრემლთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ.**

— მაშინ გვითხრან, რას აქვს აზრი — ომს? სისხლისღვრას? ქრისტე სახარებაში ამბობს: თუ დამპყრობელი შენზე ძლიერია, გაუგზავნე ელჩობა, მიართვი საჩუქრები, რომ, როცა მოვა და დაიპყრობს შენს ქვეყანას, ბოროტება არ ჩაიდინოს. რა, „ლიბერალები“ ქრისტეზე ჭკვიანები არიან?! მტერთან მოსალაპარაკებლად ჩასვლასაც ხომ ვაჟკაცობა უნდა? ვფიქრობ, დღეს **გმირია ის ადამიანი, რომელიც რუსეთთან მოლაპარაკებას შეძლებს, რომელიც შემოატრიალებს ამ პროცესებს და დადებით მუხტს შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობაში.**

**— როგორ ფიქრობთ, პატრიარქს შეუძლია ამის გაკეთება?**

— ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს პატრიარქებმა, მაგრამ, თუ ამ ორი ადამიანის შეხვედრის შემდეგ შევრიგდებით, მაგას რა სჯობს.

**— რუსებისა და ქართველების ერთმორწმუნეობის თემა სკეპტიკოსების მხრიდან მუდმივად ქილიკის საგანია. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურ ჭრილში დღეს მნიშვნელოვანია რელიგიური ფაქტორი?**

— ვეკითხები იმ ხალხს, რომელიც ერთმორწმუნეობაზე ქილიკითა და ირონიით საუბრობს: საერთოდ, გწამთ ღმერთი? ხართ ეკლესიურები? ზოგიერთი ამბობს, მართლმადიდებელი ვარო, მაგრამ მისი ცნობიერება შორსაა მართლმადიდებლობისგან.

**«ჩვენი მთავარი პრობლემა დღეს ის კი არ არის, რომ დაძაბული ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან, უბედურება არის ის, რომ იმ ადამიანებს არ ალაპარაკებენ ერთმანეთთან, რომლებსაც შეუძლიათ ხალხების შერიგება»**

რაც შეეხება რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობას პოლიტიკაში, ისტორიას გადავხედოთ: თავის დროზე ერთმორწმუნე იმპერია იყო ბიზანტიაც, მაგრამ **ვახტანგ გორგასალი** მთელი ცხოვრება ბერძნებს ებრძოდა. ლაშქრობაც მოაწყო კონსტანტინოპოლზე და დამარცხებული ქალაქი არ აიღო. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე კი, იცით, რა დაწერა? — ბერძენთ სიყვარული არ მოეშალოთო. ამის გამო გაუნაწყენდნენ სპარსელები და მერე იმათ გაუმართა ომი.

**ჩვენი მთავარი პრობლემა დღეს ის კი არ არის, რომ დაძაბული ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან, უბედურება არის ის, რომ იმ ადამიანებს არ ალაპარაკებენ ერთმანეთთან, რომლებსაც შეუძლიათ ხალხების შერიგება.** აქედან იწყება სხვა პრობლემები... და ლაპარაკობენ ისინი, ვისაც არც სამშობლო მიაჩნიათ არაფრად და არც ხალხი. მხედველობაში მყავს წინა ხელისუფლება. „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ადარდებდა არც ტერიტორიული მთლიანობა, არც სოციალური სიდუხჭირე და არც სხვა რამ. მათ ქვეყნის მართვა აგებული ჰქონდათ ცრუ პიარზე და ყველაფერს აკეთებდნენ, ოღონდ თვითონ ყოფილიყვნენ კარგად.

**— წამყვანი მედიასაშუალებებიც აქტიურად ეწევიან ანტირუსულ პროპაგანდას, პატრიარქი და სამღვდელოება ლამის ერის მოღალატეებად გამოაცხადონ. როგორ ფიქრობთ, მუშაობს რეალურად ეს პროპაგანდა?**

— ეს პროპაგანდა თავიდან ბოლომდე არის ყალბი და საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამას ხედავს. კი ბატონო, არ მაქვს საშუალება, ტელევიზიით გამოვიდე და სიმართლე ვილაპარაკო, მაგრამ ჩვენკენ არის ღმერთი. სახარებაში წერია, რომ ქრისტეს სამწყსომ მისი ხმა იცის. როცა უცხო ლაპარაკობს, ხალხი არ უსმენს და, როცა მღვდელთმსახური ამბობს მაცხოვრის სიტყვას, ადამიანი მას იღებს. **ერთ მხარეს არის სამღვდელოება და ეკლესია, რომელიც ავრცელებს უფლის სიტყვას და მეორე მხარეს არის ცრულიბერალების ხროვა, რომელიც თავისუფლების სახელით გაშმაგებული ეწევა გარყვნილების, ღვირახსნილობისა და ამორალურობის პროპაგანდას.** აქვე მინდა შევეხო ერთ საკითხს, რომელიც ჩვენმა ე.წ. ლიბერალებმა ამ ბოლო პერიოდში ისევ წამოწიეს, ვგულისხმობ მარიხუანის ლეგალიზების მოთხოვნას. წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ფხიზელი გონება, ანუ ისეთი რაღაც არ უნდა ჭამოს ან დალიოს, რაც გააბრუებს. ერთი მოციქული ამბობს, რომ მემთვრალე კაცი ვერ ცხონდება. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — **ლოთი თუ ვერ ცხონდება, კაცი, რომელიც დამოკიდებულია ნარკოტიკზე, ცხონდება?!** ეს ადამიანები, არც მეტი, არც ნაკლები, ეშმაკს ემსახურებიან შეგნებულად. მხედველობაში მყავს ის ადამიანები, რომლებიც მარიხუანის ლეგალიზებას ითხოვენ. მაგათ უნდათ, რომ მეორე ავღანეთი გავხდეთ, იქ ოპიუმს მოიყვანენ, აქ — მარიხუანას, მაგრამ იმედი მაქვს, ხელისუფლება ამას არ დააკანონებს...

**— და თუ დააკანონებს, რა მოხდება?**

— თუ ხელისუფლება დააკანონებს ცოდვას, დაკარგავს ღვთის წყალობას და შემდეგ ამ ხელისუფლებას მისი მტრები, ვგულისხმობ „გირჩისნაირ“ სუბიექტებს, ადვილად დაამხობენ. თუ უნდათ, რომ შეინარჩუნონ მშვიდობა, არ უნდა მიიღონ კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთს. პირიქით — ყველანაირად უნდა ეცადონ, ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანა და გავრცელება აღიკვეთოს.

ახლა ამ ყველაფერს სხვა კუთხითაც შევხედოთ: **დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია, არის ტოტალური უმუშევრობა და სიდუხჭირე. ახალგაზრდებს საერთოდ არაფრის გაკეთება არ სურთ, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ამას კიდევ ნარკოტიკების ლეგალიზება დაემატება. ქართველი ერი გაუბედურდება და გაქრება. ამიტომ ვამბობ, რომ ქვეყნის მტერია ის, ვინც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას ითხოვს. მათ ძალიან კარგად იციან, რა შედეგი მოჰყვება ამას და, რასაც ითხოვენ, შეგნებულად ითხოვენ.**

ღმერთმა თქვა: არ მოკლა, არ მოიპარო, არ იმრუშო, არ დასწამო ცილი. რატომ ამბობს ღმერთი ამას? იმიტომ, რომ ამ აკრძალვით კაცს აჩერებს. და, როცა კანონი კრძალავს ნარკოტიკის მიღებას, ამის შიშით თუნდაც ერთმა ადამიანმა რომ არ მოწიოს, ის ერთი მაინც ხომ გადარჩება? **ერს, რომელსაც, სულ რაღაც, ორასი წლის ისტორია აქვს, მოზეზრდა უზნეობა და ჩვენ დავიწყოთ?! ამერიკელები და ევროპელები მოეგნენ გონს და ჩვენ ჩავეფლოთ ამ უმსგავსობაში?! იტალიის პარლამენტში ტუჩებში აკოცეს კაცებმა კაცებს, ქალებმა ქალებს. დღეს ვერ ხედავთ იქ რა ხდება, ყოველდღე მიწისძვრაა. ახლა ვიღაც იტყვის, ეს ტექტონიკური მოვლენებიაო, მაგრამ ეს არ არის სწორი. ღმერთმა დაუშვა და იძრა მიწა, ღმერთმა ინება და მოვიდა ჭექა-ქუხილი, ღმერთმა ინება და მოვიდა სეტყვა, ღმერთმა ინება და დაწვა სოდომ-გომორი...**

უწმინდესი უნდა ჩავიდეს რუსეთში, ეს ძალიან კარგია. ამით მან მაგალითი მისცა ხელისუფლებას. ჩვენ უნდა ველაპარაკოთ რუსებს, ოღონდ არა იმისთვის, რომ დავთმოთ, არა, იმისთვის, რომ უბედურება არ განმეორდეს.

**— უწმინდესმა რუსეთის პატრიარქი საქართველოში მოიწვია. როგორ ფიქრობთ, მოხერხდება დღევანდელ ვითარებაში ეს ვიზიტი?**

— რატომ ვერ მოხერხდება ან რატომ არ უნდა მოვიწვიოთ?! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მომღერლები ჩამოჰყავთ და მილიონები ჯდება რაღაც უაზრო ტაშ-ფანდურა, რუსეთის პატრიარქის ჩამოსვლაში რა დაინახეს ცუდი? როკერები რომ ჩამოჰყავთ და ნარკოტიკით გაბრუებულები ჩხავიან ღია ცის ქვეშ, ეს არის კარგი?! რომის პაპი რომ ჩამოვიდა, ხომ უხაროდათ „ლიბერალებს“, ლოცვისთვის ჩამოდისო, იქნებ მისი უწმინდესობა რუსეთის პატრიარქიც ლოცვისთვის მოდის, რას უშლით, ჩამოვიდეს... ცხადია, ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის, ეს ყველაფერი შეგნებულად ხდება, რათა მართლმორწმუნე ხალხებს ერთმანეთი სამუდამოდ შეგვაძულონ.

**«სურთ, მართლმორწმუნე ხალხებს ერთმანეთი სამუდამოდ შეგვაძულონ»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მეინსტრიმულ" მასმედიაში დაუშვებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკის დასავლური კურსის კრიტიკა და ალტერნატიული აზრის დასაბუთებული გამოხატვა. თუკი მსგავსი რამ სატელევიზიო ეთერში დაიშვება, მხოლოდ მკაცრი წინაპირობით: ალტერნატიული აზრის მქონე ერთ პირს რამდენიმე აგრესიულად განწყობილი დასავლური კურსის აპოლოგეტი უნდა დაუპირისპირდეს ტელეწამყვანის აუცილებელი მხარდაჭერის პირობებში.**

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, განსაკუთრებით „მესამე პრეზიდენტის" ცხრაწლიანი მმართველობის შედეგად, მრავალი პროფესია გაუფასურდა. ეს გაუფასურება, თავის მხრივ, უკავშირდება განათლების სისტემის მოშლას, რადგან ნაკლებად განათლებული ახალგაზრდობა იკავებს ძლიერი პროფესიონალების ადგილს, მაგრამ ახალმა ცხოვრებამ და ორიენტირების აღრევამ ისიც განაპირობა, რომ მთელი რიგი პროფესიებისა გახდა დაუფასებელი, ნაკლებ განათლებულ ახალგაზრდობას აღარ სურს, დაეუფლოს უწინ საჭირო და აუცილებელ პროფესიებს, რადგან არც სახელმწიფო და არც ბიზნესი ამ პროფესიებს აღარ სწყალობენ და არ აფინანსებენ.**

# «რუსული პროპაგანდის» აბსურდულობის შესახებ



გულბაათ რცხილაძე

ამჯერად საუბარი მაქვს ჟურნალისტის პროფესიაზე, რომელზეც დღევანდელ საქართველოში მოთხოვნა საკმაოდ დიდია, მაგრამ პრობლემას ქმნის ჟურნალისტიკის სფეროში გაუნათლებელი ახალგაზრდების მოზღვავება. ეს პროცესი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო. რატომღაც მიიჩნეოდა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებს ჟურნალისტიკაში აღარაფერი ესაქმებოდათ. **განსაკუთრებით სატელევიზიო ეკრანი აითვისეს ტლიკინა და ქარაფშუტა გოგო-ბიჭებმა. მთავარი ყურადღება მიექცა „ვიზუალს", სხვადასხვა გარეგნულ ეფექტს, შინაარსი კი უკანა პლანზე გადავიდა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, გაქრა ჟურნალისტური პროფესიონალიზმი, მაგრამ ახალგამოჩეკილი „ჟურნალისტების" ისტერიკული წივილ-კივილი მაყურებელს უქმნიდა განცდას, რომ იგი ტელეეკრანზე ხედავს „სენსაციებს", ჟურნალისტების მიერ მოპოვებულ „ექსკლუზივს" და, საერთოდ, ყოველ საღამოს მას მუდამ რაღაც მნიშვნელოვანს ამცნობენ.**

ეს იყო მართული პროცესი და არა შემთხვევითობა. **მნიშვნელოვანწილად სწორედ ფსევდოჟურნალისტიკის წყალობით მომწიფდა საქართველოში „ვარდების რევოლუციის" ტიპის გადატრიალების წინაპირობები, რომელიც ჩვენი საზოგადოების დაკნინებასა და დაბეჩავებაზე მიუთითებს.** იმ მომენტიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება საზოგადოების იდეოლოგიური დამუშავება. ე. წ. მეინსტრიმული (ინგლისური სიტყვიდან **mainstream**, რომელიც ორი სიტყვისაგან შედგება: „მაინ" — მთავარი და „სტრეამ" — დინება, მიმდინარეობა) ელექტრონული მედია, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდთან შედარებით თავისუფალი გახდა. დღეს შესაძლებელია, ძირითადი სატელევიზიო არხების საშუალებით უფრო ხშირად მოვისმინოთ ხელისუფლების მძაფრი კრიტიკა, ვიდრე ეს „ნაცების" პერიოდში იყო. უფრო ადრე, შევარდნაძის მმართველობის (თუ ამას მმართველობა ერქვა) დასასრულს, პრეზიდენტს უშვერი სიტყვებითაც ლანძღავდნენ მასმედიაში... **იცვლება დრო, იცვლება მასმედიის მუშაობის სტილი, გუშინდელი ტლიკინა გოგო-ბიჭები უფრო დაღვინდნენ და პროფესიონალ ჟურნალისტებად ვერ (და არ), მაგრამ „საინფორმაციო ქილერებად" ნამდვილად ჩამოყალიბდნენ.** ბევრი რამ შეიცვალა სიტყვის თავისუფლების ხანის დადგომის შემდეგ, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მაგრამ არ იცვლება ერთი რამ: **„მეინსტრიმულ" მასმედიაში დაუშვებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკის დასავლური კურსის კრიტიკა და ალტერნატიული აზრის დასაბუთებული გამოხატვა. თუკი მსგავსი რამ სატელევიზიო ეთერში დაიშვება, მხოლოდ მკაცრი წინაპირობით: ალტერნატიული აზრის მქონე ერთ პირს რამდენიმე აგრესიულად განწყობილი დასავლური კურსის აპოლოგეტი უნდა დაუპირისპირდეს, ტელეწამყვანის აუცილებელი მხარდაჭერის პირობებში.** სასურველია, განსხვავებული აზრის მქონე ოპონენტი აბუჩად იქნას აგდებული, გაილანძღოს, სხვადასხვა ეპითეტით შეიმკოს (რომელთაგან „რუსეთუმე" ყველაზე მსუბუქი ლანძღვაა) და წარმოჩნდეს მარგინალად. სწორედ ეს არის პროპაგანდა — სიცრუესა და ცილისწამებაზე აგებული ბინძური პროპაგანდა, თუმცა დასავლური სტრუქტურების მიერ მართული ქართველი პროპაგანდისტები პრევენციის მიზნით სხვებს სდებენ ბრალს პროპაგანდაში და განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც აშკარაა ხალხის შემობრუნება მეზობელი რუსეთისკენ და დასავლეთით სრული იმედგაცრუება. ისინი ყველგან და ყველაფერში რუსეთის ნამოქმედარს ხედავენ.

ერთხელ მომიწია „მეინსტრიმული" ტელევიზიით გამოსვლა, ეს იყო 2013 წლის მარტში „იმედის" ეთერში, გადაცემა **ვახო სანაიას** მიჰყავდა. დამიპირისპირეს აწ განსვენებული **კახა ბენდუქიძე** და კიდევ ორი რადიკალი რუსოფობი და პროამერიკელი ქალბატონი. არ ვიცი, რატომ ამომარჩიეს ოპონენტად მაინცდამაინც მე. ჯერ უბრალო სიზარმაცის გამო არ მინდოდა წასვლა და ამ ალიაქოთში მონაწილეობა, მაგრამ გადაცემის პროდიუსერმა ქალბატონმა ისე დაბეჯითებით მთხოვა, ხათრი ვერ გავუტეხე. შეიძლება ვინმეს ეგონა, რომ როგორც სხვა ოპონენტები ცახცახებდნენ რუსეთში გამობრძმედილი ბენდუქიძის წინაშე, მეც ასე დამემართებოდა და ამ მოლოდინით მიმიწვიეს. რაც უნდა ცუდი პირობები შექმნან პროპაგანდისტებმა, იმ შემთხვევაში, თუ დისკუსია თანაბარი ძალისა და მომზადების ოპონენტებს შორის მიმდინარეობს, ამ ბრძოლის შემობრუნება სავსებით შესაძლებელია. **გასამარგინალებლად მიწვეულ რესპონდენტზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუკი იგი ფსიქოლოგიურად მზად არის პროვოკაციებისთვის და თავისი საქმის პროფესიონალია, საბოლოო ჯამში, ისევ ბენდუქიძეს აეშალა ნერვები და სატელევიზიო ეთერში ჩართული ლაშა ჟვანიას მისამართით უწმაწური გამონათქვამით დაამახსოვრა თავი მაყურებელს.** ამის შემდეგ რამდენჯერმე იყო მცდელობა, მივეწვიეთ მსგავსი ტიპის გადაცემებში, მათ შორის, „გეორგიევსკის ლენტის" თემაზე საკამათოდ, მაგრამ სადისკუსიო ფორმატისა და მათში მონაწილე ოპონენტების უაღრესად დაბალი დონიდან გამომდინარე, უარი განვაცხადე. იმიტომ კი არა, რომ ამაყი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ვიცი: **დაუჯდები მცირე კალიბრის პროვოკატორს საკამათოდ და, სულ რომ პლატონისეული სიბრძნე ილაპარაკო, ავტომატურად გამარგინალებული და გაშარჟებული ხარ.**

მაგრამ **იქნებ რუსეთი მართლა ეწევა პროპაგანდას საქართველოში? მერე რა, რომ ამერიკას ჰყავს აქ თავისი პროპაგანდისტები, ევროპასაც ჰყავს და იქნებ სწორედ ამიტომ უფროა რუსეთი მოწადინებული, თავისი პროპაგანდა აწარმოოს ჩვენს ქვეყანაში?**

ახლახან ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სწორედ რუსეთის მიერ წარმოებულ პროპაგანდაზეა საუბარი, რეზოლუციაში კონკრეტული მედიასაშუალებებიცაა დასახელებული, პირველ რიგში, ჰოლდინგ **„როსსია სეგოდნია"**-ში შემავალი ინგლისურენოვანი ტელევიზია **RUSSIA TODAY** და სააგენტო **„სპუტნიკი"**. იქვეა მოცემული რიგი პოლიტიკური და ანალიტიკური ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებსაც თითქოს რუსეთი აფინანსებს ევროპელთა შორის განხეთქილების შესატანად. საინტერესოა, რომ ამ რეზოლუციაში საინფორმაციო საფრთხეებად რუსული ორგანიზაციების გვერდით ისლამისტურ ორგანიზაციებიც არის დასახელებული... დიდ ბრიტანეთში იგეგმება აკრძალვა Russia Today, რომელსაც ბრიტანულმა ბანკებმა უარი უთხრეს თანამშრომლობის გაგრძელებაზე, საბანკო ოპერაციების გარეშე კი მსგავსი ორგანიზაციის მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამ მხრივ **საქართველოში მოქმედ დასავლეთის მარიონეტ ორგანიზაციებს ზურგი გამაგრებული აქვთ — ესენიც ხომ „რუსულ პროპაგანდას" ებრძვიან და ძალზე განიცდიან იმას, რომ მთელი რიგი არამეინსტრიმული მედიასაშუალებებისა, მათ შორის, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო", არ იზიარებს დამღუპველ დასავლეთზე ორიენტირებულ 25-წლიან კურსს.** ეს თურმე ყოფილა იმის საფუძველი, რომ დაგვადანაშაულონ „რუსული პროპაგანდის" განხორციელებაში. ამ თემას მომავალ პუბლიკაციებში აუცილებლად მივუბრუნდები, მაგრამ ამჯერად უფრო სხვა რამეზე გავამახვილებ ყურადღებას. კერძოდ, **შეერთებული შტატების არჩევნებმა აჩვენა, რომ საკუთრივ დასავლეთში ხალხს ეჭვი ეპარება მეინსტრიმული მასმედიის კეთილსინდისიერებაში. ვითომ სოლიდური გამოცემები — „ნიუ იორკ ტაიმსი", განსაკუთრებით „ვაშინგტონ პოსტი", სხვა გაზეთები, აგრეთვე, ტელევიზიები (მაგალითად, „სი-ენ-ენი"), ყოვლად უსირცხვილო კამპანიას ეწეოდნენ დონალდ ტრამპის საწინააღმდეგოდ და ჰილარი კლინტონის სასარგებლოდ. აღარაფერს ვიტყვი იმაზე (მრავალი მაგალითი გამომიქვეყნებია), თუ როგორ ცრუობს დასავლური მასმედია საერთაშორისო მოვლენების გაშუქებისას, მხოლოდ სირიაში მიმდინარე ომი რად ღირს... მაგრამ ახლა ეს მასმედია ისე შორს წავიდა სიცრუის ტირაჟირებაში, რომ საკუთარ ქვეყნებში ცდილობენ ხალხის ნების ჩახშობას.**




მაგრამ ამომრჩეველმა მატყუარა მასმედია დასაჯა. დღეს ამ მედიასაშუალებებმა არ იციან, რით იმართლონ თავი. გერმანიაში, მაგალითად, ლიბერალური მეინსტრიმის ლიდერი **„შპიგელი"**, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, იძულებული შეიქნა, ფინანსური პრობლემების გამო შეემციროს შტატები. ეს პროცესი გარდაუვალია სხვა ქვეყნებშიც. ამიტომ ბუნებრივია, რომ დასავლეთის მოსახლეობა უფრო მეტად ენდობა Russia Today-ს, რომელიც არა იმდენად რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრება დასავლელ მაყურებელს, არამედ მის ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე. ეს ტელეარხი ტრიბუნას აძლევს ყველა პოლიტიკური ორიენტაციის საზოგადო მოღვაწეს, პოლიტიკოსს, ექსპერტს — განსხვავებით მეინსტრიმული მასმედიისაგან, რომელსაც შერჩეული ჰყავს კომენტატორების ვიწრო წრე. სწორედ მეტი ობიექტურობა, მეტი ინფორმაცია, მეტი სიმართლე მეტ პროფესიონალიზმთან ერთად(!) გახდა საფუძველი იმისა, რომ დასავლეთის ბიუროკრატიამ თავი არაკომფორტულად იგრძნო და „რუსულ პროპაგანდაზე" ალაპარაკდა.

გვიანდელი საბჭოთა კავშირის პერიოდში დასავლეთში იცოდნენ, რომ საბჭოთა პროპაგანდა დასავლეთის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ სეგმენტზე იმოქმედებდა — რადიკალ მემარცხენეებზე, მონარქისტო ელემენტებზე, იდეურ მარქსისტებზე... ეს სეგმენტი არ იყო დიდი და, შესაბამისად, დასავლეთის ბიუროკრატია შედარებით მშვიდად იყო, მაგრამ **დასავლეთში ახლა უკვე მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილება იკვეთება და ობიექტური ინფორმაცია, მიწოდებული რუსული თუ ნებისმიერი სხვა მედიასაშუალებით, გაცილებით დიდი საფრთხის შემცველია მათთვის. დიახ, საფრთხის შემცველია ბიუროკრატიისთვის, მაგრამ არა დემოკრატიისთვის.** ჭეშმარიტი დემოკრატია სიმართლეს მოითხოვს, საჯაროობას, აზრთა სხვადასხვაობას, კომპეტენტურ და საქმიან დისკუსიას. ერთი შეხედვით, პარადოქსია, მაგრამ ეს ყველაფერი „დიქტატორი" სტალინისდროინდელ საბჭოთა კავშირში უკეთ იყო უზრუნველყოფილი, ვიდრე დღევანდელი დასავლეთის ბევრ ქვეყანაში და ამ დასავლეთის სათარეშო არენად გადაქცეულ საქართველოში.

**გულბაათ რცხილაძე**

**განსაკუთრებით სატელევიზიო ეკრანი აითვისეს ტლიკინა და ქარაფშუტა გოგო-ბიჭებმა. მთავარი ყურადღება მიექცა «ვიზუალს», სხვადასხვა გარეგნულ ეფექტს, შინაარსი კი უკანა პლანზე გადავიდა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, გაქრა ჟურნალისტური პროფესიონალიზმი, მაგრამ ახალგამოჩეკილი «ჟურნალისტების» ისტერიკული წივილ-კივილი მაყურებელს უქმნიდა განცდას, რომ იგი ტელეეკრანზე ხედავს «სენსაციებს», ჟურნალისტების მიერ მოპოვებულ «ექსკლუზივს» და, საერთოდ, ყოველ საღამოს მას მუდამ რაღაც მნიშვნელოვანს ამცნობენ**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ტრანსგენდერებისთვის სქესის გამოცვლის პროცედურების საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღებას ნანუაშვილი სასწრაფოდ ითხოვდა. არადა, კრინტი არ დაუძრავს იმ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის დეკემბერში ცნო პოლიტპატიმრებად და რომელთა საქმეებიც დღემდე არ არის გადახედილი...“**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# რატომ არ ინტერესდება პოლიტპატიმრების მდგომარეობით სახალხო დამცველი?

**ამას წინათ ადამიანის უფლებებზე გულდათუთქულმა საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სისი ლოუნი“ დისკრიმინაციულ ქმედებაში დაადანაშაულა. ატყდა განგაში და კრუნჩხვებში ჩავარდნილმა ლიბერალურმა სამგლეთმა ზემოაღნიშნული ორგანიზაციის თავზე, რომ იტყვიან, წისქვილის ქვა დაატრიალა. უკმაყოფილების მიზეზი იყო ერთ-ერთი სარეკლამო რგოლი, რომელშიც წარმოდგენილია სცენა, როგორ ეწევიან ადამიანები პროსტიტუციას. რეკლამაში მთავარ პერსონაჟ მამაკაცს აცვია კაბა და ახურავს პარიკი, რაც თურმე ტრანსგენდერების უფლებების უხეში დარღვევაა. ომბუდსმენის აზრით, კომპანიამ ეს რეკლამა ეთერიდან სასწრაფოდ უნდა მოხსნას და მომავალში სარეკლამო რგოლების მომზადებისას პატივი უნდა სცეს ადამიანის ღირსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად შესაბამისი რეგულაციები ამოქმედდება და საერთაშორისო ნორმების დამრღვევთ კანონის რისხვა დაატყდებათ თავს.**



**მოგვიანებით ომბუდსმენის სამიზნე ვაკის საცურაო აუზი გახდა და მიზეზი აქაც ადამიანის უფლებებზე გაშმაგებული ზრუნვა იყო — აუზის ტერიტორიაზე გაკრულია წარწერა: „ძვირფასო ქალბატონებო, კრიტიკულ დღეებში აუზში ჩასვლა აკრძალულია.“ განცხადებაში, რომელიც სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა, ნათქვამია, რომ ეს წარწერა სექსისტური შინაარსისაა: „მენსტრუალური ციკლი არის უნიკალური მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ქალებისთვის არის დამახასიათებელი და შესაბამისად „ვაკის საცურაო აუზს“ მივმართავთ წინადადებით, რომ, ჰიგიენური ნორმების დაცვის საჭიროების არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერი ამკრძალავი წარწერა გენდერულად ნეიტრალური ფორმით ჩამოყალიბდეს.“**

**მოკლედ, საკმარისია, ქუჩაში გამოკრული რომელიმე სარეკლამო ბილბორდი ან სატელევიზიო რგოლი რომელიმე არასამთავრობო შიბაქს არაპოლიტკორექტულად მოეჩვენოს, ბრიფინგი ბრიფინგს მოსდევს და საჩივარი — საჩივარს. პოლიტკორექტულობაში ღრმად განსწავლული ლიბერალები ერთი და იმავე ტერმინებით პირში მოგახლიან სოროსის მიერ დაფინანსებულ „ტრეინინგზე“ ნასწავლ აზრს, რომ „შენი“ ქმედება ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს უხეშად არღვევს, რომ მსგავსი რიტორიკა „ბნელი საბჭოთა“ გადმონაშთია და ამ ყველაფერს ისევ იმ წარსულში მივყავართ.**

**სად გადის ზღვარი ადამიანის ჭეშმარიტ თავისუფლებასა და დასავლური „ნეოლიბეალური“ ტერორის მიერ თავსმოხვეულ პოლიტკორექტულობას შორის, რა მიზანს ემსახურება რეალურად სახალხო დამცველის აპარატი და კონკრეტულად რა ძალების მითითებით მოქმედებს? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ბოლო პერიოდში კვირა ისე არ გავა, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ამა თუ იმ რეკლამას სექსისტური არ უწოდოს, საგანგებო ბრიფინგი არ მოაწყოს და განცხადება არ გაავრცელოს. ყოველ სიტყვასა და წინადადებაში დისკრიმინაციას ხედავენ. თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ ფიქრობთ, რა არის რეალურად ადამიანის უფლებები და რა შეიძლება მივიჩნიოთ დისკრიმინაციად გენდერული ან რამე სხვა ნიშნით?**

— ჯერ გავიხსენოთ, როგორ და რა ვითარებაში მოხდა **უჩა ნანუაშვილის** არჩევა ომბუდსმენად. 2012 წლის სექტემბერში გამოცხადდა ღია დებატები საჯარო სივრცეში სახალხო დამცველობის მსურველ კანდიდატებს შორის, რომლებიც წარდგენილნი იყვნენ ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ან საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ და ყველას გვახსოვს, ვინ მონაწილეობდა ამ დებატებში. ესენი იყვნენ: ქალბატონი **ნინა ხატისკაცი** — დღეს ვიცემერი, **თამარ გურჩიანი, ლია მუხაშავრია, ნათია იმნაძე,** ბატონი **გელა ნიკოლაიშვილი** და თქვენი მონა-მორჩილი. ჩვენ შორის გაიმართა საკმაოდ მწვავე დისკუსიები და ამას ფართოდ აშუქებდა თითქმის ყველა მედიასაშუალება. ასეთ რეჟიმში ვიყავით სამი თვე და ამ ხნის განმავლობაში უჩა ნანუაშვილის სახელი არათუ ნახსენები იყო, საერთოდ, პრეტენდენტთა შორის არ განიხილებოდა. დეკემბერში მივიღე ქალბატონი **მანანა კობახიძის** მიერ ხელმოწერილი წერილი, რომ პარლამენტს სურს, მოისმინოს ჩემი, როგორც სახალხო დამცველის კანდიდატის, საანგარიშო მოხსენება. მეორე დღესვე ჩავედი ქუთაისში, იქ იყვნენ სხვა კანდიდატებიც და საკმაოდ საინტერესო დისკუსია გამოვიდა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ყველა ელოდა, რომ ომბუდსმენს აირჩევდნენ სწორედ ამ კანდიდატებიდან, მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ — პარლამენტში ჩვენი გამოსვლიდან მესამე დღეს სახალხო დამცველად დასახელდა უჩა ნანუაშვილი, რომელიც ამ პროცესში არ მონაწილეობდა. შემდეგ ბატონი ნანუაშვილისგან მოვისმინეთ არაერთი განცხადება თუ ინიციატივა, რომლებიც დაკავშირებული იყო ულტრალიბერალური ფრთის ინტერესებთან. ტრანსგენდერებისთვის სქესის გამოცვლის პროცედურების საკანონმდებლო ნორმატიული აქტების მიღებას ნანუაშვილი სასწრაფოდ ითხოვდა. არადა, კრინტი არ დაუძრავს იმ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის დეკემბერში ცნო პოლიტპატიმრებად და რომელთა საქმეებიც დღემდე არ არის გადახედილი...

ჩნდება შეკითხვა — **რატომ არ ინტერესდება პოლიტპატიმრების მდგომარეობით სახალხო დამცველი? რატომ არ ინტერესდება იმ ფაქტით, რომ მათი სამოქალაქო უფლებები დღემდე არის შეზღუდული, რომ მათი ქონებები ისევ დაყადაღებულია და მესამე წელია, განიცდიან დისკრიმინაციას უკვე ახალი ხელისუფლებისგან. არაფერს ვამბობ იმ რეალობაზე, რომ საარსებო მინიმუმით გათვალისწინებული თანხების გაანგარიშების წესის არარსებობის პირობებში 834 ათასი მოქალაქე სოციალური ნიშნით დისკრიმინაციას ექვემდებარება; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მათ მიერ მიღებული საპენსიო თანხა — 180 ლარი, მესამედიც კი არ არის იმ თანხისა, რომელიც შეესაბამება ჩვენს საარსებო ნორმებს.** აი, ეს თემებია მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული და არა ის, რომ რომელიღაც ბილბორდის წარწერა თურმე ვიღაცის უფლებებს არღვევს. ეს ყველაფერი არის თითიდან გამოწოვილი თემები და სასაცილოა, როცა სახალხო დამცველი თითიდან გამოწოვილ თემებზე იმხელა ხმაურს ტეხს, რომ ლამის მსოფლიო შეძრას...

**— სახალხო დამცველად ნანუაშვილის არჩევა ბევრისთვის აღმოჩნდა მოულოდნელობა. როგორ ფიქრობთ, პარლამენტში ვინ ლობირებდა მის დანიშვნას?**

— ხელისუფლება დასავლეთის კარნახით, თავდაპირველად **თამარ გურჩიანის** დანიშვნას აპირებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ კანდიდატის მიმართ საზოგადოება მკვეთრად უარყოფითად განწყობილი იყო. მერე გადაერთნენ მეორე ფავორიტზე — **ნინა ხატისკაცზე**, რომელსაც ასევე ლობირებდნენ დასავლური ძალები და იმჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობის გარკვეული ნაწილი. თუმცა აქაც იგივე მოხდა — მწვავე დებატებისა და დისკუსიის პროცესში ცხადი შეიქნა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ხატისკაციც მიუღებელი იყო. ბოლოს პარლამენტი წავიდა არაორდინალური გზით — უარი თქვა ყველა კანდიდატზე, რომლებიც მონაწილეობდნენ საჯარო დისკუსიებში და დანიშნეს სულ სხვა პიროვნება. დღეს შეკითხვა რომ დაუსვათ იმჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობის ნებისმიერ წევრს, რომლებიც კენჭისყრაში მონაწილეობდნენ, რატომ დაუჭირეთ მხარი უჩა ნანუაშვილსო, პასუხს ვერც ერთი ვერ გაგცემთ. მეტსაც გეტყვით, **უჩა ნანუაშვილი საერთოდ უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისთვის და მის მიმართ არანაირი ნდობა-არნდობის საკითხი არ დადგებოდა, რომ არა უმრავლესობის ლიდერებისა და პირადად ბიძინა ივანიშვილის ღია მხარდაჭერა.**

**რაც შეეხება იმას, რომ დღეს ჩვენი ე.წ. ნეოლიბერალები ყველა სიტყვასა და ფრაზაში დისკრიმინაციას ხედავენ, ეს არის დასავლეთის მიერ თავსმოხვეული პოლიტკორექტულობა, რომელიც, დიდი ხანია, სრულ აბსურდამდე მივიდა.** ეს აბსურდი ახლა გამოიყურება ძალიან კომიკურად და დასავლეთში მიმდინარე ძირეული პოლიტიკური გარდაქმნები ცხადყოფს, რომ მალე ეს ყველაფერი კრახით დასრულდება.

**— ამერიკის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია სწორედ პოლიტკორექტულობის კრიტიკით დაიწყო. ამის გამო მას დასავლური პოლიტელიტა მწვავედ აკრიტიკებდა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ტრამპმა გაიმარჯვა. რას შეცვლის საქართველოსთვის, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ტრამპის გამარჯვება? გაუჩნდებათ თუ არა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შანსი იმ სუბიექტებს, რომლებიც ნეოლიბერალური ძალების მიერ არ იქნებიან მხარდაჭერილნი?**

— თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ემყარება კონსერვატიულ იდეებს და ამის ნათელი დადასტურება იყო **ჯონ კენედის** მიერ 1963 წლის ნოემბერში წარმოთქმული ისტორიული ფრაზა, რომლითაც, ფაქტობრივად, ამხილა საიდუმლო ორგანიზაციები თავისუფალი სამყაროს წინააღმდეგ შეთქმულებაში. ამ ისტორიული ფრაზის წარმოთქმიდან ზუსტად ათ დღეში კენედი სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ მისი იდეები უკვდავი დარჩა.

რაც შეეხება ტრამპის გამარჯვებას, ვფიქრობ, ეს არჩევნები ჩვენთვის უნდა იყოს მაგალითი და იქნებ ახლა მაინც ვიპოვოთ საკუთარ თავში ძალა, რომლითაც რეალურად დავუპირისპირდებით თავსმოხვეულ ე.წ. ნეოლიბერალურ ღირებულებებს. წინ თვითმმართველობის არჩევნებია, მერე — საპრეზიდენტო და აი, აქ უნდა გაერთიანდეს საზოგადოება, აქ უნდა იყოს ხალხი ფხიზლად, რომ ისევ იმავე ძალებმა არ ჩაიგდონ ხელთ ძალაუფლება...

**— აშკარაა, რომ ევროპაში ნაციონალისტური ძალები ძლიერდებიან და ემზადებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად. საქართველოში თუ ხედავთ ეროვნულ ძალას, რომელსაც ქვეყნის სათავეში მოსვლის რეალური შანსი შეიძლება გაუჩნდეს?**

— მსგავს ძალას დღევანდელ ხელისუფლებაში ნამდვილად ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება კლინტონის გამარჯვებას ელოდებოდა. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში ამერიკაში „ნეოლიბერალური“ ძალებისგან ისმის ძალიან აგრესიული განცხადებები და ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ემზადებიან რევანშისთვის. საქართველოშიც ანალოგიური რამ ხდება — **სხვადასხვა „უფლებადამცველი“ ორგანიზაცია, იქნება ეს ქალთა მოძრაობა თუ ფემინისტები, იდაყვებს იგლეჯენ. ვფიქრობ, 2017 წლის 17 მაისი იქნება მათი აქტიურობის კულმინაცია და ყველანაირად შეეცდებიან, პროვოკაციაზე წამოიკიდონ კონსერვატიული განწყობის მქონე საზოგადოება.**

ეროვნულ ძალებზე რომ მკითხეთ, ასეთ ძალებს პოლიტიკურ სპექტრში ნაკლებად ვხედავ, მაგრამ საზოგადოების წიაღში ნამდვილად არიან. უბრალოდ, საჭიროა მათი კონსოლიდირება და ერთ ძლიერ ბირთვად ჩამოყალიბება. კიდევ ვიმეორებ: საქართველოში „ნეოლიბერალების“ ტრიუმფი დამთავრებულია და დღეს ისინი აგონიაში არიან. ახლა საჭიროა, ეს აგონიაში მყოფი ჯგუფი მოვაშოროთ სადავეებს და გავისტუმროთ პოლიტიკურ მოუსავლეთში. მისი ადგილი კი დაიკავოს ძალამ, რომელიც ქვეყანას სწორი და ჯანსაღი განვითარების გზით წაიყვანს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მოკლედ

## ევროკავშირმა თურქეთთან მოლაპარაკება შეწყვიტა

**ევროპარლამენტმა ევროკავშირში თურქეთის გაწევრების შესახებ მოლაპარაკების შეჩერებას მხარი დაუჭირა. მანამდე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ანკარასა და ბრიუსელს შორის ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა. ამის მიზეზად მან თურქეთში სიკვდილით დასჯის განახლების შესახებ კანონპროექტის ინიცირება და მასობრივი დაპატიმრებები დაასახელა. ევროკავშირში გაერთიანებას თურქეთი 1987 წლიდან ელის.**

თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ევროპის ქვეყნები ტერორისტებთან კავშირში დაადანაშაულა. იგი უნდობლობას უცხადებს ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას თურქეთის ინტეგრაციის შესახებ მოლაპარაკებების შეჩერებაზე, ალტერნატივას ის თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციაში გაწევრებაში ხედავს. ერდოღანი ევროკავშირს არალეგალი მიგრანტებისთვის თურქეთის საზღვრების გახსნით ემუქრება. ექსპერტები ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას ერდოღანის მიერ არჩეულ ხისტ პოლიტიკასა და განცხადებებს უკავშირებენ.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელშიც თურმე ეროვნული ვალუტის გაუფასურება და გაფარჩაკება ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესებით ყოფილა განპირობებული! ჰო, მართლა, ეს ჩვენი საზოგადოების იმ, გულუბრყვილო კი არადა, შტერი ნაწილის კიდევ ერთმა „პერსონა-იმედგაცურებამ“, მისმა „უგაწონასწორებულესობამ“ პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრძანა.**

# მიჯირყვნილ კოჰაბიტირებულთა მიჰეჯირება

**აი, ამ სამი სიტყვით შეიძლება შეფასდეს ჩვენი მდგომარეობა ახალი პარლამენტის არჩევისა და ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ. „საოცნებო“ დეპუტატებმა არ აკმარეს ქართველ ამომრჩეველს, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეთა მოადგილეებად ნაცების არჩევით თვალნათლივ რომ დაანახვეს, რაც მიქარა და ლარის არნახული გაუფასურებაც მასვე დააბრალეს — აქაოდა, თქვე ეკონომიკურად გაუნათლებლებო, რომ დაგილიათ პირი და აგილიათ ბანკებისგან ვალები დოლარში და ახლა წუწუნებთ, თავის დროზე დაგეჰეჯირებინათ და ამდენს აღარ იზარალებდითო...**

ყველაზე გულდასაწყვეტი ქართველი საზოგადოების ნაწილისთვის სწორედ ის არის, რომ ეს სიტყვები ფინანსთა ახალმა მინისტრმა **დიმიტრი ქუმსიშვილმა** თქვა. საუბარია საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც ყოველი ახალი მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებისას გულუბრყვილოდ სჯერა,— აი, ახლა კი გვეშველება და მიხედავენ ხალხსო. სხვათა შორის, არ ვგულისმხობ მხოლოდ **ბიძინა ივანიშვილის** ხელისუფლების პერიოდში დამტკიცებულ ახალ მინისტრთა კაბინეტებს. ეს თვისება ქართველი საზოგადოების ამ ნაწილს ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან ჩამოუყალიბდა და დღემდე ჯიუტად მოსდევს. **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლებას, უბრალოდ, არ დასცალდა მინისტრთა კაბინეტის შეცვლა, თორემ, დარწმუნებული ვარ, იქაც იგივე ამბავი იქნებოდა. მოკლედ, რამდენჯერაც დაარტყამს ხელს მაგიდაზე მორიგი ბელადი და მინისტრთა კაბინეტის შეცვლას გადაწყვეტს, საზოგადოების ეს გულუბრყვილო ნაწილი იმდენჯერ ხბოს აღტყინებით შესძახებს ხოლმე, — აი, ახლა კი დადგა ნანატრი ჟამიო! რაღა დაგიმალოთ და, როდესაც ეს 20 წლის განმავლობაში გრძელდება, უკვე გულუბრყვილობა კი არა, ამას შტერობა ჰქვია.

სწორედ ასეთი შტერიზმის მომდევართა მორიგი კერპი გახლდათ დიმიტრი ქუმსიშვილი, რომლითაც უკვე დიდი ხნის „მიფარჩაკებული“ **ნოდარ ხადურის** ჩანაცვლებას უამრავ ეკონომიკურ-ფინანსურ-მატერიალურ იმედს უკავშირებდა ხსენებული შტერი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. თუმცა, **სწორედ ქუმსიშვილი გამოდგა ყველაზე ხანმოკლე „იმედი“ ყველა დანარჩენ „იმედს“ შორის. თუკი ხადურმა „ფინანსურ შოკუნიებზე“ მინისტრის პორტფელის მოპოვებიდან ერთ წლის მერე ისაუბრა, ქუმსიშვილმა ფინანსთა მინისტრად დანიშვნისთანავე მოხსნა ყველა მანამდელი მინისტრის სულელური გამოთქმების რეკორდი.**

„მოსახლეობა ლარის გაუფასურების გამო იმიტომ დაზარალდა, რომ მათ აქვთ აღებული ბანკებიდან სესხები უცხოურ ვალუტაში და ფინანსური ცოდნის სიმწირის გამო, არ შეეძლოთ დაეჰეჯირებინათ აღნიშნული ტრანზაქციები“, — ეს სიბრძნე დიმიტრი ქუმსიშვილმა ეკონომიკის მინისტრის პორტფელის ფინანსთა მინისტრის პორტფელზე გადაცვლისთანავე თქვა და იმედით აღავსო მოსახლეობა, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა უახლოეს მომავალში გამოსწორდება.

ეს სიტყვები ირონია გგონიათ? არა, ბატონო! **განა არ უნდა გვქონდეს ისეთი ფინანსთა მინისტრის იმედი, რომელიც უბრალოდ კი არ გვეუბნება, რომ ხალხის კეთილდღეობაზე იზრუნებს, არამედ გვპირდება, შეგვასწავლოს ეკონომიკური მეცნიერებანი თავისი ტრანზაქციების ჰეჯირებით და მთელი ქვეყანა ფინანსების სპეციალისტებად გვაქციოს, აბა, რა!**

ადრეც ვამბობდი, ჰეჯირება გვჭირდება-მეთქი! რა, **ამ ხნის განმავლობაში ერთი-ორი კარგი მარკშეიდერიც არ უნდა გვყოლოდა?**

უნდა გვყოლოდა და გვექნებოდა ახლა ჰეჯირებული ტრანზაქციები და ვიქნებოდით ბედნიერად. უბრალოდ, **ჩვენ ხომ უმადურები ვართ. ბიძინამ უკანალიდან ცოცხები გამოგვილო 2012 წელს და ჩვენ კიდევ ერთი უბრალო კოჰაბიტაციაც არ ვაპატიეთ ნაცებთან. რა მოხდა მერე, თუ 9 წლის განმავლობაში ჯალათების მხარდამჭერი რამდენიმე ვირთხა თანამდებობებზე დაწინაურდა? აკი, ჰეჯირების არგაკეთების გამო დაზარალებისა არ იყოს, ეს კოჰაბიტაციაც აქეთ დაგვაბრალეს — რა გაწუწუნებთ და რა გაბრაზებთ, კოჰაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალაო.**

კიდევ კარგი, ის მაინც არ უთქვამს ბიძინა ივანიშვილს, მედიის მიჯირყვნაც რომ ქართველმა ხალხმა დაავალა და ამ ერთში მაინც შეგვიძლია ხალხმა მშვიდი სინდისით ვიძინოთ.

დანარჩენი კი, ყველაფერი, ჩვენი ბრალია. ისიც ჩვენი ბრალია, რომ ბანკები, უბრალოდ, არ იძლევიან სესხს ლარში და მხოლოდ დოლარზე გაცემულ სესხებზე არიან თანახმა. ვიცი, აქ რომელიმე „ძანჰეჯირებული“ ეკონომიკის ექსპერტი გამომიხტება და დამანახვებს საქართველოში მოქმედი ბანკების შემოთავაზებებს ლარში სეხის გაცემის თაობაზე, მაგრამ, ეს რომ ფორმალობაა, ამაზე არავინ ფიქრობს.

სინამდვილეში, **როგორც კი სესხს ლარში მოითხოვ, ბანკი, რა თქმა უნდა, ოფიციალურად არ გეტყვის, ლარში სესხს არ მოგცემო, მაგრამ რაღაც მარტივი მიზეზით, მაგალითად, იმის გამო, რომ ბოლო თვეებში შენი ხელფასი არ იყო ზუსტად ერთი და იმავე მოცულობისა და შეინიშნებოდა გარკვეული ცვლილებები, აუცილებლად უარი მოგივა.**



**განა არ უნდა გვქონდეს ისეთი ფინანსთა მინისტრის იმედი, რომელიც უბრალოდ კი არ გვეუბნება, რომ ხალხის კეთილდღეობაზე იზრუნებს, არამედ გვპირდება, შეგვასწავლოს ეკონომიკური მეცნიერებანი თავისი ტრანზაქციების ჰეჯირებით და მთელი ქვეყანა ფინანსების სპეციალისტებად გვაქციოს, აბა, რა!**

რა, **ვითომ ამ მაგიური „ჰეჯირების“ შესახებ მხოლოდ ფენომენმა ქუმსიშვილმა იცის და ბანკების მესვეურებმა — არა? განა ბანკებმა არ იციან, რომ მათთვის დოლარში სესხის გაცემა გაცილებით მომგებიანია, ვიდრე ლარში? ჰოდა, თუკი მათ არავიან ავალდებულებს, ლარში გასცენ სესხები, როგორ ფიქრობთ, შტერები არიან და უფრო მეტი მოგებისთვის არ იმუშავებენ?**

ისე, **ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილს გამოვუტყდებით და ვეტყვით, რომ ჰეჯირებას დავარქმევთ თუ „ასკუმალებას“ ან „ფუნდუშტენობას“ ან სხვა რამეს, დიდი ფინანსური ცოდნა ამას არ უნდა, და ჩვენც, მოსახლეობამაც, შესანიშნავად ვიცით, რომ ბანკიდან სესხის გამოტანა ლარში ჯობია.**

ალბათ, როგორ გაუკვირდა ახლა ეს ბატონ „ჰეჯირებულს“. მაგრამ ასეა — ნებისმიერმა პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ, თუ გსურს, შენი გადახდისუნარიანობა ნაკლები რისკის ქვეშ იყოს, სესხი ბანკიდან ლარში უნდა აიღო. ერთი ეგაა, ამ „წყეულ“ ბანკებს არავინ აიძულებს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, აუცილებლად და მხოლოდ ლარებში გასცენ სესხები.

ისე, **ჩვენ გაუთვითცნობიერებელნი და უმეცარნი ვართ და ხომ ვერ გვეტყვის ბატონი ქუმსიშვილი, ვინ უნდა აიძულოს ბანკები, სესხები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გასცენ? ნუთუ სახელმწიფომ?.. მოიცა, იმ სახელმწიფომ ხომ არა, რომლის ფაქტობრივი მმართველი მილიარდერი 4 წლის წინათ სიამაყით ამბობდა, საქართველოში საბანკო სექტორი გამართულად მუშაობსო?!**

ეს სწორედ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებია და ბატონი მილიარდერი ამას ამბობდა და ამბობს მაშინ, როდესაც, გამონაკლისის გარეშე, **საქართველოში მოქმედი ყველა საბანკო დაწესებულება სინამდვილეში ოფიციალური ყაჩაღი და რეკეტირია.**

აქედან გამომდინარე, არც არის არავითარი იმედი, რომ ოდესმე ვინმე ბანკებს მიხედავს, დაარეგულირებს მათ მართლა თავხედურ და ყაჩაღურ მიდგომას მომხმარებელთან და საქართველოს მოქალაქეებს მათი მხრიდან ასეთი ცინიკური დამოკიდებულებისგან იხსნის.

**აკი, ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელშიც თურმე ეროვნული ვალუტის გაუფასურება და გაფარჩაკება ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესებით ყოფილა განპირობებული! ჰო, მართლა, ეს ჩვენი საზოგადოების იმ, გულუბრყვილო კი არადა, შტერი ნაწილის კიდევ ერთმა „პერსონა-იმედგაცურებამ“ — მისმა „უგაწონასწორებულესობამ“ პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბრძანა.**

ყველაზე საგანგაშო სწორედ ეგაა, რომ მხოლოდ ორიოდე მინისტრი არ აფრქვევს სიბრძნეს ე.წ. ბიძინას მთავრობებში. ეს უკვე მესამე პრემიერმინისტრია და მესამე შემადგენლობა მინისტრთა კაბინეტისა და, შეიძლება ითქვას, არც ერთ მათგანს არ აკლდა „ბრძნული ფრაზების“ რახარუხი.

უბედურებაც ის არის, რომ სხვებს მაგალითს თვითონ ბიძინა აძლევს. აბა, გავიხსენოთ: **„მე რომ ვთქვი, მეოთხე წელს საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთ — ეს იყო წამოცდენა“.** კარგად თუ დავუკვირდებით, ბატონმა „პელემ“ შანსი არც ამაში დაუტოვა თავისი გუნდის წევრებს, რადგან ამაზე უარესი სისულელის თქმა პოლიტიკასა და სახელმწიფოს მართვის საქმეში, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

დანარჩენი ფრაზები სწორედ ამ „გენიალური“ ფრაზის პირმშოა და ყოველი მათგანის „გაპრავება“ შეიძლება ბიძინასეული „წამოცდენის თეორიით“.

არც ის არის გამორიცხული, მალე მართლაც ჩვენ, ხალხს, გადაგვაბრალონ ზემოთ ხსენებული მედიის მიჯირყვნაც და ამით დასრულდება კიდეც მიჯირყვნილ კოჰაბიტირებული მოსახლეობის მიჰეჯირება... **უფრო ზუსტად, ჩაჯირყვნილ ჩაკოჰაბიტირებულთა ჩაჰეჯირება... ან როგორც გნებავთ.**

ჰო, მართლა, „დედოლარიზაცია“, არ მინდა, გამომრჩეს და კიდევ ჩვენი „ჩემპიონი“ განათლების მინისტრის უნიკალური მიღწევები მეცნიერების სრულიად ახალ დარგში — „ზღაპართმცოდნეობაში“. აი, **ალექსანდრე ჯეჯელავა,** ეტყობა, მართლაც ყველა დროისა და ყველა მინისტრის რეკორდს ძალიან ხანგრძლივი დროით მოხსნის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელმა საქართველომ სულ „ჩერჩეტი“ უძახა, ეს კაცი მაინც თავისას მიერეკება და გასულ კვირაში კიდევ არაერთხელ გაიმეორა თავისი შტერული მოსაზრებები ქართული ხალხური ზღაპრების აუცილებელი და სასწრაფო გადაკეთების თუ კიდევ სხვა „ინოვაციური“ ხედვების შესახებ.

დარწმუნებული ვარ, **სხვა მინისტრებს ჯეჯელავას პოპულარობისა მალე ძალიან შეშურდებათ, თავიანთ პოტენციალს შტერობების ლაპარაკში ისინიც სრულად გამოიყენებენ და გპირდებით, მომავალი 4 წლის განმავლობაში არ მოვიწყენთ.**

**საქართველოში მოქმედი ყველა საბანკო დაწესებულება სინამდვილეში ოფიციალური ყაჩაღი და რეკეტირია**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ შეიძლება ჩვენი სიამაყე, ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებელი ვიღაც ბაკალავრს (მით უმეტეს, ბაკალავრთან გათანაბრებულს) ვანდოთ? მეტიც — მე, მაგალითად, სულაც დოქტორობას ან აკადემიკოსობას მოვთხოვდი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის კანდიდატს.**

# დირექტორ-აკადემიკოსი, დამრიგებელ-უფლებადამცველი და სხვა...

**საზოგადოებრივ მაუწყებელს მაგისტრი-დირექტორი ეყოლება! — ეს ფრიად სასიხარულო ამბავი ამ დაწესებულების ე.წ. ბორდის, ანუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამოქვეყნებული განცხადებიდან შევიტყვეთ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პირობებში გარკვევით წერია პუნქტი: „გენერალური დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი“. რა თქმა უნდა, მაგისტრის გარეშე, ღვინის გარეშე, ტიკის გარეშე, აბა, ვინ გაფრენილა?!**



**მაქვს იდეა: დავაყენოთ ერთმანეთის პირისპირ თეა წულუკიანი და „ლაკა“-ელენე ხოშტარია, დავუდოთ თითო სპორტული „შტანგა“, სიმძიმეების ნაცვლად ბოლოებზე მივუმაგროთ წიგნები და ჩავატაროთ შეჯიბრება: ვინ უფრო მეტ და მძიმე წიგნს აწევს. მსაჯად საერთაშორისო კატეგორიის გრანტიჟლაპია, უფლებადამცველ-დამრიგებელი ია ანთაძე გამოდგება. მივცეთ ერთი კაი „შვიშტოკი“ და უფშტვინოს, რა გვენაღვლება?!**

**როგორ შეიძლება ჩვენი სიამაყე, ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებელი ვიღაც ბაკალავრს (მით უმეტეს, ბაკალავრთან გათანაბრებულს) ვანდოთ? მეტიც — მე, მაგალითად, სულაც დოქტორობას ან აკადემიკოსობას მოვთხოვდი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის კანდიდატს.**

აბა, სად ვილაც ბაკალავრი, რომელმაც იკმარა 4-წლიანი უმაღლესი განათლება, შემდეგ დრო სატელევიზიო საქმის ათვისებასა და პროფესიონალ „ტელევიზიონშიკად“ ჩამოყალიბებას შეალია და სად, მაგალითად, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ან აკადემიკოსი?! განა ნათელი არ არის, რომ ის უკეთესად გაუძღვება სატელევიზიო საქმეს, ვიდრე ვილაც „ტელევიზიონშიკი“ ბაკალავრი?!

რა ვიცი, ჩემებურად შევეცადე, ამეხსნა და რამენაირად გამემართლებინა იმ ადამიანების სულელური აზროვნება, რომლებიც ტელევიზიის დირექტორს მთავარ მოთხოვნად მაგისტრის მეცნიერულ ხარისხს უყენებს...

საზოგადოდ, რაღაცნაირი „მეცნიერულ-საგანმანათლებლო“ კვირა იყო გასული კვირა. დედა ენის ბაღში „მეფის“ ძეგლის დადგმაც ხომ ამას მოწმობს?! ქართული კულტურის „მეფედ“ რომ ადამიანი **ირაკლი ჩარკვიანს** მოიხსენიებს, ასეთი ადამიანის გემოვნებაზე ნამდვილად არ და ვერ ვიდავებ, მაგრამ ნამდვილად ვიდავებ იმაზე, რომ ქალაქში ძეგლები ადამიანთა ერთი ჯგუფის მოთხოვნით არ უნდა იდგმებოდეს. აკი, ოფიციალური ცნობით, თბილისის მერიამ თურმე მოქალაქეთა ჯგუფის მოთხოვნა შეასრულა, როდესაც დედა ენის ბაღში ირაკლი ჩარკვიანის სკულპტურული კომპოზიციის აღმართვა რამდენიმე ათასი ლარით დააფინანსა. მაინტერესებს, მოქალაქეთა სხვა ჯგუფებმა რომ მოითხოვონ დედაქალაქის სხვადასხვა ბაღსა და სკვერში ამა თუ იმ მუსიკოსის, პოეტის, მხატვრის ძეგლის დადგმა, მერია ანალოგიური ენთუზიაზმით დააფინანსებს?

თუმცა, როგორც ჩანს, ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, ვის რამდენი ტონა წიგნი აქვს წაკითხული. კვირის კიდევ ერთ მთავარი თემაც ხომ ეს იყო — იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანსა** და საპარლამენტო უმცირესობის, ანუ ნაცების ახალი სახის — **ელენე ხოშტარიას** შორის სიტყვიერი დაპირისპირება „წიგნიერ შეურაცხყოფაში“ გადაიზარდა და წულუკიანმა პირდაპირ მიახალა „ლაკას“ (ეს ელენე ხოშტარიას „კლიჩკა“ ყოფილა) — შენ რომ პლეხანოვზე ქუჩაში იდექი, ძველბიჭობდი (ეტყობა, აქ გოგოობა არ უხდება) და „ბირჟაობდი“, მე მაშინ წიგნებს ვკითხულობდიო!

ვინ გინდა გყავდეს ადამიანს იმაზე ეფექტიანი დამცველი, ვიდრე საკუთარი კლასის ყოფილი დამრიგებელია? მით უფრო, როდესაც ეს ყოფილი დამრიგებელი ამჟამად სწორედაც ადამიანის უფლებების დამცველია და, თანაც, როდესაც ეს დამრიგებელ-უფლებადამცველი **ია ანთაძეა?!**

ჰოდა, იამაც სჭექა კომპეტენტური აზრი „ლაკას“ შესახებ: **„მე ვიყავი იმ ვარსკვლავების კლასის დამრიგებელი და მანდ ლაკა ყველასაგან გამოირჩეოდა ცოდნითა და განათლებით, მას ბავშვობაშივე ტონა წიგნები ჰქონდა წაკითხული!“**

ბრწყინვალეა! მაქვს იდეა, დავაყენოთ ერთმანეთის პირისპირ თეა წულუკიანი და „ლაკა“-ელენე ხოშტარია, დავუდოთ თითო სპორტული „შტანგა“, სიმძიმეების ნაცვლად ბოლოებზე მივუმაგროთ წიგნები და ჩავატაროთ შეჯიბრება: ვინ უფრო მეტ და მძიმე წიგნს აწევს. მსაჯად საერთაშორისო კატეგორიის გრანტიჟლაპია, უფლებადამცველ-დამრიგებელი ია ანთაძე გამოდგება. მივცეთ ერთი კაი „შვიშტოკი“ და უფშტვინოს, რა გვენაღვლება?!

# სად დასაქმდნენ პარტიებიდან წასული ლიდერები

**პოლიტიკურად და ფინანსურად გაკოტრების შემდეგ პაატა ბურჭულაძის პარტია გამოსავლის ძიებაშია და მის გუნდთან ერთად ახალ იდეებზე მსჯელობს. როგორც ჩვენთვის შეიქნა ცნობილი, მსოფლიო ბანს მეტად გასჭირვებია და ფინანსების მოსაზიდად ბიზნესის წამოწყებას გეგმავს.**

ჩვენი კორწყაროს ცნობით, ბურჭულაძე მოსწავლეებს ფორტეპიანოს დაკვრაში მოამზადებს, წლოვანება — 10-დან 18 წლამდე. როგორც შევიტყვეთ ბატონი პაატა არც შინ მომზადებაზე ამბობს უარს და მზად არის, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებთან სახლში იაროს. ფასები კი მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვაა. **მუსიკა+ფორტეპიანო+სელფი პაატასთან ღირს 100 დოლარი, შესაძლებელია 6-თვიანი განვადება. სამუსიკო სკოლა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, მიტოვებულ შენობაში მდებარეობს და სარემონტო სამუშაოებს პარტიის თანაგუნდელები საკუთარი ძალებით ატარებენ.**

**ხათუნა ლაგაზიძე** იმ დღეს წყევლის, როცა ის ბურჭულაძის გუნდში მივიდა. ამის შესახებ მან სააგენტო „რაკეტას“ განუცხადა.

„რატომ მიწა არ გამისკდა და ჩამიტანა, როცა ამ პარტიაში მივედი. თავდაპირველად ყველაფერი მართლა კარგად იყო, ყოველდღე ჰამბურგერებს ვჭამდით, რესტორნებში დავდიოდით, „კოკა-კოლას“ ვსვამდით და ბოლოს შევამჩნიე, რომ გაწუწკდა, წუწუნებდა, — ფული აღარ არის და, რაც გვაქვს, ის ჭამეთო. არადა, ერთხელ ჩუმად დავინახე, ოთახში როგორ აწობდა მაიონეზში პურს და როგორ ჭამდა. წარმოიდგინეთ, თანაგუნდელებისთვის ენანებოდა და ქვეყნისთვის გაიღებდა რამეს? უი, ის დღე დაიწვას, როცა მე მანდ ფეხი შევდგი“, — განაცხადა ლაგაზიძემ.

**მერაბ მეტრეველის** შეფასებით, ბურჭულაძის ახალი ბიზნესწამოწყება ურიგო არ არის და მას წარმატებებს უსურვებს.

„ვფიქრობ, ყველას აქვს შანსი, დაიწყოს ახალი ცხოვრება ახალი ფურცლიდან. მეც ასე მოვიქეცი, როცა მედიიდან წამოვედი და პარტიაში მივედი, შემდეგ კი ისევ წამოვედი. სერიოზული დეპრესია მქონდა, რამდენიმე დღე ბაზრობაზეც ვიდექი, მედიაში დაბრუნებამდე თავი რომ გამეტანა. მადლობა ღმერთს, ისევ დამიძახეს ყოფილ სამსახურში და დღეს პურის ფულის პრობლემა არ მაქვს. ასე რომ, შრომა სულაც არ არის სათაკილო და მიხარია, თუ ბატონმა პაატამ ახალი გზა იპოვა“, — ამბობს მეტრეველი გაზეთ „დილის საუზმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

რაც შეეხება **„ეროვნულ ფორუმს“**, გასულ კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ **გუბაზ სანიკიძემ** დეზერტირების ბაზრის დირექტორის თანამდებობაზე შეთავაზება მიიღო, თუმცა მედიაში ინფორმაციის გაჟონვის შემდეგ მან ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და სხვა თანამდებობა ითხოვა. როგორც ჩვენი კორწყარო გვაუწყებს, ბატონ გუბაზს ხორცის სექციის მეთვალყურედ დანიშვნა მოუთხოვია და თანაც — ანონიმურობის სრული დაცვით, რაზეც ბაზრის დირექცია დაფიქრებულა და უთქვამს, მოვიფიქრებთ და დაგირეკავთო.

**მუსიკა+ფორტეპიანო+სელფი პაატასთან ღირს 100 დოლარი, შესაძლებელია 6-თვიანი განვადება. სამუსიკო სკოლა თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, მიტოვებულ შენობაში მდებარეობს და სარემონტო სამუშაოებს პარტიის თანაგუნდელები საკუთარი ძალებით ატარებენ**

პარტიის კიდევ ერთი აქტიური „სახე“ **ანი მიროტაძე** კი უკვე დასაქმდა და, როგორც შევიტყვეთ, ნამეტანი კმაყოფილია ახალი სამსახურით, ის ტანსაცმლის მაღაზიაში უფროს მოლარე-კონსულტანტის თანამდებობას იკავებს, სამუშაო გრაფიკი დილის 10-დან საღამოს 7 საათამდეა, რომლის შემდეგ ქალბატონი ანი მეორე სამსახურში ინაცვლებს და ეს სამსახური ერთ-ერთი საშაურმეა, რომელშიც ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ჩაუდგა სათავეში.

მოკლედ, დამარცხებული პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები უსამსახურობას არ უჩივიან, სამაგიეროდ, ზურგიდან მოიცილეს ქვეყანაზე დარდი და უძილო ღამეები, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, დარწმუნებული ვარ, ბევრი ექნებოდათ.

**გრიგოლ ინგაძე**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მეფემ ანისის მიზგითად ქცეული ტაძარი სომხებს დაუბრუნა. ტაძრის აღმშენებელი ბერძენთა დედოფალი კატრონიკე იქვე იყო დაკრძალული. დავითმა კათალიკოსსა და ეპისკოპოსებთან ერთად მიცვალებულს წესი აუგო და საფლავს სამგზის ჩასძახა „გიხაროდეს შენ, წმინდაო დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.**

## ისტორიული პერსონები



### ალექსანდრე ნეველი

**5 დეკემბერს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ალექსანდრე ნეველის დღეს აღნიშნავს.**

რუსი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, ნოვგოროდისა და ვლადიმირის დიდი მთავარი ალექსანდრე ნეველი 1220 წელს დაიბადა. 1236 წელს ალექსანდრე ნოვგოროდის მთავრად აირჩიეს. 1240 წელს მის სამთავროს შვედები დაესხნენ თავს. მდინარე ნევასთან ბრძოლა 15 ივლისს გაიმართა. რუსებმა ისარგებლეს ნისლით, უეცრად დაესხნენ თავს შვედებს და გაანადგურეს. ამ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ალექსანდრეს რუსმა ხალხმა „ნეველი“ შეარქვა.

1242 წელს ნოვგოროდის სახალხო ლაშქარმა სასტიკად გაანადგურა გერმანელი რაინდები და შეაჩერა მათი აგრესია აღმოსავლეთით. რუსეთში შემოჭრილ ტევტონთა და მახვილოსანთა ორდენების მიზანი რუსეთის მიწების დაპყრობა და იქ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება გახლდათ. გადამწყვეტი ბრძოლა 1242 წლის 5 აპრილს, გაყინულ ჩუდის ტბაზე გაიმართა. გერმანელები პირველები გადავიდნენ შეტევაზე. მძიმედ შეჯავშნილ და შეიარაღებულ რაინდებს ყინულმა ველარ გაუძლო და ტევტონთა ორდენის მეომრები ცივ წყალში ჩაცვივდნენ. ნეველს აღარ გასჭირვებია გამარჯვების მიღწევა.

ალექსანდრე ნეველმა გააერთიანა რუსეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთი მიწები. 1252 წელს გახდა ვლადიმირის დიდი მთავარი. 1256 წელს წარმატებით ილაშქარა ფინეთში შვედების წინააღმდეგ, რომლებმაც ერთხელ კიდევ სცადეს რუსეთში შემოჭრა.

რომის პაპმა ინოკენტი მეოთხემ ალექსანდრე ნეველს რომაული კათოლიციზმის მიღება შესთავაზა, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა. ნეველი 1263 წლის 14 ნოემბერს, ორმოცდასამი წლისა აღესრულა.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-43 (368-372)

## «ქართული რეკონკისტას» ლოგიკური დასასრული

**ისტორიას არ „უყვარს“ ექსპერიმენტები და, თუ ვინმე შეეცადა „ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას“, ხელი მოეცარა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში „ექსპერიმენტმა“ გაამართლა და ქვეყნის გასაერთიანებლად, პერიფერიიდან აგორებულმა „რეკონკისტულმა (ესპ. Reconquista დაბრუნება – დაკარგული ქრისტიანული მიწების დაბრუნების პროცესი პირენეის ნახევარკუნძულზე, რომლებიც დაკავებული ჰქონდა მავრების სამეფოს. აგრეთვე, ფართო მნიშვნელობით, მუსლიმებისა და იუდეველების ძალდატანებითი მონათვლა) ტალღამ“ საქართველოს გაერთიანების საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.**




საქართველო დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლოს

მკითხველთათვის უფრო გასაგები, რომ გახდეს, რას ვგულისხმობ, მცირე გადახვევას გავაკეთებ. მაგალითად, რუსეთის გაერთიანების პროცესი ამჟამინდელი დედაქალაქიდან, მოსკოვიდან, დაიწყო და ისტორიულმა პროცესებმა ის საბოლოოდ აქცია რუსეთის პოლიტიკურ ცენტრად. ერთი პერიოდი **პეტრე პირველი** შეეცადა ისტორიული კანონზომიერების წინააღმდეგ წასვლას და დედაქალაქი პეტერბურგში გადაიტანა, მაგრამ დღეს ისევ მოსკოვია რუსეთის პოლიტიკური ცენტრი. ანალოგიური რამის თქმა შეიძლება იერუსალიმზეც, ათენზეც, ლონდონზეც, ბერლინზეც.

საქართველოში კი ცოტა სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. **ჩვენთან ქვეყნის გაერთიანების იდეა თბილისში — ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრში კი არა, პერიფერიაში მომწიფდა. უცნაურია, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი არათუ ამ სასიკეთო პროცესების ავანგარდში იდგა, არამედ განზე გადგა, თითქოს მას არ ეხებოდა ეს პროცესები. უფრო მეტიც, დიდ წინააღმდეგობას უწევდა ქართველ მეფეებს და კბილებით იცავდა თავის „თვითმმართველობას“. საბედნიეროდ, დავით აღმაშენებელმა წერტილი დაუსვა ამ ისტორიულ ალოგიკურობას და „კონტექსტიდან ამოვარდნილი“ თბილისიც საერთო ქართულ ფერხულში ჩააბა.**

დიდგორზე მიღწეული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ თბილისის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. აღმაშენებელს უსისხლოდ სურდა ამ საქმის მოგვარება, მაგრამ გაუძალიანდნენ თბილისის დამცველები. თბილისის ალყამ, რომელიც 1121 წლის ბოლოს დაიწყო, ქალაქის მოსახლეობა მძიმე დღეში ჩააგდო. თბილისის მუსლიმმა მმართველებმა მეფესთან მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტეს — ელჩები გაუგზავნეს დავითს და ზავი ითხოვეს. მაგრამ აღმაშენებელს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თბილისი ცენტრალურ ხელისუფლებას უპირობოდ დამორჩილებოდა და ამიტომ ელჩებთან მოლაპარაკების გამართვაზე უარი განაცხადა. ქართულმა ჯარმა ქალაქზე გადამწყვეტი იერიში 1122 წლის თებერვლის შუა რიცხვებში მიიტანა და დიდი სისხლის ღვრის შემდეგ აიღო. **განრისხებულმა დავითმა თბილისელების მიმართ სიმკაცრე გამოიჩინა — ბევრი დახოცა, ხუთასი კაცი სარზე წამოაცვა და წამებით ამოჰხადა სული. განსაკუთრებული სისასტიკე იმ მოღალატე ქართველებისადმი გამოიჩინა, რომლებიც მტრის ბანაკში იმყოფებოდნენ და ხელს უშლიდნენ საქართველოს გაერთიანების მამულიშვილურ საქმეში.**

**აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა, გააუქმა ქალაქის თვითმმართველობა და თბილისი მეფის დანიშნულ მოხელეს დაუქვემდებარა.**

თბილისის დამორჩილების შემდეგ ჯერი ქალაქ დმანისზე მიდგა. დმანისს იმხანად მუსლიმი ამირა მართავდა. დმანისელები დიდგორის ბრძოლისას **ილღაზის** ლაშქარში იმყოფებოდნენ და, ბუნებრივია, მეფე უპასუხოდ არ დატოვებდა დმანისის ამირას ამ თავხედობას. 1123 წლის მარტში ქართველებმა ადვილად აიღეს დმანისი და მისი შემოერთებით დასრულდა ქართული მიწა-წყლის გაერთიანების პროცესი. ამის შემდეგ საომარმა ოპერაციებმა სომხეთსა და შირვანში გადაინაცვლა.

1123 წელს სელჩუკთა სულთანი **მუჰამედი** საქართველოს ყმადნაფიც შირვანში შეიჭრა. თურქებმა აიღეს ქალაქი შამახია, შირვანშაჰი კი შეიპყრეს. წარმატებებით გაყოყოჩებულმა სულთანმა ელჩის ხელით დავითს ქედმაღლური წერილი გაუგზავნა: „და გამოგზავნა მოციქული მეფის წინაშე და მოუწერა წიგნი და მორქუა: შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა, ხოლო მე ესე — რა შარვანშაჰ შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე და თუ გინდა, სამალავად გამოვედ და მნახე“.

კადნიერი სულთნის დასასჯელად დავითმა სასწრაფოდ შეკრიბა 50 000 მეომარი (ძირითადად, ყივჩაღები) და შირვანისკენ დაიძრა. ალყაში მოქცეული სულთნის დასახსნელად რანის ათაბაგი მოადგა ქალაქ შამახიას და ბრძოლა გაუმართა ქართველებს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო შეშინებულმა სულთანმა გაქცევით უშველა თავს. აღმაშენებელი სულთანს აღარ დადევნებია, ვინაიდან მეფის ჯარში ყივჩაღებსა და ქართველებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და იძულებული შეიქნა, უკან დაბრუნებულიყო. თუმცა 1 თვის შემდეგ, 1123 წლის ივნისში, ახალი ლაშქრობა მოეწყო შირვანზე. დავითმა „აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანა“.

1124 წლის აპრილში მეფემ დაიკავა „შარვანისა ციხენი ლასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა“. შემოდგომაზე ისევ ილაშქრა შირვანზე, ამჯერად ციხე ბირიტი აიღო და შირვანი სრულიად გაათავისუფლა სელჩუკებისაგან. მათ ციხეებსა და ქალაქებში თავისი მოლაშქრეები ჩააყენა (ეს მოლაშქრეები იყვნენ ჰერები და კახელები). ქვეყანა უშუალოდ დავითს დაექვემდებარა და მას მეფის მიერ დასმული მოხელე მართავდა. შირვანის ზედამხედველობა და გამგებლობა დაევალა **სიმონ ჭყონდიდელ — მწიგნობართუხუცესსა** და ბედიელ-ალავერდელს, რომელიც **გიორგი ჭყონდიდელ — მწიგნობართუხუცესის** დისწული იყო, მისივე მსგავსი, „კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“. აქედან მოკიდებული დავითი ატარებდა შირვანშაჰის ტიტულსაც.

1124 წელი საქართველოს გამარჯვებების პერიოდი იყო. საქართველოს სამეფო იწყებს აქტიურ მოქმედებას მეზობელი სომხეთის ყოფილი სამეფოების ტერიტორიების სელჩუკი დამპყრობლებისაგან გასათავისუფლებლად. მაისში „აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი“. დავითი ამავე წლის ივნისში, „წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის და რაც პოვა თურქმანნი მოსრა და ტყუე ჰყო“.

სომეხმა დიდებულებმა დავითი მიიწვიეს ანისიდან მუსლიმანთა განსადევნად და ქალაქის გასათავისუფლებლად. დავითის ისტორიკოსი დიდი სიზუსტით გადმოგვცემს ანისის თავკაცების მისიის შესახებ. „და აგვისტოსა ოცსა მივიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მო- ▶

## იცით თუ არა, რომ:

ტერმინი „პიროსის გამარჯვება“ უკავშირდება ეპირის ლეგენდარული მეფე პიროსს. მას სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული რომაელებთან. ძველი წელთაღრიცხვით 278 წელს ასკულუმთან გამართულ ბრძოლაში, მართალია, პიროსმა ლაშქრის თითქმის ნახევარი დაკარგა, მაგრამ გამარჯვება მას დარჩა. როდესაც გამარჯვებულს წარმატება მიულოცეს, ეპირის მეფემ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და მე არმიის გარეშე დავრჩები..“

ამის შემდეგ ტერმინი „პიროსის გამარჯვება“ იქცა დამარცხების ტოლფასი გამარჯვების ან დიდი დანაკარგის ფასად მიღწეულ წარმატების სინონიმად.





მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი იყო სტალინგრადის ბრძოლა, სადაც ორივე მხრიდან 2,1 მილიონი ადამიანი დაიღუპა. ბრძოლა 1943 წლის 2 თებერვალს გერმანელთა ჯარების კაპიტულაციით დასრულდა.

## ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲙᲐᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲣᲚᲗᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲐ 50 000 ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲧᲘᲕᲩᲐᲦᲔᲑᲘ) ᲓᲐ ᲨᲘᲠᲕᲐᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ. ᲐᲚᲧᲐᲨᲘ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲗᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲐᲓ ᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲗᲐᲑᲐᲒᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲨᲐᲛᲐᲮᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲨᲔᲘᲢᲧᲝ, ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲗ ᲣᲨᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲕᲡ.

◀ ახსენეს მოცემა ქალაქისა“. ქალაქი ანისი მახლობელი აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი იყო, ამ პერიოდში ქალაქს ფლობდა **ᲐᲑᲣᲚ-ᲐᲡᲕᲐᲠᲘ**, რომელმაც 1118 წელს მამამისი **ᲛᲐᲜᲣᲩᲔ** შეცვალა. ის ძალიან ავიწროებდა ქალაქის მოსახლეობას, უდიერად ეპყრობოდა მათ სარწმუნოებას. ჩამოიტანა ვერცხლისაგან გამოჭედილი უზარმაზარი ნალი (ნახევარმთვარე) და სომხური ეკლესიის გუმბათზე დაადგმევინა. ასევე, გადაწყვიტა ანისი 60 000 დინარად ქალაქ კარის (ახლანდელი ყარსი) სელჩუკი ამირასთვის მიეყიდა. ბუნებრივია, ამ მოქმედებამ ანისის მოსახლეობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. **ᲐᲜᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ, ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲛᲐᲠᲗᲐᲗ.**

დავითიც თანაგრძნობით შეხვდა ანისელთა თხოვნას, სამ დღეში 60 000 მხედარი შეკრიბა და ანისისკენ გაემართა. „მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და სოფელნი და ქვეყანანი მიმდგომნი ანისისანი.“ ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „უჭირველად“ მოხდა ანისის აღება, „ერთ სულსაც არ მოსვლია სისხლის ზიანი“. დავითს მანუჩეს შვილები ანისიდან გაუძევებია, თბილისს გაუგზავნია. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲒᲘᲗᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲐ. ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲗᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲙᲐᲢᲠᲝᲜᲘᲙᲔ ᲘᲥᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ. ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲐᲣᲒᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲫᲐᲮᲐ „ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲜ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲝ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲝ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲣᲡᲯᲣᲚᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ“.**

დავითმა ანისი და მისი მიმდგომი ქვეყანა საქართველოს სამეფოს შემოუერთა და მცველებად მესხი აზნაურები დატოვა. შემდეგ დაიპყრო ვანანდისის და არარატის პროვინციაში მდებარე ოლქები, აგრეთვე, ქვეყნები კასპიის ზღვამდე. **ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲔᲚᲩᲣᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐᲛ ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲜᲘᲙᲝᲤᲡᲘᲘᲓᲐᲜ (ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲣᲐᲤᲡᲔ) ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲐᲛᲓᲔ (ᲓᲔᲠᲑᲔᲜᲢᲘ) ᲓᲐ ᲝᲕᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲔᲒᲐᲬᲐᲛᲓᲔ (ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ).** განუზომლად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. საქართველოს უძლეველ ქვეყნად მიიჩნევდნენ იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმანი ხელმწიფეები: „რამეთუ თვით სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა და არცაღა თვით ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვისად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკუდილი“. საქართველოს მეფე უხვ ძღვენს იღებდა სულტნისაგან, რომელიც ეძიებდა „მშვიდობასა და სიყვარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა“.

ვითარება გაუარესდა დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ. დემეტრე ვერ აღმოჩნდა მამის საქმის ღირსეული გამგრძელებელი. თუ აღმაშენებელი მტერს მუსრს ავლებდა და ქვეყანას აგურ-აგურ აშენებდა, დემეტრე ორივე ხელით ტახტს იყო ჩაბღაუჭებული, მისი ფიქრი და მიზანი იყო მხოლოდ ის, რომ გვიგვინი არავის „აეწაპნა“. ამას გადააყოლა ყიჩაღებიც, დიდი სარდალი **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲐᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲫᲔᲪ,** შირვანიც, ანისიც. ის „თანმიმდევრული“ და „პრინციპული“ მხოლოდ ოჯახის წევრებთან იყო. ჯერ დედინაცვალს დაატოვებინა სასახლე, შემდეგ სასტიკად გაუსწორდა თავის ნახევარ ძმას, 12 წლის **ᲪᲕᲐᲢᲐᲡ,** და თვალები დასთხარა (არ არის გამორიცხული, რომ ცვატას მოულოდნელი გარდაცვალებაც მისი „დამსახურება“ იყოს). ის ისე გაიხლართა სასახლის ინტრიგებში, რომ იძულებული შეიქნა, ტახტიდან გადამდგარიყო და **ᲑᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲡ** სახელით დავითგარეჯის მონასტრისთვის შეეფარებინა თავი. აქაც მანამ არ მოისვენა, სანამ სასახლეში დარჩენილ თავი მომხრეებს. შვილი — მეფე **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ** არ მოაკვლევინა და ექვს თვეში ისევ არ დაიდგა გვირგვინი.

**ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲤᲔᲡ, ᲡᲔᲚᲩᲣᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ „ᲐᲦᲐᲠ ᲔᲪᲐᲚᲐ“, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲡᲣᲢᲔ ᲘᲒᲠᲫᲜᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲗᲛᲝᲑᲘᲜᲔᲡ. ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲧᲘᲕᲩᲐᲦᲗᲐ „ᲒᲐᲞᲐᲠᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲔᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ. ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲩᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲘᲧᲝ.**

დავითის სიკვდილისთანავე საქართველომ დაკარგა დმანისი და დემეტრეს ხელახლა მოუწია მისი დაკავება (ქალაქი ივანე აბულეთის ძემ დაიბრუნა). 1128 წელს ქართველებმა ივანე აბულეთის ძის მეთაურობით ქალაქ ჰუნანი აიღეს: „გააქცივნა სუქმეთნი (ხლათის სულთანი ნასრედინ — სუკმან II (1128-1183)... ყოვლისა სპარსეთობისა დახოცნა და ამოსწყუიდნა, აღავსნა საჭურჭლენი და ლაშქარნი მისნი“. ეს იყო და ეს, დემეტრეს „მამის მონაგარისთვის“ არაფერი შეუმატებია. დაკარგვით კი ბევრი დაიკარგა.

დავითის მემკვიდრემ ვერ შეინარჩუნა ანისი და ყმადნაფიცობის პირობით წინანდელი მმართველის, მანუჩეს შვილებს დაუთმო, რაც დემეტრეს ნებაყოფლობით არ გაუკეთებია, რადგან მუსლიმები გამუდმებით უტევდნენ ქალაქს და მოსვენებას არ აძლევდნენ აბულეთისძეებს.

1129 წელს დაიკარგა შირვანი. შირვანშაჰის მემკვიდრემ მანუჩერმა იოლად დაიბრუნა ტახტი და გვირგვინიც დაიდგა თავზე. დემეტრე არა მხოლოდ შეეგუა შირვანის დაკარგვას, არამედ მანუჩერს დაუმოყვრდა კიდეც — მიათხოვა უფროსი და **ᲗᲐᲛᲐᲠᲘ.** თავის მხრივ შირვანშაჰმაც აღიარა საქართველოს მეფის სუზერენობა და მხოლოდ ყმადნაფიცობა იყო, რისი მიღწევაც დემეტრემ შეძლო. ამის შემდეგ შირვანი, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში აღარასოდეს შესულა.

1130 წელს დემეტრეს ძმამ ცვატამ და ივანე აბულეთის ძემ შეთქმულება მოაწყვეს მეფის წინააღმდეგ (კახელი ფეოდალი აბულეთი და მისი ვაჟი ივანე აბულეთის ძე აღმაშენებლის მიერ იყვნენ დანიშნულნი ანისის მმართველებად, თამარის ისტორიკოსი ივანე აბულეთის ძეს გამოცდილ მეომრად და ძლიერ მხედართმთავრად მოიხსენიებს). შეთქმულება ჩაიშალა და ისინი დმანისის ციხეში დაამწყვდიეს. როდესაც დემეტრე მეფემ ეს ამბავი შეიტყო, მივიდა დმანისის ციხეში და ივანეს დაცინვით უთხრა: „აჰა შემიპყარ“! აბულეთის ძემ კი სინანულით უპასუხა „არა, მეფევ, მე ხელთ მოგეცით თქვენი ძმა, რომელიც თქვენს მეფობას ეძიებს“.

მართალია, დემეტრემ ორივე „შეიწყალა“, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მას ეს ნაბიჯი ნებაყოფლობით არ გადაუდგამს. ვინაიდან როგორც კი საშუალება მიეცა, ორივეს გაუსწორა ანგარიში. ჯერ ერისთავი ივანე დასაჯა სიკვდილით — 1131 წელს ივანე აბულეთისძემ გაილაშქრა გარნისში, წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ამით ქვეყანას არავითარი სარგებელი არ მიუღია, ვინაიდან მეფემ ვერაგულად მოკლა ივანე აბულეთისძე. ხოლო შემდეგ ცვატას თვალები დასთხარა და ამის შემდეგ, სავარაუდოდ, დილეგში მოკლეს.

1150 წელს უკვე დემეტრეს უფროსმა ვაჟმა **ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ** მოაწყო შეთქმულება. ის შიშობდა, რომ მამა უმცროს ძეს — **ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ** გაამეფებდა და გადაწყვიტა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება. მაგრამ შეთქმულება ჩაფლავდა. დემეტრემ ამ შემთხვევაშიც დავითს ჯერ აპატია დანაშაული და „კოჰაბიტაცია“ დიწყო მასთან, მაგრამ 1155 წელს ტახტიდან გადამდგარმა და გარეჯის მონასტერს თავშეფარებულმა „სინანულში ჩავარდნილმა“ ბერმა დამიანემ **ᲡᲣᲛᲑᲐᲢ** და **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲝᲠᲑᲔᲚᲔᲑᲡ** მეამბოხე შვილი, მეფე დავით მეხუთეც მოაკვლევინა.

რაც შეეხება სელჩუკებთან ბრძოლას, ივანე აბულეთის ძის სიკვდილის შემდეგ დემეტრემ სულ ორჯერ მოაწყო წარმატებული ლაშქრობა. პირველად განძა აიღო. 1139 წელს ძლიერი მიწისძვრა მოხდა და ძალიან დაზარალდა ქალაქი განძა, რითაც ისარგებლა დემეტრემ და ქალაქი ადვილად ჩაიგდო ხელში (მიწისძვრისგან შემუსრულ ქალაქს წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა), თუმცა არც უცდია მისი შენარჩუნება, **ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲐᲤᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲛᲔᲤᲔᲛ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲪ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲘᲥ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ.**

ჩვენი ბედი, რომ ჯვაროსნებთან ომში ჩართულ სელჩუკებს საქართველოსთვის „არ ეცალათ“, თორემ დემეტრეს მწარედ აზღვევინებდნენ განძის აოხრებას. ჯვაროსნებთან წარმოებული მრავალწლიანი ბრძოლა სელჩუკებმა წარმატებით დააგვირგვინეს და 1144 წლის 24 დეკემბერს ედესის საგრაფო გაანადგურეს. ედესის დაკარგვამ საგონებელში ჩააგდო იმჟამინდელი ევროპა. რომის პაპის — **ᲔᲕᲒᲔᲜᲘ III** მოწოდებას, მოეწყოთ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა, გამოეხმაურა საფრანგეთის მეფე **ᲚᲣᲘ VII** და გერმანიის იმპერატორი **ᲙᲝᲜᲠᲐᲓ III.** ახალმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ (1147 -1149 წლებში), სელჩუკთა ძირითადი ძალები მიიზიდა, რამაც ხელი აალებინა თურქებს საქართველოში ლაშქრობაზე.

ხანძლივი პაუზის შემდეგ დემეტრე I ისევ მოუწია ბრძოლა სელჩუკებთან. 1153-54 წლების მიჯნაზე არზრუმის ამირა **ᲡᲐᲚᲘᲮᲘ** (იგივე სალდუხი) საქართველოს ყმადნაფიც ანისს დაესხა თავს. ქართველებსა და სელჩუკებს შორის სომხეთში სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ქართველებმა სალიხი დაამარცხეს და დაატყვევეს კიდეც, მაგრამ მერე დემეტრე პირველის ბრძანებით, ისევ გაათავისუფლეს.

დემეტრეს მემკვიდრემ დავით მეხუთემ სულ 6 თვეს იმეფა და ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარი. მშვიდი და წყნარი იყო ტახტზე დაბრუნებული დემეტრეს ორწლიანი მეფობაც, მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც გამეფდა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ** (1156 -1184).

**(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)**

**ᲕᲐᲜᲝ ᲡᲣᲚᲝᲠᲘ**

**ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲔᲚᲩᲣᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐᲛ ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲜᲘᲙᲝᲤᲡᲘᲘᲓᲐᲜ (ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲢᲣᲐᲤᲡᲔ) ᲓᲐᲠᲣᲑᲐᲜᲓᲐᲛᲓᲔ (ᲓᲔᲠᲑᲔᲜᲢᲘ) ᲓᲐ ᲝᲕᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲔᲒᲐᲬᲐᲛᲓᲔ (ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ). ᲒᲐᲜᲣᲖᲝᲛᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲔᲑᲘ**



**ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜ ᲑᲝᲜᲐᲞᲐᲠᲢᲔ**
**(15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1769 — 5 ᲛᲐᲘᲡᲘ 1821)**
**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ**

შეუძლებელია, შეძრწუნების გარეშე გაიხსენო ეს ბუმბერაზი (რუსეთი), რომელსაც ვერ შეუტევ ვერც ფლანგებიდან, ვერც ზურგიდან, თვითონ კი დაუსჯელად გესხმის თავს საიდანღაც ან იხევს უკან, ყინულეთში, სიკვდილისა და კაეშნის წიაღში. ეს ხომ არის ის მითიური ანთეოსი, რომელსაც ვერ დაამარცხებ, თუ ხელს არ ჩაავლებ, არ ასწევ და ჰაერში არ გაგუდავ, მაგრამ ვინ იზამს ამას? დღეს სადღა ნახავ ჰერაკლეს?!

* * *

**ფეხზე წამოდგომის მსურველს იშვიათად უჭერს ვინმე მხარს, იმას კი, ვინც დასაცემად გამზადებულია, ხელს ბევრი ჰკრავს.**

* * *

ნამდვილი სარდალი გონებით იმარჯვებს და არა მახვილით.

* * *

**სარდალს, რომელიც ბრძოლის დაწყების წინ რეზერვებსა და მაშველ ძალაზე ფიქრობს, უკვე წაგებული აქვს ბრძოლა.**

* * *

ცხვრების ჯარი, რომელსაც მეთაურად ჰყავს ლომი, ყოველთვის დაამარცხებს ლომების ჯარს, რომელსაც მეთაურად ცხვარი ჰყავს.

* * *

**იცით, რა მაოცებს ყველაზე მეტად? ის, რომ, რაც უნდა ეცადო, ძალმომრეობით ვერაფერს შექმნი და ვერც ვერაფერს დაამტკიცებ. ქვეყნად ორი ძალა მეგულება: ხმალი და გონება. საბოლოოდ გონება მუდამ სჯობნის ხმალს.**

* * *

რუსეთის გენერლებს შორის ყველაზე მეტად ერთი მაფიქრებს. ეს არის ბაგრატიონი.

* * *

**არასდროს შეუშალოთ ხელი თქვენს მტერს შეცდომის დაშვებაში.**

* * *

დიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია.

* * *

**საზოგადოებრივი აზრი — ეს არის ქუჩის ქალი.**

* * *

რელიგია — ეს არის ის, რაც აბრკოლებს ღარიბებს, დახოცონ მდიდრები.

* * *

**სიკვდილი არაფერია, მაგრამ იცხოვრო შერცხვენილმა და დამარცხებულმა, ნიშნავს ყოველდღიურად კვდებოდე.**

* * *

ათას ხიშტზე მეტად სამი გაზეთის მეშინია.

## ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ:

**ძველი ბერძნები კუნძულ მალტას „თაფლის კუნძულს“ უწოდებდნენ, ვინაიდან ქვეყნის სახელი „მელიტა“ — ბერძნულად ფუტკარს ნიშნავს. თვით მალტელები კი კუნძულს „კალაფსოს“ უწოდებენ, რადგან სწამდათ, რომ ამ კუნძულზე ცხოვრობდა მშვენიერი ნიმფა კალიფსო, რომელმაც ოდისევსი შვიდი წლით შეიფარა.**






**ჩინგის ყაენმა თავისი მოწინააღმდეგე ნოინები ქვაბში ცოცხლად მოახარშვინა და შემდეგ მათი ხორცი ძაღლებს მიუგდო შესაჭმელად.**

**ინკების უკანასკნელმა იმპერატორმა ატაჰუალპამ ესპანელ კონკისტადორ პისაროს დიდი დარბაზი აუვსო ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით, მაგრამ ამანაც ვერ უშველა, მან ტყვეობაში დალია სული — დაახრჩვეს.**



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი უახლესი ამერიკული ნაღმოსანი ZUMWALT-ი („ზამვოლტი“) აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაშია 2016 წლის 16 ოქტომბრიდან, მაგრამ მისი ექსპლუატაციის დაწყების ოფიციალურ ცერემონიამდე უკვე გავრცელდა ცნობები ხომალდის დეფექტებზე.**

# უახლესი ამერიკული ნაღმოსანი Zumwalt-ი პანამის არხში გავლისას გაფუჭდა

**ეს არ არის პირველი ცნობა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში ყველაზე დიდი და ძვირად ღირებული ნაღმოსნის გაუმართაობის შესახებ.**



ამჯერად, გავრცელებული ინფორმაციით, პრობლემა შეექმნა ენერგიის გამცვლელ მექანიზმს, რომელიც კავშირგაბმულობისა და შეიარაღების სისტემებს და, საერთოდ, ხომალდს ელექტროენერგიით ამარაგებს. ნაღმოსანი ბუქსირით გადაიყვანეს პანამაში არსებულ ბაზა როდმანში. სარემონტო სამუშაოების გრაფიკი ჯერ შედგენილი არ არის, ამიტომ უცნობია, როდის დაუბრუნდება ხომალდი თავის ბაზას სან დიეგოში.

თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი უახლესი ამერიკული ნაღმოსანი Zumwalt-ი („ზამვოლტი“) აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაშია 2016 წლის 16 ოქტომბრიდან, მაგრამ მისი ექსპლუატაციის დაწყების ოფიციალურ ცერემონიამდე უკვე გავრცელდა ცნობები ხომალდის დეფექტების შესახებ. მაგალითად, სექტემბრის ბოლოს ხომალდის ძრავის საპოხ სისტემაში ბორტის გარედან მოხვდა წყალი და სისტემის შეკეთებას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდა.

ამასთანავე, გაირკვა: **ხომალდის 155-მილიმეტრიანი საარტილერიო დანადგარებისთვის საჭირო საბრძოლო მასალები ისე ძვირია, რომ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჯერჯერობით თავს უფლებას ვერ მისცემს, საჭირო რაოდენობით შეიძინოს.** თითოეული ჭურვი დაახლოებით 800 ათასი დოლარი ღირს. ამასთანავე, კომპიუტერიზებულ საარტილერიო სისტემას, რომელიც მათ იყენებს, შეუძლია 10 წუთში გაისროლოს ეს ჭურვები 100 მიზნის მიმართულებით 100 კმ-ის მანძილზე. ფლოტის ხელმძღვანელობა გეგმავს უფრო იაფი ჭურვების შეძენას, რომლებსაც მოქმედების სიშორე ნაკლები ექნებათ.

### ნაღმოსან „ზამვოლტის“ ტექნიკური მახასიათებლები

Zumwalt-ის ტიპის საესკადრო ნაღმოსნები აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უახლესი ნაღმოსნები, შექმნილია სანაპირო, სახმელეთო, საჰაერო და წყალქვეშა მიზნების გასანადგურებლად.

* ეკიპაჟი — 148 კაცი;
* სიგრძე — 183 მ;
* სიგანე — 24,6 მ
* წყალწყვა — 14564 ტ
* ნაღმოსანს უჩვეულო ფორმა აქვს და, რადარებზე ნაკლებად რომ ჩანდეს, დაფარულია რადიოგამოსხივების შთანმთქმელი მასალით, თუმცა, სამხედრო სპეციალისტების აზრით, ნაღმოსანი რადიოსალოკაციო სადგურებისგან დამალვას, დიდი ალბათობით, ვერ შეძლებს;
* სიჩქარე 30 კვანძი (55,56 კმ/სთ).

**შეიარაღება:**

ნაღმოსანი აღჭურვილია:

* ფრთოსანი რაკეტა „ტომაჰავკის“ 20 უნივერსალური გამშვები მოწყობილობით;
*155-მილიმეტრიანი 2 საარტილერიო მოწყობილობით, რომლებიც ამ მომენტისთვის უჭურვებოდ არის დარჩენილი;
*30-მილიმეტრიანი საზენიტო ტყვიამფრქვევებითა და ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით.

**ღირებულება — 4,4 მილიარდი დოლარი.**

# ნატოს აგრესიული მოქმედებებისა და თავის ორბიტაზე ახალი ქვეყნების შეყვანის მცდელობის საპასუხოდ რუსეთი ატომურ იარაღს დაუმიზნებს ალიანსის ობიექტებს

**„ნატოს აგრესიული მოქმედებებისა და თავის ორბიტაზე ახალი ქვეყნების შეყვანის მცდელობის საპასუხოდ რუსეთი თავის ბირთვულ იარაღს დაუმიზნებს ნატოს ნებისმიერ ობიექტს, სადაც უნდა იყოს ის“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფრანც კლინცევიჩმა.**

„რუსეთისგან იქნება მკაცრი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ჩვენს იარაღს, მათ შორის ატომურს, დავუმიზნებთ ალიანსის ჩვენთვის სახიფათო ნებისმიერ ობიექტს, სადაც უნდა იყოს ის განლაგებული. როდესაც ვლაპარაკობთ ატომურ იარაღზე, ვგულისხმობთ ბირთვულ საბრძოლო მასალას, რომელსაც მოვათავსებთ სახმელეთო სტაციონარულ, მობილურ, საზღვაო და საჰაერო რაკეტებში“, — განაცხადა კლინცევიჩმა.

უფრო ადრე ფედერაციის საბჭოს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ვიქტორ ოზეროვმა** განაცხადა, რომ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგების გამო, რუსეთი იძულებული იქნება, გააძლიეროს საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემა დასავლეთის მიმართულებით, აამოქმედოს დამატებით ძალები და საშუალებები თავისი ობიექტებისა და მართვის პუნქტების დასაცავად. გაძლიერებაში კი იგულისხმება „ისკანდერების“ განლაგება კალინინგრადში, და ახალი სამხედრო ქვედანაყოფების შექმნა დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით.

# ამერიკელი ანალიტიკოსი: აშშ-ის არმია თავის ფერმკრთალ აჩრდილად გადაიქცა

**„ამერიკის შეერთებული შტატების არმია საკუთარი თავის ფერმკრთალ აჩრდილად იქცა და საეჭვოა, წარმატებას მიაღწიოს“, — ამ ფრაზით იწყებს სტატიას The National Interest-ში ლექსინგტონის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი დენ გური.**



ექსპერტს თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად მოჰყავს ციფრები. 2016 წლის მონაცემებით, აშშ-ის სახმელეთო ჯარებში ირიცხებოდა 479 ათასი ჯარისკაცი. ეს კი ყველაზე მცირე რაოდენობაა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან დღემდე. 2018 წლისთვის იგეგმება მხოლოდ 30 ბრიგადის შენარჩუნება — მესამედით ნაკლების, ვიდრე იყო 2013 წელს.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტში დღეს 273 ხომალდია — ასეთი ფლოტით ჩაება აშშ პირველ მსოფლიო ომში.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები 5 ათას თვითმფრინავს ითვლის, ნაკლებს, ვიდრე 1947 წელს ჰყავდა, როცა ჯარების ეს სახეობა შეიქმნა.

საერთო ჯამში, აშშ-ის შეიარაღებული ძალები, დენ გურის აზრით, 40 პროცენტითაა შემცირებული ცივი ომის დასრულების პერიოდთან შედარებით.

**— ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რატომ არის იძულებული პენტაგონი, დაიქირავოს 100 ათასზე მეტი ადამიანი კერძო სამხედრო ორგანიზაციებიდან, რათა უზრუნველყოს აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და კავშირი ერაყსა და ავღანეთში ჩასატარებელი ოპერაციებისთვის, არადა, სინამდვილეში აშშ-ის არმიას არასოდეს ჰყოფნიდა ძალები ერთდროულად ორ რეგიონში სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად. ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლაც კი დაძაბულობას უქმნის აშშ-ის სამხედრო პოტენციალს“,** — წერს სტატიის ავტორი.

**«აშშ-ის არმიას არასოდეს ჰყოფნიდა ძალები ერთდროულად ორ რეგიონში სამხედრო მოქმედებების საწარმოებლად. ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლაც კი დაძაბულობას უქმნის აშშ-ის სამხედრო პოტენციალს»**

„სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის შემცირებას, თავდაპირველად, ამართლებდნენ იმით, რომ ფსონს დებდნენ ტექნოლოგიურ უპირატესობაზე პოტენციური მოწინააღმდეგის მიმართ“, — განაგრძობს ანალიტიკოსი, — „მაგრამ დღეს ეს მოსაზრება მართებული არ არის. რუსეთმა და ჩინეთმა უზარმაზარი ნახტომი გააკეთეს მაღალტექნოლოგიური იარაღის შექმნის სფეროში და აშშ-მა უპირატესობა დაკარგა“.

ამასთანავე, რეგიონულმა სახელმწიფოებმაც დანერგეს მოწინავე ტექნოლოგიები. აშშ-სა და მის მოკავშირეებს ამ მომენტში არ აქვთ საშუალება, „რეალური პასუხი“ გასცენ მოწინააღმდეგის შეიარაღების ბევრ სახეობას.

„ჰიპოთეზური კონფლიქტის შემთხვევაში რეგიონულ მოწინააღმდეგესთანაც კი პენტაგონს ისეთი დიდი დანაკარგები ექნება, რომ ქვეყანას არ ეყოფა ძალები სხვა პრობლემების მოსაგვარებლად“, — ამტკიცებს დენ გური.

1972 წელს აშშ-მა ვიეტნამში 20 ბომბდამშენი B-52 დაკარგა. გური წერს, რომ თუ იმხანად ბომდბამშენებს ეს რაოდენობა აშშ-ის საჰაერო ფლოტის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა, დღეს ბომბდამშენთა რაოდენობის 10 პროცენტია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# შურისძიება Су-24-ის ჩამოგდების გამო

**თურქეთის გენშტაბმა სირიის სამხედრო-საჰაერო ძალები 3 თურქი სამხედრო მოსამსახურის მკვლელობაში დაადანაშაულა. ადგილობრივი მედიასაშუალებები მიანიშნებენ, რომ ეს არის შურისძიება ზუსტად ერთი წლის წინათ ჩამოგდებული რუსული Су-24-ის გამო.**

„24 ნოემბერს, დილით, სავარაუდოდ, სირიის სამხედრო-საჰაერო ძალების შეტევის შედეგად 3 თურქი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 10 — დაიჭრა. შეტევა განხორციელდა სირიის რაიონ ალ-ბაბაში“, — იუწყება სააგენტო Anadolu.

„საჰაერო დარტყმის მომენტში პოზიციებზე მხოლოდ თურქი სამხედროები იმყოფებოდნენ, სწორედ ამიტომ მიიჩნევს თურქეთის გენშტაბი, რომ შეტევა სპეციალურად განხორციელდა თურქ ჯარისკაცებზე“, — წერს გაზეთი Hurriyet-ი.

გაზეთ Yeni Safar-ი კი წერს, რომ ეს თავდასხმა დაკავშირებულია რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასთან. ზუსტად ერთი წლის წინათ, 2015 წლის 24 ნოემბერს, სირია-თურქეთის საზღვარზე თურქულმა F-16-მა იერიში მიიტანა რუსულ Су-24-ზე. რუსი პილოტი **ოლეგ პეშკოვი** კატაპულტირებისას დახვრიტეს „ბოევიკებმა“ ტერიტორიიდან, რომელსაც სირიელი თურქმენები აკონტროლებდნენ. მოგვიანებით ამ ინციდენტის გამო თურქეთის პრეზიდენტმა **ერდოღანმა** ბოდიში მოიხადა რუსეთის პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილში.

თურქული გაზეთი Yeni Safar-ი წერს, რომ, შეიძლება 24 ნოემბერს მომხდარმა ინციდენტმა ფართომასშტაბიანი რეგიონული ომი გამოიწვიოს“.

პოლიციას როკოს შესახებ შეატყობინეს მეზობლებმა, რომლებმაც ყმაწვილი საეჭვო პაპიროსით ხელში დაინახეს. სამართალდამცველები რეჟისორ გაი რიჩის სახლში 28 სექტემბერს მივიდნენ და მის ვაჟს მარიხუანა უპოვეს. 16 წლის ბიჭი ნარკოტიკის შენახვისა და გამოყენების ბრალდებით დააპატიმრეს. განყოფილებაში მას ძნელად აღსაზრდელი მოზარდების სპეციალისტები გაესაუბრნენ, შემდეგ კი გირაო გადაახდევინეს და შინ გაუშვეს.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## მადონას 16 წლის ვაჟი მარიხუანის მოხმარების გამო დააპატიმრეს



### საქართველოში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზებას ითხოვენ, დიდ ბრიტანეთში კი ამ ნარკოტიკის მოხმარების გამო მადონას შვილი დააპატიმრეს

16 წლის როკომ კვლავ შეუქმნა პრობლემა მშობლებს — როკ-მომღერალ **მადონასა** და ფილმ „ბანქო, ფული, ორი ლულის“ რეჟისორ **გაი რიჩის** ვაჟი ნარკოტიკების მოხმარების გამო დააპატიმრეს. ის ბრიტანეთის პოლიციამ 2 თვის წინათ დააკავა, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გახმაურდა.

პოლიციას როკოს შესახებ შეატყობინეს მეზობლებმა, რომლებმაც ყმაწვილი საეჭვო პაპიროსით ხელში დაინახეს. სამართალდამცველები რეჟისორ გაი რიჩის სახლში 28 სექტემბერს მივიდნენ და მის ვაჟს მარიხუანა უპოვეს. 16 წლის ბიჭი ნარკოტიკის შენახვისა და გამოყენების ბრალდებით დააპატიმრეს. განყოფილებაში მას ძნელად აღსაზრდელი მოზარდების სპეციალისტები გაესაუბრნენ, შემდეგ კი გირაო გადაახდევინეს და შინ გაუშვეს.



როკო, უკვე წელიწადია, მამასთან ცხოვრობს ლონდონში, სადაც ის დედას გაექცა — გასული წლის საშობაო არდადეგები ლონდონში გაატარა და მისი დასრულების შემდეგ უარი განაცხადა ლოს ანჯელესში დედასთან დაბრუნებაზე.

მადონამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და შვილის დაბრუნებას და მასთან ცხოვრების უფლებას ითხოვდა, მაგრამ პროცესი წააგო და როკო მამასთან დარჩა.

როკოს თქმით, მამასთან ცხოვრება უფრო მხიარულია, ამასთანავე, დედისგან განსხვავებით, მამა არ აიძულებს მუშაობას. მადონასთან კი როკოს სცენის მუშებთან ერთად უწევდა მუშაობა — მომღერალს საგასტროლო ტურნეში მიჰყავდა ხოლმე ვაჟი და მოითხოვდა, რომ კონცერტების მომზადებაში დახმარებოდა.

ამ ამბავში აღსანიშნავია ის, რომ, როცა საქართველოში მარიხუანის ლეგალიზებას ითხოვენ და ქართველ საზოგადოებას პირდაპირ სატელევიზიო ეთერში მარიხუანის დათესვით ემუქრებიან, დიდ ბრიტანეთში მარიხუანის მომხმარებელს იჭერენ.

შვილის დაპატიმრების ამბის გახმაურებამდე რამდენიმე დღით ადრე კი მადონამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ეპატაჟური საქციელით, როდესაც პოპულარული ფოტოგრაფების — **მერტ ალასისა** და **მარკუს პიგოტის** ფოტოგამოფენაზე მთვრალი მივიდა და თავის ფოტოსთან პოზირებდა.



## სოდომისტებზე ან კარგი უნდა თქვა, ან — არაფერი

### ფრანგი პოლიტიკოსი ბიბლიიდან ციტატის გამოყენებისთვის 5000 ევროთი დააჯარიმეს

**სასამართლომ ფრანგ პოლიტიკოსს 5000 ევროს გადახდა დააკისრა ინტერვიუს მიცემისას ბიბლიიდან ჰომოსექსუალიზმის შესახებ ციტატის გამოყენებისთვის, — იუწყება ქრისტიანული მეგაპორტალი Invictory.com.**

2014 წლის აპრილში საფრანგეთის პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, 70 წლის ქალმა **კრისტინ ბუტინმა** ჟურნალ Charlies-ს მისცა ინტერვიუ, მას აზრის გამოთქმა ჰომოსექსუალურ ურთიერთობებზე სთხოვეს.

ქრისტიანმა პოლიტიკოსმა ბიბლიიდან მოიყვანა ციტატა და დასძინა, რომ ჰომოსექსუალიზმი საზიზღრობაა. ამასთანავე, პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ „არასოდეს გაუკიცხია ჰომოსექსუალისტები. ცოდვა მიუღებელია, მაგრამ ცოდვილებსაც უნდა გავუგოთ“.

ამ სიტყვების გამო კრისტინ ბუტინს სასამართლოში უჩივლა ორმა ფრანგულმა ლგბტ-გაერთიანებამ და დეპუტატი „სიძულვილისა და ძალადობის საჯაროდ წაქეზებაში“ დაადანაშაულა. ორი წლის შემდეგ პარიზის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა გადაწყვეტილება კრისტინ ბუტინის 5000 ევროთი დაჯარიმების შესახებ. ამასთანავე, დეპუტატმა 2000 ევრო უნდა გადაუხადოს ლგბტ-გაერთიანებებს, რომლებმაც მის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. კრისტინ ბუტინს კი მიაჩნია, რომ სრული უფლება ჰქონდა, თავისი აზრი გამოეთქვა ჰომოსექსუალიზმზე, თანაც თვალსაზრისის გამოხატვისას მან მკვეთრად გამიჯნა ადამიანები და მათი მოქმედებები.

## ჩრდილოეთ ირლანდიის სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება ცოლ-ქმრის დაჯარიმებაზე გეისთვის ტორტის გამოცხობაზე უარის გამო

**ჩრდილოეთ ირლანდიაში ქრისტიან მცხობელებს უარი უთხრეს სააპელაციო სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომელიც მათ სასამართლოს მიერ გამოტანილი დისკრიმინაციაში ბრალდების გადაწყვეტილების გასაბათილებლად შეიტანეს.**



2014 წელს ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ნიუტონბერიში მდებარე საცხობ Ashers-ის მფლობელებმა **დენიელ** და **ემა მაკარტურებმა** უარი განაცხადეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების მხარდასაჭერად გეილოზუნგიანი ტორტის გამოცხობაზე (ამ ამბავზე „საქართველო და მსოფლიოც“ წერდა. იხ. 2016 წლის 17-23 თებერვლის №6). სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ დაეკისრათ ჯარიმის გადახდა მოსარჩელისთვის — ჰომოსექსუალთა უფლებების ადგილობრივი დამცველისთვის.

„ჩვენ უარი ვთქვით ასეთი ტორტის გამოცხობაზე იმ პოლიტიკური კამპანიის გამო, რომლის მიზანიც ჩრდილოეთ ირლანდიაში ქორწინების კანონში ცვლილების შეტანაა. ჩვენ ქრისტიანები ვართ და მხარს ვუჭერთ მოქმედ კანონს. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ, თუ ასეთ ტორტს გამოვაცხობდით, ამ კანონში ცვლილებების შეტანაზე პასუხისმგებლობა დაგვეკისრებოდა“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთ-ერთმა ჰალსტუხში მტაცა ხელი და მკითხა: „სად იშოვე ეს ჰალსტუხი?“ ამ საქციელზე ისეთი რეაქცია მქონდა, როგორიც ექნებოდა ნებისმიერს, ჩემ ადგილას რომ ყოფილიყო. ვუპასუხე: „გზა მომეცით“. შემდეგ მოვიდა მეორე ჯარისკაცი, რომლის სიტყვები ვერ გავარჩიე, რადგან ძალიან მთვრალი იყო, მაგრამ მზად ვიყავი, დავლაპარაკებოდი, რადგან კარგად ვიცი ინგლისური. უცებ, თითქოს ცივი წყალი გადამასხეს, მომესმა მისი ფრაზა: „ათამდე დავითვლი და, თუკი კვლავ აქ იქნები, სახეში გაგარტყამ“.**

eadaily.com:

# ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ ცხვირგატეხილმა ლატვიელმა დასავლური მედიასაშუალებების ტყუილებზე ისაუბრა



**„ძველ რიგაში მთვრალმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა ლატვიელი გალახა“, „რიგაში დააკავეს ბრიტანელი ჯარისკაცი“, „პოლიციამ დააკავა არაადეკვატური ბრიტანელი ჯარისკაცი“ — ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული ლატვიური გაზეთები რამდენიმე დღის წინათ.**

ახალგაზრდა ლატვიელ **აქსელ აიზკალნსს**, რომელიც რიგაში, კალკიუს ქუჩაზე მდებარე იურიდიული ფირმის თანამშრომელია, რესტორან „მაკდონალდსში“ სტუმრობა ბრიტანელი ჯარისკაცის თავდასხმად და ცხვირის გატეხვად დაუჯდა.

ლატვიისა და დიდი ბრიტანეთის ზოგიერთმა გამოცემამ ინციდენტზე პასუხისმგებლობა დააკისრა „პრორუს აქტივისტებს“, რომლებსაც თითქოს მიზნად ჰქონდათ დასახული ნატოს სამხედრო მოსამსახურეების დისკრედიტაცია. დაზარალებულმა კი პორტალ Delfi.lv-ს სრულად მოუყვა, რაც თავს გადახდა:

„2 ნოემბერს, დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე, რესტორან „მაკდონალდში“ ჩათრეული აღმოვჩნდი ინციდენტში, რომელსაც გაცილებით დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ვიდრე ვვარაუდობდი. „მაკდონალდსში“ შესვლისას უჩვეულო სანახაობას შევესწარი: რესტორანი სავსე იყო უცხოელებით. აქცენტით მივხვდი, რომ ბრიტანელები იყვნენ, რაღაცას აღნიშნავდნენ. სიტუაცია შევაფასე და რიგში მათ შემდეგ ჩავდექი — ვრაპის (სენდვიჩი — რედ.) შეკვეთა მინდოდა. მალე ჩემთან მოვიდა ამ დიდი კომპანიის (სულ 30 კაცი იქნებოდა) 2 წარმომადგენელი. **ერთ-ერთმა ჰალსტუხში მტაცა ხელი და მკითხა: „სად იშოვე ეს ჰალსტუხი?“. ამ საქციელზე ისეთი რეაქცია მქონდა, როგორიც ექნებოდა ნებისმიერს, ჩემ ადგილას რომ ყოფილიყო. ვუპასუხე: „გზა მომეცით“. შემდეგ მოვიდა მეორე ჯარისკაცი, რომლის სიტყვები ვერ გავარჩიე, რადგან ძალიან მთვრალი იყო, მაგრამ მზად ვიყავი, დავლაპარაკებოდი, რადგან კარგად ვიცი ინგლისური. უცებ, თითქოს ცივი წყალი გადამასხეს, მომესმა მისი ფრაზა: „ათამდე დავითვლი და, თუკი კვლავ აქ იქნები, სახეში გაგარტყამ“.** მისმა მეგობრებმა სიცილი ატეხეს — არასოდეს მინახავს ადამიანებს ასე გაეცინოთ. ვიფიქრე, ეს რაღაც გათამაშებაა, რომელიც ვერ გავიგე, რადგან არ ვიცოდი, ადრე რაზე ლაპარაკობდნენ, ან ეს ტიპი ცოტა გარეკილია-მეთქი. ვკითხე: „რატომ უნდა მცემო?“ „იმიტომ, რომ განავალი ხარ“, — მიპასუხა, მისი მეგობარი კი ამ სიტყვების მოსმენაზე ახარხარდა. არ ვიცოდი, იმ მომენტში როგორ მოვქცეულიყავი — მათთან ერთად მეცინა თუ ვითარებაში გავრკვეულიყავი. გავიდა რამდენიმე წამი და რამდენიმე გაბოროტებული ბრიტანელი ჯარისკაცის ალყაში აღმოვჩნდი, რომლებსაც მუშტები შემართული ჰქონდათ ჩემთვის გამოტანილი ვერდიქტის აღსასრულებლად... გონს რომ მოვეგე, გატეხილი ცხვირიდან სისხლი მდიოდა. მადლობა „მაკდონალდსის“ თანამშრომლებს, ისინი დამეხმარნენ...

თუმცა მოგვიანებით უარესი მოხდა.

მეორე დილით ყბა-სახის ქირურგიის ცენტრში ვიწექი და ველოდებოდი საოპერაციოში გაყვანას, როდესაც მეგობარმა შეტყობინება გამომიგზავნა, რომელშიც მითითებული იყო პორტალ Telegraph.co.ur-ზე გამოქვეყნებული მასალის მისამართი. ეს პორტალი ძალიან პოპულარულია ბრიტანეთში. როდესაც შეტყობინება გავხსენი, პირველი, რაც წავიკითხე, იყო სათაური: **„პრორუსულად განწყობილი აქტივისტი რიგაში ბრიტანელ ჯარისკაცებს დაესხა თავს“.** ეს სათაური თავდაპირველად სახალისოდ მომეჩვენა, მაგრამ, როდესაც ტექსტი წავიკითხე, გავოგნდი, რა ადვილია, მასების მანიპულირება ჩვენ დროში.

ჩემი თვალსაზრისი მალე დაადასტურა ლატვიურ გამოცემებში გავრცელებულმა ინფორმაციამ. მედიასაშუალებებმა საერთოდ არ ჩათვალეს საჭიროდ, გამოეძიებინათ ინციდენტი და პირდაპირ Telegraph-იდან გადმობეჭდეს სტატია. განა შეიძლება, დასავლეთის ერთ-ერთი გავლენიანი მედიასაშუალება შეცდეს ინფორმაციის გავრცელებისას? ყველაფერს გადააჭარბა გამოცემა Delfi-მ, ამ პორტალზე „მაკდონალდსის“ ინციდენტის გამოქვეყნების შემდეგ კომენტარების ქარიშხალი ატყდა „რუსების უკიდურესობასა“ და „პუტინის გეგმებზე“. როდესაც ეს კომენტარები ვნახე, მივხვდი, სინამდვილეში როგორი რობოტები ვართ, რადგან ადამიანებს იშვიათად შეაქვთ ეჭვი მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში! Telegraph-ში გამოქვეყნებული ეს კონკრეტული სტატია სიძულვილის გაღვივების, ცილისწამებისა და პროვოკაციის მაგალითია. „წარმოგიდგენიათ, რა ხდება, თუკი ყოველი მეორე სტატია ასეთი „სიმართლეა“?! — განუცხადა აქსელ აიზკალნსმა Delfi.lv-ის, რომელმაც ბევრი განაცვიფრა იმით, რომ დაზარალებულის ტექსტი გამოაქვეყნა.

**«ვკითხე: «რატომ უნდა მცემო?» «იმიტომ, რომ განავალი ხარ», — მიპასუხა მისი მეგობარი კი ამ სიტყვების მოსმენაზე ახარხარდა. იმ მომენტში არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი — მათთან ერთად მეცინა თუ ვითარებაში გავრკვეულიყავი. გავიდა რამდენიმე წამი და რამდენიმე გაბოროტებული ბრიტანელი ჯარისკაცის ალყაში აღმოვჩნდი, რომლებსაც მუშტები შემართული ჰქონდათ ჩემთვის გამოტანილი ვერდიქტის აღსასრულებლად... გონს რომ მოვეგე, გატეხილი ცხვირიდან სისხლი მდიოდა»**



«New York Post»:

# «მატყუარების ბრბო» — ტრამპმა მიწასთან გაასწორა ამერიკული მედია

**აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის შეხვედრა დიდ პოლიტიკურ მედიასაშუალებებთან შეხლა-შემოხლით დასრულდა, — იუწყება New York Post-ი.**

21 ნოემბერს ნიუ იორკში, ტრამპ-ტაუერში, აშშ-ის ახალარჩეულ პრეზიდენტთან შესახვედრად შეიკრიბნენ ამერიკული ტელეარხების, ბეჭდვითი და ინტერნეტგამოცემების პროდიუსერები და ცნობილი ჟურნალისტები, რათა ემსჯელათ თეთრი სახლის მომავალი ადმინისტრაციის მოღვაწეობის გაშუქების შესაძლებლობებზე, მაგრამ ტრამპმა მათ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს.

პირობის მიხედვით, შეხვედრის დეტალები არ უნდა გახმაურებულიყო, მაგრამ, ზოგიერთი წყაროს ცნობით, რომელსაც New York Post-ი ეყრდნობა, ტრამპმა მასმედიის შეკრებილ წარმომადგენლებს „მატყუარების ბრბო“ და „სინდისგარეცხილი მედიის წარმომადგენლები“ უწოდა. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა სახელმწიფოს მომავალი მეთაურის გამოსვლა „დამხვრეტი გუნდის“ მოქმედებას შეადარა.

**აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტისგან ყველაზე მეტი მოხვდათ დიდი სატელევიზიო ქსელების წარმომადგენლებს, რომლებიც მას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას აკრიტიკებდნენ. ტრამპმა აღიარა, რომ სძულს „სი-ენ-ენი“, რადგან იქ მხოლოდ მატყუარები მუშაობენ, ხოლო ტელეკომპანიის ხელმძღვანელს უნდა რცხვენოდეს თანამშრომლების მუშაობის გამო.** მწვავე კრიტიკა დაიმსახურა ტელეარხ NBC-ის ორმა ჟურნალისტმა, რომელთაგან ერთი შეხვედრაზე იმყოფებოდა.

მიუხედავად კრიტიკის ქარცეცხლისა, ტრამპის პრესმდივანმა **კილიან კონვეიმ** განაცხადა, რომ „ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა“.

აღნიშნული შეხვედრიდან მეორე დღეს ტრამპმა გააუქმა ინტერვიუ The New York Times-ის ჟურნალისტებთან, სოციალურ ქსელში კი დაწერა, რომ გაზეთის წარმომადგენლები ბოლო მომენტში შეეცადნენ, შეეცვალათ შეხვედრის პირობები.

«NBC News»:

# ზბიგნევ ბჟეზინსკი — ტრამპის მხრიდან რუსეთის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს



**ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ყოფილმა მრჩეველმა ნაციონალური უშიშროების საკითხებში — ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ტელეკომპანია NBC News-ის ეთერში თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის პირობებში ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაზე ისაუბრა.**

„ახლადარჩეული პრეზიდენტის — დონალდ ტრამპის მხრიდან რუსეთის მხარდაჭერა ნეგატიურ რეაქციას იწვევს, მაგრამ რუსეთი უკვე აღარ არის კომუნისტური ქვეყანა, ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია დაეხმაროს მას, გახდეს მსოფლიოს თანამეგობრობის მნიშვნელოვანი წევრი“.

ბჟეზინსკის აზრით, რუსეთი განაწყენებულია აშშ-ზე, მაგრამ, თუ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია გადადგამს „ჭკვიანურ ნაბიჯებს“, რუსეთი, აშშ-სა და ჩინეთთან ერთად, მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოდ იქცევა.

**„ტრამპს ხშირად აკრიტიკებდნენ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის შექებისთვის, მაგრამ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ მოსკოვთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, უნდა ვიმოქმედოთ მშვიდად და ღიად, იმის გათვალისწინებით, რაზე დევს ფსონი“,** — აღნიშნა ბჟეზინსკიმ.

1959 წლის იანვარში გამარჯვებული ფიდელი ამაყად დააბიჯებდა ჰავანის ქუჩებში. კუბაზე დაიწყო კასტროს ერა, რომელიც 2008 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს მძიმე ავადმყოფმა ფიდელმა ხელისუფლების სადავეები ფორმალურად გადასცა თავის ძმას — რაულს.
ფიდელ კასტროს ჰყავს 6 შვილი სხვადასხვა ქორწინებიდან და ქორწინების გარეშე ქალიშვილი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# Doutsche Welle: გარდაიცვალა კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო

ფიდელ კასტრო (ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსი) ქარიზმული პიროვნება იყო — წვერი, სიგარა, ნახევრადსამხედრო ფორმა. შეეძლო, 8 საათის განმავლობაში შეუჩერებლად ელაპარაკა რევოლუციის მიღწევებზე იმპერიალიზმთან ბრძოლაში. 2016 წლის 25 ნოემბერს ფიდელი გარდაიცვალა. ფიდელ კასტრო ისტორიაში შევა. მას ზოგი ეთაყვანებოდა, ზოგს კი საშინლად სძულდა. დაიწყო, როგორც რევოლუციონერმა, კუბელი ხალხის თავისუფლებისთვის მებრძოლმა და დაასრულა, როგორც დიქტატორმა.





## კუბელების 70 პროცენტი არ ცნობს სხვა ლიდერს, ფიდელ კასტროს გარდა

ფიდელ კასტრო დაიბადა 1926 წლის 13 აგვისტოს ბირანში (პროვინცია ორიენტე, კუბა). სტუდენტობისას შევიდა რევოლუციურ დაჯგუფებაში, რომელიც იბრძოდა დიქტატორ **ბატისტას** წინააღმდეგ. აქტიური მოქმედება დაიწყო 1953 წელს მონკადოს ყაზარმების შტურმით. რევოლუციონერები მცირე ძალებით უტევდნენ, თანაც ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი, ამიტომ უკანდახევა მოუწიათ, მაგრამ ამ დაპირისპირებაზე ლეგენდებია შექმნილი. შემდეგ იყო ემიგრაციის წლები და პარტიზანული ბრძოლები.

1959 წლის იანვარში კი გამარჯვებული ფიდელი ამაყად დააბიჯებდა ჰავანის ქუჩებში. კუბაზე დაიწყო კასტროს ერა, რომელიც 2008 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს მძიმე ავადმყოფმა ფიდელმა ხელისუფლების სადავეები ფორმალურად გადასცა თავის ძმას — **რაულს.**

ფიდელ კასტროს ჰყავს 6 შვილი სხვადასხვა ქორწინებიდან და ერთი ქალიშვილი ქორწინების გარეშე, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და კუბაზე გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოდის.

## ბრძოლა ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ

რევოლუციის ექსპორტი, მრეწველობის დენაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა — ამ ყველაფერმა კასტრო აშშ-თან კონფრონტაციამდე მიიყვანა. აპოგეა იყო 1962 წლის კრიზისი, როდესაც მან სსრკ-ის იმჟამინდელ გენმდივანს — **ნიკიტა ხრუშჩოვს** უფლება მისცა, კუბაზე ბირთვულქობინიანი საბჭოთა რაკეტები განელაგებინა. კრიზისი მოგვარდა, მაგრამ ამერიკულ იმპერიალიზმთან დაპირისპირება გაგრძელდა.

აშშ-მა ემბარგო დაუწესა კუბას. როგორ დაზარალდა ამით ქვეყნის ეკონომიკა, ძნელი სათქმელია, რადგან სსრკ-ის დაშლამდე კუბა გულუხვ დოტაციებს იღებდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან.

„ისტორია გამამართლებს“, — ამბობდა ფიდელ კასტრო ჭაბუკობის წლებში. მართალი იყო თუ ცდებოდა, მომავალში გამოჩნდება, მაგრამ მან ისტორიის სახელმძღვანელოებში მოხსენიება უეჭველად დაიმსახურა.

**«ისტორია გამამართლებს», — ამბობდა ფიდელ კასტრო ჭაბუკობის წლებში. მართალი იყო თუ ცდებოდა, მომავალში გამოჩნდება, მაგრამ მან ისტორიის სახელმძღვანელოებში მოხსენიება უეჭველად დაიმსახურა**

# Eurostat: ევროკავშირში ყოველი მეოთხე ბავშვი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს

**„ევროკავშირის ქვეყნებში 25 მილიონი ბავშვი „სიღარიბის ზღვარზე“ ცხოვრობს“, — აღნიშნულია ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის — „ევროსტატის“ მოხსენებაში.** 25 მილიონი ბავშვი — ეს არის ევროკავშირში მცხოვრები 17 წლამდელთა 26,9% და, „ევროსტატის“ განცხადებით, 2015 წელს სწორედ ამდენ ბავშვს ემუქრებოდა სიღარიბე.



„ევროსტატის“ კრიტერიუმის თანახმად, ბავშვი „სიღარიბის საფრთხის“ წინაშე რომ აღმოჩნდეს, საკმარისია ერთ-ერთი პირობა: ცხოვრება დაბალშემოსავლიან ოჯახში ან ცხოვრება ოჯახში, რომელსაც აქვს „მუშაობის აუცილებელი რაოდენობა“. ყველაზე მეტი ასეთი ბავშვი კი **რუმინეთში** ცხოვრობს — 46,8%; რუმინეთის შემდეგ ბავშვების კეთილდღეობის ანტისარეიტინგო სიაში მოდის **ბულგარეთი** (43,7%); შემდეგ — **საბერძნეთი** (37,8%); **უნგრეთი** (36,1%); **ესპანეთი** (34,4%) და **იტალია** (33,5%); ყველაზე კარგად კი ბავშვები ცხოვრობენ **შვედეთში, ფინეთსა** და **დანიაში.**

# BBC: ავსტრიის პრეზიდენტობის კანდიდატი ევროკავშირიდან ავსტრიის გასვლაზე ალაპარაკდა

**იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირში გაგრძელდება ცენტრალიზაცია, ავსტრიის პოტენციური პრეზიდენტი ნორბერტ ჰოფერი რეფერენდუმზე გაიტანს საკითხს ევროპის თანამეგობრობაში ავსტრიის ყოფნა-არყოფნის შესახებ, — იუწყება „ბი-ბი-სი“.**

„რეფერენდუმი გაიმართება, თუ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის შემდეგ გაერთიანება განაგრძობს ნაციონალური პარლამენტისთვის უფლებების ჩამორთმევას და თავისი ძალაუფლების გაძლიერებას“, — განაცხადა ავსტრიის პრეზიდენტობის კანდიდატმა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ყოველთვის მნიშვნელოვან გაერთიანებას წარმოადგენდა და საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოსთვის, ჰოფერს სურს, ნახოს „გაუმჯობესებული ევროკავშირი“.

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიაში პრეზიდენტის თანამდებობას ცერემონიული ხასიათი აქვს, მომავალ პრეზიდენტს ექნება უფლებამოსილება, დაშალოს პარლამენტის ქვედა პალატა და დანიშნოს არჩევნები. უფრო ადრე ჰოფერმა ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმანებს მოუწოდა, არ შეშინებოდათ მისი გამარჯვების, მაგრამ აღნიშნა: „ისლამი არ არის ჩვენი ფასეულობების ნაწილი“. ამასთანავე პოლიტიკოსი არაერთხელ გამოვიდა რუსეთისთვის სანქციების გაუქმების მოწოდებით.

ავსტრიაში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 4 დეკემბერს გაიმართება.



# «რია ნოვოსტი»: ერდოღანი ევროკავშირს ლტოლვილების შესევით დაემუქრა

**თურქეთის პრეზიდენტმა ევროკავშირი დაადანაშაულა „კედლების მშენებლობაში“ 50 ათასი მიგრანტის შეღწევის საფრთხის გამო, იმ ფონზე, როცა თურქეთმა 3 მილიონი ლტოლვილი მიიღო. „თუ თქვენ კვლავაც ასე განაგრძობთ, ეს სასაზღვრო პუნქტები გაიხსნება“, — დაიმუქრა ერდოღანი, რომელიც წლის დასაწყისში დაჰპირდა ევროპელ ლიდერებს, რომ ევროკავშირს ლტოლვილებით აავსებდა, თუკი ფულს არ მისცემდნენ.**

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ მზად არის, ევროპაში გაუშვას ლტოლვილები, თუ ევროკავშირის ხელმძღვანელობა კვლავ განაგრძობს მისი ქვეყნისთვის ხელის შეშლას ევროინტეგრაციაში, — **იუწყება რუსული საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი“.**

სტამბოლში გამართულ კონფერენციაზე „ქალი და დემოკრატია“ სიტყვით გამოსვლისას ერდოღანი შეეხო ევროკავშირში თურქეთის გაწევრების საკითხს და გაიხსენა, რომ ევროკავშირმა მოუწოდა, შეეჩერებინათ მოლაპარაკებები ამ თემაზე.

**„შეიკრიბა 30-40 კაცი, თქვეს „არა“. თქვენ არასოდეს მოქცეულხართ მართებულად და პატიოსნად ადამიანურობის მიმართ“,** — თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა ევროკავშირი დაადანაშაულა „კედლების მშენებლობაში“ 50 ათასი მიგრანტის შეღწევის საფრთხის გამო, იმ ფონზე, როცა თურქეთმა 3 მილიონი ლტოლვილი მიიღო.

„თუ თქვენ კვლავაც ასე განაგრძობთ, ეს სასაზღვრო პუნქტები გაიხსნება“, — დაიმუქრა ერდოღანი, რომელმაც წლის დასაწყისში დაჰპირდა ევროპელ ლიდერებს, თუკი ფულს არ მისცემდნენ, ევროკავშირს ლტოლვილებით აავსებდა.

20 ნოემბერს კი თურქეთის ლიდერმა განაცხადა, რომ ევროკავშირში დაწყებული დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე აწარმოებს მოლაპარაკებებს თურქეთის შესვლაზე თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციაში. უფრო ადრე კი ევროპარლამენტის თავმჯდომარე **მარტინ შულცმა** თურქეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე განაცხადა.

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კიროვის მკვლელის, ლეონიდ ნიკოლაევის, ცოლი — მილდა პეტრეს ასული დრაულე სმოლნში მუშაობდა, საოლქო კომიტეტის სამდივნოში, მგონი, კარტოთეკაში თუ კანცელარიაში. ზოგჯერ სამსახურებრივ საქმეზე შედიოდა კიროვთან, რომელიც მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, მაგრამ მასთან კიროვის ფლირტი საოლქო კომიტეტის თანამშრომლებს არ შეუმჩნევიათ. კიროვს ტურფა საყვარლები ჰყავდა, როგორც ლენინგრადში, ისე მის შემოგარენშიც. კიროვის ცოლს — მარია ლვოვის ასულ მარკუსს, ეჭვიან, ფიზიკურად სუსტ ქალს, ფსიქიკური გადახრები ჰქონდა.**

**1934 წლის პირველ დეკემბერს ლენინგრადის სმოლნის სასახლის მესამე სართულის დერეფანში ლეონიდ ნიკოლაევმა სამჯერ ესროლა „ნაგანიდან“ და მოკლა ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი სერგო კიროვი, რომელიც არა მხოლოდ რევოლუციის ტრიბუნი, არამედ სტალინის უახლოესი მეგობარი იყო.**

# სტალინი და კიროვი

კიროვი 1934 წლის 1 დეკემბერს, 16 საათსა და 37 წუთზე მოკლეს. სტალინმა კი ეს გამაოგნებელი ამბავი 18:00 სთ-ზე შეიტყო. ორ დეკემბერს სტალინი პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად ლენინგრადის ერთ-ერთი რკინიგზის სადგურზე სპეცვაგონიდან ჩამოვიდა. მასთან პატაკის მისაცემად ლენინგრადის უშიშროების უფროსი გამოცხადდა და, სამხედრო სალმის მიცემის შემდეგ პირიც არ ჰქონდა გაღებული, რომ სტალინი მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და სილა გააწნა.

ყველა იქ მდგომი მიხვდა, რომ დადგა რაღაცის გადამწყვეტი მომენტი. სტალინი სმოლნში კიროვის სამუშაო კაბინეტისკენ გაემართა და მოითხოვა, სასწრაფოდ მიეყვანათ მასთან კიროვის მკვლელი **ნიკოლაევი.**

სტალინმა ნიკოლაევისგან ყველა საკვანძო საკითხზე მიიღო ამომწურავი პასუხი. შემდეგ პარტიულ და ძალოვან სტრუქტურებს მოუწოდა — რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოეპოვებინათ ინფორმაცია ყველა იმ პირისგან, რომელსაც მეტ-ნაკლები შეხება ჰქონდა ამ საშინელ ტრაგედიასთან. ყველაფერი დასრულდა. ყველა დოკუმენტი ადგილზე დაიდო და ზედ დაეწერა „სრულიად საიდუმლოდ“. გავიდა თითქმის 60 წელი სტალინის სიკვდილიდან და მისი პირადი დაცვის ყველაზე აქტიურმა წევრმა და სტალინთან ახლოს მყოფმა კაცმა **ალექსეი რიბინმა** უტყუარი მასალა დაუტოვა შთამომავლობას.

**„ნიკიტა ხრუშჩოვმა** სკკპ XXII ყრილობის ტრიბუნიდან წამოაყენა სულელური, მოჩმახული ვერსია კიროვის მკვლელობაში სტალინის თანამონაწილეობაზე. ნიკიტა დღე და ღამეს ასწორებდა იმაზე ფიქრში, როგორ შეელახა სტალინზე რეპუტაცია, როცა გენერალური მდივანი იყო, სწორედ ამ მიზნით შექმნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან სამი პარტიულ-საგამოძიებო კომისია.

პირველი კომისია, რომელშიც რეაბილიტებული **ოლგა შატუნოვსკაიაც** შედიოდა, ლენინგრადის სარდაფებში მთელი თვის ქექვის შემდეგ მოსკოვში ცარიელი პორტფელით დაბრუნდა. ხრუშჩოვს სჭირდებოდა, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობისთვის როგორმე დაემტკიცებინა კიროვის მკვლელობაში სტალინის თანამონაწილეობა, მაგრამ როგორ უნდა გაეკეთებინა ეს? ხრუშჩოვი მძვინვარებდა მღვრიე წყალში თევზის დაუჭერლობის გამო.

სკკპ მურმანსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის — **ვასილ პროკოფიევის** მოგონებიდან: „აზარტი ბანქოს თამაშში მოდის, მადა კი — ჭამაში“. ყრილობის წინ ხრუშჩოვი იწვევს საკავშირო კპ(ბ) ლენინგრადის პირველ მდივანს ი.ვ. სპირიდონოვს და მას სკკპ ცეკას პლენუმის წინ აძლევს მკაცრ პარტიულ დავალებას:

„ივან ვასილევიჩ, თქვენ უნდა გამოხვიდეთ პლენუმზე და სკკპ XXII ყრილობაზე და დელეგატებს მისცეთ წინადადება, რომ დაიგმოს სტალინი მოქალაქეების უკანონო რეპრესიების გამო და შესთავაზოთ მათ მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოსვენება და სხვა ადგილას დამარხვა“. ხრუშჩოვი არ ცხრებოდა. ის ლენინგრადში გზავნის მეორე კომისიას სკკპ კალინინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის — **ი. ბოცოვის** მეთაურობით, ამ კომისიამ ლენინგრადში 25 დღე დაჰყო, მანაც გადაქექა 1934 წლის არქივები, მაგრამ იძულებული იყო, მოსკოვს ხელცარიელი დაბრუნებულიყო, რადგან სტალინის მაკომპრომეტებელ მასალებს ვერ მიაკვლია. ამის შემდეგ ხრუშჩოვმა ქანცგაწყვეტილი, დავარდნილი ცხენივით, ორიენტაცია დაკარგა და ლენინგრადში გაგზავნა რევიზორების მესამე კომისია, რომელსაც სკკპ ცეკასთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ზ. სერდიუკი** ჩაუყენა სათავეში. ამ კომისიამ ლენინგრადში 30 დღე დაჰყო, მაგრამ ხრუშჩოვს ვერაფერი ჩაუტანა. ნიკიტა ბრდღვინავდა, აგონიაში მყოფი გენერალური მდივნის თავი ზ. სერდიუკმა სიმინდის ტაროს შეადარა...

იმ დღიდან 60 წელი გავიდა, მაგრამ გაზეთების ფურცლები უაზრობებითაა აჭრელებული. რუსეთის რადიო ხომ უხამსობამდე დაეცა. მან 1996 წლის 10 თებერვალს, დილის 9 საათსა და 20 წუთზე, ასეთი რამ თქვა: „გიჟი კომუნისტები“. ეს შეურაცხყოფაა სამი მილიონი კომუნისტისა, რომლებმაც საბჭოთა კავშირი დაიცვეს ფაშიზმისაგან და იხსნეს მსოფლიო. ქვეყნის ინდუსტრიის მშენებელთა უმრავლესობაც ხომ კომუნისტები და კომკავშირლები არიან?!



სტალინი და კიროვი

**კიროვი 1934 წლის 1-ელ დეკემბერს, 16 საათსა და 37 წუთზე მოკლეს. სტალინმა კი ეს გამაოგნებელი ამბავი 18:00 სთ-ზე შეიტყო. 2 დეკემბერს სტალინი პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად ლენინგრადის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურზე სპეცვაგონიდან ჩამოვიდა. მასთან პატაკის მისაცემად ლენინგრადის უშიშროების უფროსი გამოცხადდა და სამხედრო სალმის მიცემის შემდეგ პირიც არ ჰქონდა გაღებული, რომ სტალინი მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და სილა გააწნა**

...1934 წლის 11 დეკემბერს გადმოსცეს მოკლე ინტერვიუ კიროვის მკვლელობის საქმის ჩემთვის უცნობი „მცოდნეებისა“, რომლებიც დაუსაბუთებლად არწმუნებენ მსმენელებს ს. მ. კიროვის მკვლელობაში სტალინის თანამონაწილეობაში. ამაში გასარკვევად უნდა გავიხსენოთ 1919 წელი, ქალაქი ასტრახანი.

პარტიის ასტრახანის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივნის — **ა. სოკოლოვის** ოფიციალური წერილიდან: „როგორც ცნობილია, კიროვი გადამწყვეტ როლს თამაშობდა ასტრახანის დაცვაში, როცა რევოლუციური არმია ჩორნი იარის თავზე გააფთრებულ ომში იყო ჩართული. ამ დროს კიროვის წინააღმდეგ მოაწყვეს პროვოკაცია მისი ჩამოშორების მიზნით. 1919 წლის აგვისტოში რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ **ტროცკიმ** გამოსცა დირექტივა, რომელშიც ნაბრძანები იყო ასტრახანის მოსახლეობის ევაკუაცია.

კიროვმა პროტესტი განაცხადა და დეპეშა გაუგზავნა **ლენინს**, რომელმაც ტროცკის ბრძანება გააუქმა. ამ პერიოდში გაჩნდა პირველი ბზარი კიროვსა და ტროცკის შორის. ეს ინციდენტი ტროცკიმ „ძაღლის ნაკბენივით“ დაუმახსოვრა კიროვს. ტროცკი არასოდეს არავის მიუტევებდა თავისი პრესტიჟის შელახვას.

პროვოკაციამ კიროვის წინააღმდეგ არ დაახანა. ესერმა **რახილ ვასერმანმა** დაიწყო ასტრახანში ხმების გავრცელება, რომ კიროვი სინამდვილეში ანარქისტი ბერი **ილიოდორია.** საქმე ის არის, რომ კიროვი ილიოდორს ჰგავდა. რახილ ვასერმანმა გაამრავლა ილიოდორის ფოტოსურათები და მათი გავრცელება დაიწყო ქალაქ ასტრახანში, თანაც ამტკიცებდა, კიროვი სწორედ ეს არისო.

სიცრუეზე აგებულმა პროპაგანდამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო, მის ანკესზე წამოეგნენ გუბერნიის აღმასკომის მდივანი **ივანოვი,** გუბერნიის კომისარი **ნეპრიახინი** და ასტრახანის გარნიზონის უფროსი **ჩუგუნოვი.** ისინი მივიდნენ **ვალერიან კუიბიშევთან,** რომელიც იმხანად ასტრახანში იმყოფებოდა კიროვის პიროვნების დასადგენად.

კუიბიშევმა განაცხადა, რომ კიროვი ლენინის მიერ გამოგზავნილი პროფესიონალი რევოლუციონერია და მას სტალინი იცნობსო, მაგრამ ეს პროვოკაცია ისე ოსტატურად იყო ორგანიზებული, რომ მათ კუიბიშევის ნათქვამი არ ირწმუნეს. 1919 წლის 6 ოქტომბრის ღამეს კიროვის პატარა სახლს შემოერტყნენ წითელარმიელები და სატელეფონო კავშირი გადაჭრეს. დილის 4 საათზე ოთხი „ჩეკისტი“ მივიდა კიროვთან, საწოლიდან ააყენა და დაიწყო კიროვის სახის შედარება ილიოდორის ფოტოსურათთან. აგრეთვე, შეადარეს კიროვისა და ილიოდორის ხელმოწერებიც. ბოლოს სამი მენშევიკი (**ნეპრიახინი, ივანოვი** და **ჩუგუნოვი**) დარწმუნდა, რომ ვასერმანის მიერ იყვნენ პროვოცირებულნი და დილის 7 საათზე კიროვის ვინაობის „ძიება“ დაამთავრა. მოხსნეს ალყა, კიროვს სატელეფონო კავშირი აღუდგინეს და იქაურობას გაეცალნენ.

**1919 წლის 26 ნოემბერს ილიოდორის საქმე სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა. ივანოვსა და ვასერმანს დახვრეტა მიუსაჯეს. ძიებამ დაადგინა, რომ ვასერმანი დენიკინის დაზვერვის აგენტი იყო** (კიროვი, სტატიები და სიტყვები, ტ. I. გვ. 87, 1936წ.).

1933 წლის ზამთარში კიროვი სტალინთან ცხოვრობდა კუნცევოს აგარაკზე. იმხანად სტალინთან ვმუშაობდი და მასთან ერთად ვყოფილვარ შავი ზღვისპირეთში. კიროვი სტალინის ხშირი სტუმარი იყო 9-ე აგარაკზე. დღისით „გოროდკის“ თამაშობდნენ, საღამოობით კი — ბილიარდს. დამარცხებული ბილიარდის მაგიდის ქვეშ ხოხვით ძვრებოდა, სხვები კი ბილიარდის მაგიდას კიებს ურტყამდნენ. კუნცევოში ისინი ერთად დადიოდნენ ორთქლის აბანოში.

1934 წლის 6-დან 29 სექტემბრამდე კიროვი ყაზახეთში იმყოფებოდა მოსავლის აღებაზე. იქ საშინელ პირობებში იხდიდნენ სასჯელს გადასახლებული კულაკები. კიროვმა მიაღწია პროკურორისა და **ჰენრიხ იაგოდას** მიერ დანიშნული ზოგიერთი თანამდებობის პირის მოხსნას. ასე გაუჩნდა კიროვს იაგოდას სახით მეორე საშიში და ვერაგი მტერი.

1934 წლის 31 იანვარს კიროვი სიტყვით გამოვიდა საკავშირო კპ(ბ)-ის XVII ყრილობაზე, **ბუხარინის, ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის** გაკრიტიკების შემდეგ გადავიდა ტროცკის კრიტიკაზე, რომელიც იმხანად ნორვეგიაში, ოსლოში ცხოვრობდა. შემდეგ სათქმელი ასე შეაჯამა: **„სამგზის წყეული იყოს ეს სახელი, მასზე ისეთ საპასუხისმგებლო ფორუმზე, როგორც ყრილობაა, რა სალაპარაკოა“.** ტროცკიმ წაიკითხა კიროვის სიტყვა, შეისწავლა ის და მოსკოვის ოპოზიციასთან, მეკავშირე **ბესონოვის** მეშვეობით, თავისი დასკვნები მოაწოდა თანამოაზრეებს.

ამასობაში იაგოდა კიროვისკენ მიმავალ გზას უწმენდდა მის მტრებს. 1929 წელს თანამდებობიდან გადააყენა ლენინგრადის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი **მესინგი**, რომელიც იცავდა პატიოსან კომუნისტებს და, მისი წყალობით, კიროვის პირადი დაცვა სიფხიზლის ზენიტზე იდგა. იაგოდამ და **ფრინოვსკიმ** მესინგს საქმე შეუთითხნეს და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ მას დახვრეტა მიუსაჯა.

1934 წლის 15-დან 28 ნოემბრამდე გაიმართა საკავშირო კპ(ბ)-ის პლენუმი, რომელზეც იხილებოდა საბარათო სისტემის გაუქმების საკითხი. 1934 წლის 28 ნოემბერს, 23 საათზე, სტალინმა გააცილა კიროვი ლენინგრადის მატარებელ „სტრელამდე“. მე, ჩემი უფროსი **სმირნოვი** და კომისარი **ლიუბოვნიცკი** ვუყურებდით, როგორ გულთბილად აცილებდა სტალინი კიროვს. ისინი გულმხურვალედ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და მატარებელი დაიძრა. სტალინმა 1 დეკემბერს, დაახლოებით 18 საათზე, ▶

**«სტალინი კიროვთან გამოსათხოვებლად ჩამოვიდა. მივიდა კუბოსთან, დაიხარა, მოეხვია, ტუჩებში აკოცა და უთხრა: «მშვიდობით, ჩემო მეგობარო! ჩვენ შურს ვიძიებთ!» 4 დეკემბერს, ღამის პირველის ნახევარზე, კიროვის კუბო მოსკოვის სადგურზე სატვირთო ვაგონში დაასვენეს. კიროვის ცხედარს მოსკოვში მთელი პოლიტბიურო დახვდა და საბჭოების სასახლემდე მიაცილა»**

„სმოლნში კიროვის პირადი დაცვის ხელმძღვანელობის მოქმედებაში გამცემლობის ნიშნები ვიპოვე. მე-3 სართულის დერეფანში არ იყო დაცვის თანამშრომელი, არადა, ის მოვალე იყო, იქ მდგარიყო იმის მიუხედავად, კიროვი იქ იმყოფებოდა თუ არა. სმოლნის თალში მოედნიდან შესასვლელთან, აგრეთვე, უნდა ყოფილიყო ოგპუ-ს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს) დაცვის სამსახური. სმოლნის სადარბაზოშიც და სადარბაზოსთანაც უნდა მდგარიყო მცველი. სავალდებულო იყო კიროვის მიმყოლ, თანმხლებ მანქანაში კიროვის პირადი დაცვის ორი თანამშრომლისა და მძღოლის ყოფნა“.



◀ შეიტყო კიროვის მკვლელობის ამბავი.

1934 წლის 2 დეკემბერს, დილით, სტალინი, **მოლოტოვი** და **ვოროშილოვი** ლენინგრადში ჩავიდნენ. ქალაქი ისე იყო აფორიაქებული, როგორც ფუტკრის სკა, როცა იქ დათვი შედის პირის ჩასატკბარუნებლად. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფროსი **ფილიპ მედვედი** ბაქანზე ოფლში გახვითქული და ფაფახმოქცეული დარბოდა. სტალინი გაავებული იყო და მისთვის ყურადღება არც მიუქცევია. ის **აგრანოვის, პაუკერის, კუზნეცოვის, პროკოფიევის, პროჟერინისა** და **რუმიანცევის** თანხლებით შევიდა სმოლნში. რუმიანცევმა სმოლნის მე-3 სართულის პოსტზე დამაყენა. სმოლნში მომუშავე ხელმძღვანელი ამხანაგებისგან რისი დადგენა, რისი გაგონება შევძელი? კიროვის მკვლელის, ლეონიდ ნიკოლაევის, ცოლი - **მილდა პეტრეს ასული დრაულე** სმოლნში მუშაობდა საოლქო კომიტეტის სამდივნოში, მგონი, კარტოთეკაში თუ კანცელარიაში. ზოგჯერ სამსახურეობრივ საქმეზე შედიოდა კიროვთან, რომელიც მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, მაგრამ მასთან კიროვის ფლირტი საოლქო კომიტეტის თანამშრომლებს არ შეუმჩნევიათ. კიროვს ტურფა საყვარლები ჰყავდა როგორც ლენინგრადში, ისე მის შემოგარენშიც. კიროვის ცოლს — **მარია ლვოვის ასულ მარკუსს**, ეჭვიან, ფიზიკურად სუსტ ქალს, ფსიქიკური გადახრები ჰქონდა.

ლეონიდ ნიკოლაევი ერთი უმუშევარი, გაუწონასწორებელი და ნერვიული კაცი იყო. მის ბინაში ინკოგნიტოდ რეკავდნენ და ცოლის საყვარლებს უსახელებდნენ, მათ შორის, კიროვსაც. ბუნებრივია, რომ ნიკოლაევს თავისუფლად შეეძლო სმოლნში ყოფნა, რადგან მისი მეუღლე იქ მუშაობდა.




**1934 წლის 2 დეკემბერს, დილით, სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი ლენინგრადში ჩავიდნენ. ქალაქი ისე იყო აფორიაქებული, როგორც ფუტკრის სკა, როცა იქ დათვი შედის პირის ჩასატკბარუნებლად**

ნიკოლაევი ორჯერ დააკავეს — პორტფელში ნაგანი უპოვეს; პირველად სმოლნის სადარბაზოსთან, როცა კიროვი მოსკოვიდან ბრუნდებოდა. ამას ადასტურებენ დაცვის ოპერატიული განყოფილების უფროსი **ბუკოვსკი** და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, მაგრამ ნიკოლაევს ყოველთვის ათავისუფლებდნენ და იარაღი მასთან რჩებოდა. არსებობს ვერსია, რომ ნიკოლაევი თხოვნას წერდა კიროვის სახელზე და ცდილობდა, მას მიეღო, მაგრამ ამაოდ...

1934 წლის 1 დეკემბერს ნიკოლაევი შუადღეს შევიდა სმოლნში, დერეფანში ილაყბა, რაფაზე იჯდა ცოტა ხანს, შემდეგ კი გადაწყვიტა, შესულიყო **უგაროვთან** და მისთვის ეთხოვა ტავრიული სასახლის საშვი — იქ 18 საათზე საბარათო სისტემის გაუქმების საკითხზე კიროვი უნდა გამოსულიყო. მაგრამ უგაროვმა ნიკოლაევს საშვის მიცემაზე უარი განუცხადა. ნიკოლაევმა ისევ დაიწყო მე-3 სართულის დერეფანში ბორიალი. მე სისტემის ინსტრუქტორი ვიყავი და პოლიტბიუროს წევრთა დაცვის მეთოდები ზედმიწევნით ვიცოდი, სმოლნში **კიროვის პირადი დაცვის ხელმძღვანელობის მოქმედებაში გამცემლობის ნიშნები ვიპოვე. მე-3 სართულის დერეფანში არ იყო დაცვის თანამშრომელი, არადა, ის მოვალე იყო, იქ მდგარიყო იმის მიუხედავად, კიროვი იქ იმყოფებოდა თუ არა.**

სმოლნის თალში მოედნიდან შესასვლელთან, აგრეთვე, უნდა ყოფილიყო ოგპუ-ს (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს) დაცვის სამსახური. სმოლნის სადარბაზოშიც და სადარბაზოსთანაც უნდა მდგარიყო მცველი. სავალდებულო იყო კიროვის მიმყოლ, თანმხლებ მანქანაში კიროვის პირადი დაცვის ორი თანამშრომლისა და მძღოლის ყოფნა. მცველი და ერთი თანამშრომელი ვალდებულნი იყვნენ, კიროვის გვერდით ყოფილიყვნენ. როცა ის კიბეზე ადიოდა თუ ჩადიოდა ან დერეფანში დადიოდა. მე დავადგინე, რომ კიროვი პატივს არ სცემდა **ბორისოვს.** კიროვთან იყო **სტეპანოვიც.** კიროვს კაბინეტში შესვლის წინ მისაღებში უნდა დახვედროდა მდივანი. არაფერია თქმული იმაზე, სად იყო ის. თუ ბორისოვი არა, სტეპანოვი მაინც უნდა დამდგარიყო პოსტზე მისაღებში ან კიროვის კაბინეტის კართან.

იქ არავინ აღმოჩნდა. გამცემლობა თვალნათლივ ჩანდა. მერე რა, რომ კიროვი ბორისოვს პატივს არ სცემდა. ვინმეს თავის თავზე უნდა დაეკისრებინა კიროვის გვერდით დგომა ან მისთვის მიემაგრებინათ სხვა პირი, რომელსაც კიროვი შეეწყობოდა.

1 დეკემბერს, 16 საათსა და 35 წუთზე, გაისმა სროლის ხმა. ნიკოლაევმა ესროლა კიროვს, რომელიც დერეფანში, ჩუდოვის კაბინეტის ახლოს დაეცა. კიროვთან ყველაზე ადრე ლენსაბჭოს თავმჯდომარე **კადაცკიმ** მიირბინა, მას მიჰყვნენ **ჩუდოვი, ირკლისი, სტრუპე,** შემდეგ კი მივიდა **ბორისოვი.** კადაცკიმ აიღო ნიკოლაევის ნაგანი, რომელიც იქვე ეგდო და უგაროვს გადასცა. ისტერიკაში ჩავარდნილი ნიკოლაევი იატაკზე იწვა და გაიძახოდა: „მე მასზე ცოლის გამო ვიძიე შური“, მაგრამ ეს სიმართლეს არ ჰგავდა. როგორ გაჩნდა მის ხელში ნაგანი? რატომ იყო, რომ მას ორჯერ-სამჯერ უპოვეს იარაღი და **ივანე ზაპოროჟეცმა** (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლენინგრადის სამმართველოს უფროსის მოადგილე — გრ. ონიანი) ყოველთვის გაათავისუფლა? აქ საქმეში უფრო ღრმად ჩახედვაა საჭირო. კიროვი თავის კაბინეტში გრძელ მაგიდაზე დაასვენეს. მოსკოვში სტალინს დაურეკეს. ეს სტალინისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემა იყო. ის მივიდა საავადმყოფოში, სადაც კიროვის სხეულს კვეთდნენ. სტალინმა კიროვის კაბინეტში ყველაფერი გამოჰკითხა მედვედს, მკაცრად გაკიცხა ის კიროვის დაცვაში დაშვებული დაუდევრობის გამო... გულისყურით წავიკითხე სტატია 1994 წლის 1 დეკემბრის გაზეთ „ვეჩერნი კლუბში“, სადაც აღწერილია, თუ როგორ შევიდნენ სტალინთან სმოლნის კაბინეტში **გულკო, პეტერსონი.** ისინი, გამომძიებლები კი არა, ოპერატიული განყოფილების დაცვის მაღალი რანგის უფროსები იყვნენ. მოკლედ, სტალინთან მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის მორჩილი შარაგზის ბანდიტები შევიდნენ.

კრემლის კომენდანტი პეტერსონი ადრე ტროცკის სპეცმატარებლის კომენდანტი იყო. ასე რომ, მას გამოძიებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. სტალინთან კაბინეტში შევიდა მისი მცველი **რუმიანცევი.** მისაღებში იდგნენ კირილინი, კუმიჩოვი, კუზნეცოვი. სმოლნიდან სასახლემდე, სადაც კიროვი ესვენა კუბოში, იდგა ძერჟინსკის სახელობის დივიზია. იმ დივიზიაში იყო იმხანად პოლკის მეთაური **მაკეევი.** რატომ იყო ასეთი სიმკაცრე?

იხსენებს გმირი ფრონტელი **ანა ნიკულინა:** „უფრო გვიან ჩვენთან საკავშირო კპ(ბ)-ის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მრეწველობის განყოფილებაში გამოგზავნეს რამდენიმე კაცი ლენინგრადიდან, ძირითადად, სამხედროები. მე მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი ვიყავი. პირველი მდივანი **ევდოკიმოვი** იყო. ის თავგამოდებული ტროცკისტი ბრძანდებოდა. ის იღებდა ლენინგრადიდან გამოქცეულ ყველა ტროცკისტსა და ზინოვიელს. ერთ-ერთი მათგანი, გვარად **პარამბაუმი,** ჩემთან გადიოდა სტაჟირებას. მან გულახდილი საუბრისას, საკმაოდ შეშფოთებულმა, გადაკვრით მაცნობა, რომ 3 დეკემბერს ლენინგრადში სტალინზე თავდასხმა მზადდებოდა. ლენინგრადის სამხედრო ოლქში იმყოფებოდნენ სამხედროები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ზოგიერთ სამხედრო პირთან. პირველ რიგში, მან სიტყვა გადამიკრა **ჩევსკიზე, გამარნიკზე, კორკსა** და სხვებზე. ევდოკიმოვმა მრეწველობის განყოფილების 12 ინსტრუქტორიდან თერთმეტი ციხეში ჩაყარა და ისინი იქიდან არ გამოსულან“.

სტალინი კიროვთან გამოსათხოვებლად ჩამოვიდა. მივიდა კუბოსთან, დაიხარა, მოეხვია, ტუჩებში აკოცა და უთხრა: „მშვიდობით, ჩემო მეგობარო! ჩვენ შურს ვიძიებთ!“

4 დეკემბერს, ღამის პირველის ნახევარზე, კიროვის კუბო მოსკოვის სადგურზე სატვირთო ვაგონში დაასვენეს. კიროვის ცხედარს მოსკოვში მთელი პოლიტბიურო დახვდა და საბჭოების სასახლემდე მიაცილა.

**დასასრული შემდეგ ნომერში**



**4 დეკემბერს, ღამის პირველის ნახევარზე, კიროვის კუბო მოსკოვის სადგურზე სატვირთო ვაგონში დაასვენეს. კიროვის ცხედარს მოსკოვში მთელი პოლიტბიურო დახვდა და საბჭოების სასახლემდე მიაცილა**




**ყურადღება!**

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთის საგარეო დოკუმენტაციისა და კონტრდაზვერვის სამსახურმა ჩაძირა „გრინფისის“ გემი, რომელშიც იმყოფებოდნენ წყნარ ოკეანეში საფრანგეთის ბირთვული იარაღის გამოცდის საპროტესტო აქციის მონაწილენი. ეს მოხდა 1985 წლის 10 ივლისს.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-43 (366-372)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში




„გლადიოს“ მხილებამდე (1990 წ.) ორი წლით ადრე „ბი-ბი-სიმ“ საზოგადოებრიობას აუწყა ბრიტანეთისა და ამერიკის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ. მასალა გამოქვეყნდა სათაურით **„პანდორას ყუთის გახსნა“.** პუბლიკაციაში მოთხრობილი იყო, თუ როგორ აწამებდნენ ბრიტანეთის სპეციალური ავიასადესანტო სამსახური **(სას)** და ამერიკის „მწვანე ბერეტები“ ბოლო 30 წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი კამპანიისას (კენიიადან ჩრდილოეთ ირლანდიამდე, ომანში, ვიეტნამში, იემენში, კვიპროსზე და სხვა ქვეყნებში) დატყვევებულ ადამიანებს. ყოფილმა „მწვანე ბერეტმა,“ ოფიცერმა **ლუკ ტომსონმა** კამერების წინ განაცხადა, რომ ფორტ-ბრეგში განლაგებული აშშ-ის სპეციალური დანიშნულების ძალები მონაწილეობდნენ **სას**-ის გაწვრთნის პროგრამაში. რის შემდეგაც ჟურნალისტმა **რიჩარდ ნორტონ გეილორმა**, „პანდორას ყუთის გახსნის“ პროდუსერმა და რეპორტიორმა, რომელიც ორი წლის შემდეგ „გლადიოს“ სკანდალური მხილების კვალზე ცნობილი პიროვნება გახდა, დაასკვნა: **„წამება ძალიან გავრცელებულია და ჩვენთან გაცილებით ახლოსაა, ვიდრე გვგონია“.**

მეორე ზესაიდუმლო ოპერაციის დროს ამერიკელი „მწვანე ბერეტები“ წვრთნიდნენ კამბოჯაში გენოციდში ბრალდებულ „წითელ კხმერებს“ მას შემდეგ, რაც მათთან კონტაქტი დამყარდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტისა და აშშ-ის პრეზიდენტის, **რონალდ რეიგანის** სპეციალური მრჩევლის — **რემ კლაინის** მეშვეობით. როცა 1983 წელს დაიწყო „ირანგეიტის“ სკანდალი, პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელსაც ეშინოდა მორიგი უსიამოვნო მხილების, სთხოვა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **მარგარეტ ტეტჩერს,** გაერკვია, ვინ გაგზავნა სას-ი **პოლ პოტის** რაზმების გასაწვრთნელად. „პირველად ტაილანდში 1984 წელს ჩავფრინდით, — იხსენებდა სას-ის ერთ-ერთი უფროსი ოფიცერი, — ერთად ვმუშაობდით, ძმებივით ვიყავით. ახლა ეს გულზე არ ეხატებათ. ბევრი რამ შევასწავლეთ „წითელ კხმერებს“... თავდაპირველად მათ უნდოდათ, რომ წავსულიყავით სოფლებში და დაგვეხოცა ხალხი. ჩვენ ვუთხარით, რომ ყველაფერი მშვიდად უნდა შეეფასებინათ“.

სას-ი ამ ოპერაციაში მონაწილეობისას თავს უხერხულად გრძნობდა. „ბევრი ჩვენგანი, ნახევარი შანსიც რომ ჰქონოდა, ყველაფერს შეცვლიდა, ისე ამოგვივიდა ყველაფერი ყელში. ჩვენ გვძულდა სიტუაცია, პოლ პოტთან დაკავშირებული რომ ვიყავით: ჩვენ ჯარისკაცები ვართ და არა ბავშვების მკვლელები“.

„ჩემი გამოცდილება, რომელიც საიდუმლო ორგანიზაციებში მუშაობისას მივიღე, რომ ეს ოპერაციები იშვიათად რჩება საიდუმლოდ, — ამას ამბობს „გლადიოზე“ საუბრისას ფელდმარშალი **ლორდი კალვერი**, რომელიც ბრიტანეთის გენერალური შტაბის უფროსი იყო, შემდეგ კი — თავდაცვის შტაბის უფროსი. როგორც კი ამ მოლიპულ გზაზე შედგებით, იცოდეთ, ჩნდება იმის საშიშროება, რომ სპეციალური დანიშნულების ძალები შეიძლება შეეცადონ, ხელთ იგდონ ძალაუფლება და კანონი, როგორც ფრანგებმა გააკეთეს ალჟირში და შეიძლება მომხდარიყო ახალ ზელანდიაში „გრინფისის“ საქმეზე“. იმხანად **საფრანგეთის საგარეო დოკუმენტაციისა და კონტრდაზვერვის სამსახურმა ჩაძირა „გრინფისის“ გემი, რომელშიც იმყოფებოდნენ წყნარ ოკეანეში საფრანგეთის ბირთვული იარაღის გამოცდის საპროტესტო აქციის მონაწილენი. ეს მოხდა 1985 წლის 10 ივლისს.** მოლიპული იყო გზა სას-ის ნაწილების განთავსებისა ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე, როცა ირლანდიელმა რესპუბლიკელებმა სას-ის ჯარები, არც მეტი, არც ნაკლები, ტერორისტებად მიიჩნიეს. კრიტიკოსების აზრით, „საქმე შეიძლება ძალიან გახმაურებულიყო და ბრიტანელთა თვალსაზრისითაც კი სას-ის ჯარები შეიქნა ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემის ნაწილი და არა პრობლემის გადაწყვეტის ნაწილი“.

1990 წელს, როცა აგორდა სკანდალი „გლადიოს“ შესახებ, პრესა აღნიშნავდა: **„ახლა აშკარაა: სპეციალური ავიასადესანტო სამსახურის ელიტური პოლკები ყურებამდე არიან ჩაფლული ნატოს სქემებში და მოქმედებდნენ „მი-6“-თან ერთად, როგორც საიდუმლო საბრძოლო ოპერაციებისა და საბოტაჟის სასწავლო ქვედანაყოფი“.** ბრიტანეთის პრესამ უფრო კონკრეტულად დაადასტურა, რომ **„იტალიის საიდუმლო არმიები მომზადებას დიდ ბრიტანეთში გადიოდა. ამჟამად მოპოვებულია მტკიცებულებანი, რომ ეს ხდებოდა 1980-იან წლებში“. და დასძინა: „დადასტურდა, რომ დასავლეთ გერმანიის ბრიტანეთის სექტორში სასმა შექმნა საიდუმლო სამალავები, რომლებშიც შეინახეს იარაღი“.**

საინტერესო ინფორმაცია ბრიტანეთის საიდუმლო მონაწილეობის შესახებ მივიღეთ შვეიცარიის საპარლამენტო კომისიის გამოძიების წყალობით, რომელმაც განიხილა შვეიცარიის საიდუმლო არმიის საკითხი. **„ბრიტანეთის სპეცსამსახურები საიდუმლო შეთანხმებების მეშვეობით მჭიდროდ თანამშრომლობდნენ შვეიცარიის შეიარაღებულ საიდუმლო ორგანიზაციასთან, რომელიც დასავლეთ ევროპის „წინააღმდეგობის ჯგუფების“ ქსელის შემადგენელი ნაწილი გახდა“,** — აცნობა პრესამ ნეიტრალური შვეიცარიის გაოგნებულ საზოგადოებრიობას. შვეიცარიელ მოსამართლე **კორნს** დაევალა, გარკვეულიყო ამ საკითხში. იგი თავის ანგარიშში წერს, რომ „ორგანიზაციის თანამშრომლობა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებთან“ იყო „ინტენსიური“, რომ ბრიტანელები შვეიცარიელებს აწვდიდნენ ახალ და საინტერესო ცნობებს. P26-ის კადრებს რეგულარულად ამზადებდნენ დიდ ბრიტანეთში“, — ნათქვამია ანგარიშში. ბრიტანეთის ინსტრუქტორები (შესაძლოა, სას-იდანაც კი) შედიოდნენ შვეიცარიის გასაიდუმლოებულ სასწავლო ცენტრებში. ბრიტანელებმა შვეიცარიის საიდუმლო არმიების შესახებ შვეიცარიის მთავრობაზე მეტი იცოდნენ: „ოპერაციები, რომლებსაც P26 ატარებდა, მათი კოდები, მათი ჯგუფის ლიდერის სახელი — **ეფრემ კატელანი**, ეს ყველაფერი ცნობილი იყო ბრიტანეთის დაზვერვისთვის, შვეიცარიის მთავრობას კი წარმოდგენაც არ ჰქონდა“.

ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბუთები, რომლებიც დაგვეხმარებოდა, გაგვეგო ბრიტანეთსა და P26-ს შორის დადებული საიდუმლო შეთანხმებების დეტალები, ნაპოვნი არ არის.

**1960-იანი, 1970-იანი და 1980-იანი წლების განმავლობაში შვეიცარიელი „გლადიატორები“ ემზადებოდნენ დიდ ბრიტანეთში ბრიტანეთის სპეციალური დანიშნულების ძალების ინსტრუქტორებთან. სწავლება, შვეიცარიელი სამხედრო ინსტრუქტორის თქმით და „გლადიოს“ ორგანიზაციის წევრის ალოიზ ჰიურლიმანის დაუდასტურებელი ინფორმაციით, ითვალისწინებდა ირა-ს აქტივისტების წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობას, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე.** ჰიურლიმანს წამოსცდა ეს ინფორმაცია შვეიცარიაში მოქმედი ინგლისური სალაპარაკო ენის შემსწავლელ კურსებზე ყოფნისას, როცა ცუდი ინგლისურით მაცნობა, რომ 1984 წლის მაისში მონაწილეობდა საიდუმლო სწავლებაში, რომელიც ინგლისში იყო მოწყობილი.

სწავლება, მისი სიტყვით, ითვალისწინებდა ირა-ს აქტივისტების იარაღის საწყობზე თავდასხმაში რეალურ მონაწილეობას, რომელშიც მონაწილეობდა და რომლის განხორციელებისას, სულ ცოტა, ირა-ს ერთი აქტივისტი მოკლეს.

**კორნის გამოძიებით დადგინდა, რომ ინგლისის ტერიტორიაზე შექმნილი იყო „გლადიოს“ საკომანდო-საკომუნიკაციო ცენტრი, აღჭურვილი საიდუმლო ქვედანაყოფებისთვის აუცილებელი „ჰარპუნის“ სისტემით.**

1984 წლის შეთანხმებაში ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომელსაც 1987 წელს დაემატა მემორანდუმი ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხებზე, პირდაპირ იყო ნათქვამი დიდ „ბრიტანეთში სწავლების ჩატარებაზე, შვეიცარიაში გადამცემი რადიოცენტრის მოწყობასა და ტექნიკურ საკითხებში ორი საიდუმლო სამსახურის ურთიერთობაზე“. კორნის თქმით, „ვერც შეთანხმება ერთობლივი საქმიანობის შესახებ და ვერც ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ვერ იპოვეს“. შვეიცარიის საიდუმლო სამხედრო სამსახურის — **UNA**-ს პასუხისმგებელმა პირმა განაცხადა, რომ „1989 წლის დეკემბერში დოკუმენტები გადასცეს ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურებს იმ მიზეზებით, რომლებიც გაურკვეველი რჩება. დოკუმენტების ასლები არ დარჩენილა“.

**„შვეიცარიის საკადრო შემადგენლობა ბრიტანელებს ამ დარგში საუკეთესო სპეციალისტებად მიიჩნევს“,** — დაასკვნა შვეიცარიის მთავრობამ თავის ანგარიშში.

ნატოს ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, 1990 წლის მხილებების შემდეგ ამტკიცებდა, რომ **„ბრიტანელებისა და ამერიკელების საქმიანობა განაწილებული ჰქონდათ. დიდი ბრიტანეთი პასუხისმგებელი იყო ოპერაციების ჩატარებაზე საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, პორტუგალიასა და ნორვეგიაში; ამერიკელებს დაკისრებული ჰქონდათ ოპერაციების მოწყობა შვედეთში, ფინეთსა და დანარჩენ ევროპაში მთლიანად“. მაგრამ, როგორც იტალიის მაგალითი მოწმობს, საქმიანობის ამგვარი დაყოფა ყოველთვის მშვიდად არ ხორციელდებოდა.**

გენერალმა **უმბერტო ბროკოლიმ**, იტალიის საიდუმლო სამხედრო სამსახურის SIFAR-ის ერთ-ერთმა დირექტორმა 1951 წლის 8 ოქტომბერს იტალიის თავდაცვის მინისტრ **ეფიზიო მარასს** მისწერა, რომ მოლაპარაკებულიყვნენ იტალიის საიდუმლო არმიისა და „გლადიატორების“ სწავლების საკითხებზე. ბროკოლიმ აცნობა, რომ ბრიტანელებმა უკვე შექმნეს საიდუმლო არმიების ქსელი ნიდერლანდებში, ბელგიაში (და, სავარაუდოდ, შესაძლებელია), დანიასა და ნორვეგიაში“. **ბროკოლი მოხარული იყო, ეცნობებინა, რომ ამერიკელებმა „შემოგვთავაზეს ჩვენთან აქტიური თანამშრომლობის დაწყება, მოავლენენ ჩვენთან სპეციალისტებს, გამოგვიგზავნიან მასალებს (როგორც ჩანს, უფასოდ ან თითქმის უფასოდ) და შესაძლებელია, ფინანსურადაც დაგვეხმარონ“.** ბროკოლიმ ხაზი გაუსვა, რომ ძალიან სასარგებლო იქნება, თუ შვიდ შერჩეულ იტალიელ ოფიცერს გაგზავნიან ინგლისში სპეციალური განათლების მისაღებად 1951 წლის ნოემბრიდან 1952 წლის თებერვლამდე. ეს ოფიცრები დაბრუნების შემდეგ შეძლებენ, უხელმძღვანელონ იტალიელი „გლადიატორების“ სწავლებას.

საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელმა ბროკოლიმ თავდაცვის მინისტრ მარასს სთხოვა, აცნობოს, რომ თანახმაა, განახორციელოს ეს კურსი, რადგან ბრიტანელებისგან ფარულად შეთანხმებული იყო ამერიკელებთან სწავლების კურსის შესახებ.

„გლადიოს“ მებრძოლების მომზადება ბრიტანელი ინსტრუქტორების მიერ უფასო არ იყო, ეს სერიოზული ბიზნესი გახლდათ, და ბროკოლიმ აღიარა, რომ სწავლება შეიძლება 500 მილიონი ლირა დაჯდეს, რომელსაც ვერ გამოჰყოფდნენ SIFAR-ის ბიუჯეტიდან და შეიარაღებული ძალების ბიუჯეტიდან უნდა დაეფინანსებინათ.

ბროკოლის განმარტებით, „მი-6“ „გლადიოს“ იტალიელ ოფიცრებს ასწავლიდა იმ პირობით, თუ იტალია დიდი ბრიტანეთისგან შეიძენდა იარაღს. პარალელურად მდიდარმა ცსს-მ შეიარაღების უფასოდ გადაცემა შესთავაზა, რომლის ინტერპრეტირებაც შეიძლებოდა გავლენის სფეროების განაწილებით. საბოლოოდ იტალიელებმა ორივე შეთავაზებიდან საუკეთესოს აღება გადაწყ- ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნეიტრალურ შვედეთში ბრიტანელები ამერიკულ ცსს-სთან ერთად მთავარ როლს თამაშობენ „გლადიოს“ ადგილობრივი მეთაურების მომზადებაში. ეს გაირკვა რეინგოლდ გეიჯერის წყალობით, რომელიც 1957 წელს გადაბირებულ იქნა შვედეთის „გლადიოს“ ქსელში და ათწლეულების განმავლობაში სარდლობდა ადგილობრივ ძალებს.**

◀ ვიტეს: გაგზავნეს თავიანთი ოფიცრები ბრიტანეთის სპეციალური მომზადების აღიარებულ სასწავლებლებში და, ამასთანავე, ფარულად გაურიგდნენ ამერიკელებს იარაღის უფასოდ მიღებაზე. ბრიტანელებს არ გაჰკვირებიათ. ამიტომ იყო, რომ ბროკოლის მემკვიდრე „სიფარის“ ხელმძღვანელის თანამდებაზე **ეტორე მუსკო** ბრიტანულ ფორტ „ბონეტონს“ რომ ეწვია, სადაც წვრთნა მიმდინარეობდა, მას იქ დაძაბული ვითარება დახვდა: „1953 წელს ბრიტანელები მიხვდნენ, რომ გააბითურეს და უსაყვედურეს მუსკოს ამერიკელებთან გარიგების გამო“.

გავლენის სფეროების გამო ცსს-სა და „მი-6“-ს შორის კონკურენცია იტალიით არ შემოიფარგლებოდა. 1990-იანი წლების ბოლოს ბელგიის თავდაცვის მინისტრმა **გი კოემმა**, საიდუმლო არმიების არსებობა რომ შეიტყო, საზოგადოებრიობას აუხსნა: „ბელგიისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების ურთიერთობა სათავეს იღებს იმ კონტაქტებიდან, რომლებიც განხორციელდა მისტერ **სპააკსა** და ბრიტანეთის დაზვერვის ხელმძღვანელ **მენზისს** შორის და აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ბელგიას შორის დადებული ხელშეკრულებიდან“. ასეთ „სამკუთხედს“ თავისი სირთულეებიც ჰქონდა, რადგან „მი-6“-სა და ცსს-ის სურდათ, დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ ბელგია ამ ორიდან პრივილეგიას არც ერთს არ მიანიჭებდა. ამიტომ იყო, რომ „მი-6“-ის მეთაურმა სტიუარტ მენზისმა 1949 წლის 27 იანვარს მისწერა ბელგიის იმჟამინდელ პრემიერმინიტრ **პოლ ჰენრი სპააკს:** „მე ვიყავი ფრიად მოხარული, რომ მქონდა შესაძლებლობა, პირადად თქვენთან განმეხილა ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემები, რომლებიც ბოლო ხანს მაღელვებს“. ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა, რომ ორივე ქვეყანამ უნდა გააააქტიუროს თანამშრომლობა „კომინფორმის (კომუნისტური და მუშათა პარტიის საინფორმაციო ბიურო) და პოტენციური მტრების გააქტიურების საკითხებზე“ და დაიწყონ მზადება ოპერატიული ინფორმაციის შეგროვებისა და ომის შემთხვევაში ოპერაციების განხორციელების ორგანიზებაზე“. კერძოდ „ზოგიერთი ოფიცერი უახლოეს მომავალში უნდა ეწვიოს დიდ ბრიტანეთს სწავლების კურსის გასავლელად ჩემს სამსახურთან ერთად“. მენზისი შეწუხებული იყო იმით, რომ სპააკი გაუზიარებდა „გლადიოს“ საკითხზე ცსს-ს და არა „მი-6“-ს. მან ხაზი გაუსვა, რომ ყოველთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა „ამერიკული მხარის მონაწილეობა დასავლეთ ევროპის დაცვის საკითხში. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ძალისხმევა, ამერიკელების მონდომების ჩათვლით, გაერთიანებული უნდა იყოს. პირველხარისხოვნად მიმაჩნია, თუ ამერიკელები მოინდომებენ, თქვენს სამსახურთან ერთად განაგრძობენ ომისთვის მოსამზადებელ გარკვეულ სამუშაოებს — მე მესმის, რომ თქვენი თანხმობა მიღებული მაქვს, და, მაშასადამე, ეს საქმიანობა ჩემს საქმიანობასთან უნდა იყოს შეთანხმებული“.

**მენზისმა დაიმოწმა დასავლეთევროპული კავშირის საიდუმლო ოპერაციების კომიტეტი, რომელიც 1948 წელს კოორდინაციას უწევდა განსაკუთრებულ საომარ ოპერაციებს, სანამ 1949 წელს ხელი არ მოაწერეს ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას და ნატომ არ დაიკისრა „გლადიოს“ კოორდინაცია.** „ასეთი თანამშრომლობა, — ხაზგასმით აღნიშნა მენზისმა სპააკისადმი გაგზავნილ წერილში, — ყველაფერთან ერთად საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ უსიამოვნებანი სამდივნოს ხელმძღვანელებთან. მე უკე ავუხსენი ამერიკული სამსახურის ხელმძღვანელს, რომ მზად ვარ, შევიმუშავო მასთან თანამშრომლობის გეგმები აღნიშნულ საფუძველზე, და ამიტომ ვთავაზობ, რომ მათ მიერ შემუშავებული ყველა პროექტი გაიგზავნოს ისევ ვაშინგტონში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის საიდუმლო სამსახურებს შორის კონსულტაციების გასამართავად. მენზისმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ბელგიული “გლადიო” შეიარაღებული და აღჭურვილი უნდა იყოს და „მომზადებისა და მასალებით უზრუნველყოფის მოთხოვნა შეიძლება უახლოეს მომავალში წამოიჭრას. მე უკვე ვივალდებულე, უზრუნველვყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა კანდიდატებისთვის, რომლებსაც დაასახელებს თქვენი სპეცსამსახურის ხელმძღვანელი. მე შემიძლია უზრუნველვყო ახალი მოწყობილობისთვის საჭირო წარმოება, მაგალითად, ტელეგრაფირების მოწყობილობისთვის, რომელიც საჭირო იქნება უახლოეს მომავალში იატაკქვეშა მუშაობისთვის“. „ამგვარ სპეციალიზებულ მოწყობილობას მოგვაწვდიან უფასოდ ან იჯარით გადმოგვცემენ, მაგრამ, ვფიქრობ, თუ საჭირო იქნება რომელიმე მოწყობილობის დიდი რაოდენობით გადმოცემა (მაგალითად, არცთუ დიდი მოცულობის იარაღის და სხვა სამხედრო მოწყობილობის), ფინანსები ბელგიისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურების მეგობრული მოლაპარაკების საგანი უნდა იყოს“. **ბელგიური „გლადიოს“ შექმნა უნდა წარმართულიყო საიდუმლოების უმკაცრესად დაცვის პირობებში და მენზისმა თავისი წერილი შემდეგი მოთხოვნით დაასრულა: „ საჭირო არ არის, გითხრათ, რომ დარწმუნებული ვარ, ეს მიმოწერა უმკაცრესად გასაიდუმლოებული დარჩება, და იგი არ უნდა გავუმჟღავნოთ მესამე პირებს, ჩვენი ორმხრივი თანხმობის გარეშე“.**




**1960-იანი, 1970-იანი და 1980-იანი წლების განმავლობაში შვეიცარიელი «გლადიატორები» ემზადებოდნენ დიდ ბრიტანეთში ბრიტანეთის სპეციალური დანიშნულების ძალების ინსტრუქტორებთან. სწავლება, შვეიცარიელი სამხედრო ინსტრუქტორის თქმით და «გლადიოს» ორგანიზაციის წევრ ალოიზ ჰიურლიმანის დაუდასტურებელი ინფორმაციით, ითვალისწინებდა ირა-ს აქტივისტების წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობას, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე**




დაახლოებით ორი კვირის შემდეგ სპააკმა უპასუხა მენზისს, რომ კარგი იქნებოდა დიდი ბრიტანეთისგან დახმარების მიღება, მაგრამ იგი თავის მოვალეობად თვლის, აცნობოს მენზისს: ამერიკელები ასევე სთავაზობდნენ ბელგიურ მხარეს თავიანთ დაინტერესებას ამ საქმეში. ამიტომ, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ ჯერ ბრიტანელებსა და ამერიკელებს გადაეწყვიტათ ერთმანეთში ეს საკითხი. „დაგეთანხმებით, — წერდა ბელგიის პრემიერმინისტრი, — რომ ფრიად სასურველი იქნებოდა, საიდუმლო სამსახურებს (ბრიტანეთის, ამერიკის და ბელგიის) მჭიდროდ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან“.

სპააკმა შესანიშნავად იცოდა, როგორი კონკურენცია არსებობდა „მი-6“-სა და ცსს-ს შორის გავლენის სფეროების განაწილების საკითხში და ამიტომ აღნიშნავდა, რომ „თუ ორი მხარე — ბრიტანული და ამერიკული, უარს იტყვის ერთობლივ საქმიანობაზე, ბელგიური სამსახური აღმოჩნდება ძალიან დელიკატურ და რთულ მდგომარეობაში. ამიტომ მგონია, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად გარდაუვალია მოლაპარაკების გამართვა ლონდონსა და ვაშინგტონს შორის უმაღლეს დონეზე.

ნორვეგიაში საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელი **ვილჰელმ ევანგი** იყო ცენტრალური ფიგურა საიდუმლო არმიებისა და ნორვეგიული დაზვერვის პირველი სამსახურის (NIS) შექმნის საქმეში. ოსლოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ევანგი ლონდონში ემიგრაციაში მყოფი ნორვეგიის მთავრობის მცირე ჯგუფს 1942 წელს შეუერთდა. ნორვეგიაში დაბრუნების შემდეგ ევანგმა, რომელსაც ბრიტანელებთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა, 1946 წელს შექმნა ომისშემდგომი დაზვერვის სამსახური NIS და 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. 1947 წლის თებერვალში ევანგი ხვდება ბრიტანული „მი-6“-ის ოფიცერს (მისი სახელი უცნობია), რომელსაც „მჭიდრო კავშირი ჰქონდა სამხედრო და თავდაცვით წრეებში“, — აღნიშნავს იგი თავის ჩანაწერებში. ამ და სხვა ამგვარმა შეხვედრებმა დაარწმუნა ინგლისელები, რომ აუცილებელი იყო, დაინტერესებულიყვნენ იმ ქვეყნების თავდაცვის გაძლიერებაში, რომლებიც ოკუპირებული იყო.

მეზობელ **ნეიტრალურ შვედეთში ბრიტანელები ამერიკულ ცსს-თან ერთად მთავარ როლს თამაშობენ „გლადიოს“ ადგილობრივი მეთაურების მომზადებაში. ეს გაირკვა რეინგოლდ გეიჯერის წყალობით, რომელიც 1957 წელს გადაიბირეს შვედეთის „გლადიოს“ ქსელში და ათწლეულების განმავლობაში სარდლობდა ადგილობრივ ძალებს.**

1996 წელს 80 წელს მიღწეულმა გეიჯერმა ამ ყველაფერზე ილაპარაკა შვედეთის ტელეარხ TB4-ის ეთერში გამოსვლისას. მან გაიხსენა, როგორ ატარებდნენ ბრიტანელები წვრთნებს საიდუმლო დივერსიული ოპერაციების განსახორციელებლად. „1959 წელს ლონდონის გავლით მივდიოდი იტონის საზღვრებს მიღმა მდებარე ფერმაში. ყველაფერი სრულიად საიდუმლოდ მიმდინარეობდა. მე, მაგალითად, ყალბი პასპორტი მქონდა. ნებაც კი არ დამრთეს, ცოლისთვის დამერეკა, — ყვებოდა გეიჯერი. — სწავლების მიზანი იყო, დავუფლებოდით „მკვდარი საფოსტო ყუთის“ ტექნოლოგიას საიდუმლო ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უზრუნველსაყოფად, ასევე, სხვა მეთოდებს ჯეიმს ბონდის სტილში. ინგლისელები დაუნდობლები იყვნენ. ზოგჯერ მექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ძალიან შორს შეტოპეს“.

როცა 1990 წლის ბოლოს საიდუმლო არმიების არსებობა დასავლეთ ევროპაში ამხილეს, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ოპერაციაში ადრე შეუმჩნეველი ბრიტანული კვალი; **ჯონ მეიჯორის** მთავრობამ უარი თქვა, დაეკავებინა რაიმე პოზიცია. „ვშიშობ, ჩვენ ვერ შევძლებთ უშიშროების საკითხების განხილვას“, — ყოველდღე უმეორებდა პრესმდივანი ცნობისმოყვარე ბრიტანულ პრესას. ბრიტანეთის პარლამენტმა თავი შეიკავა ღია დისკუსიის გამართვისა და საპარლამენტო გამოძიების ჩატარებაზე. 1992 წელს ჟურნალისტმა **ჰიუ ო’შონესიმ** განაცხადა, რომ „უაიტ-ჰოლის“ დუმილი და პარლამენტის წევრების თითქმის სრული დაუინტერესებლობა იმ საქმით, რომელშიც დიდი ბრიტანეთი სრულად იყო ჩათრეული, განსაცვიფრებელია. ბრიტანულ ტელევიზია „ბი-ბი-სის“ ისღა დარჩენოდა, რომ ეთქვა: „დიდი ბრიტანეთის როლი ევროპაში საიდუმლო არმიების შექმნაში აბსოლუტურად ფუნდამენტური იყო. 1991 წლის 4 აპრილს თავის პროგრამა Newsnight-ში ხაზი გაუსვა საიდუმლო არმიების კრიმინალურ ასპექტს და განაცხადა, რომ „როცა ნიღბებს ჩამოჰგლეჯენ, ჩვენ წინაშე წარმოდგება რაღაც საშინელი“. „ბი-ბი-სიმ“ ზუსტად შენიშნა, რომ მტრის ზურგში დივერსიული ოპერაციების მოწყობასთან ერთად, საიდუმლო არმიები ჩარეულნი იყვნენ პოლიტიკურ მანიპულაციებში: **„ისევე, როგორც გლადიატორის მახვილს აქვს ორი პირი, თანამედროვე „გლადიოს“ აქვს ორი მხარე“.** გადაცემის მიმდინარეობისას დაისვა შეკითხვა: „გამოიყენებდნენ თუ არა „გლადიოს“ გადამალული იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების მარაგით მისი ხელმძღვანელები... ძირგამომთხრელ ქმედებაში... მემარცხენეთა წინააღმდეგ? არიან თუ არა პასუხისმგებელი აგენტები ტერორის აუხსნელი ტალღის აგორების გამო?“ როგორი იყო დიდი ბრიტანეთის როლი? **„ჩვენ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ „გლადიოს“ დაარსებიდანვე, — განაცხადა კამერების წინ იტალიის პარლამენტის წევრმა სერხიო დე ხულიომ, — ოფიცრებს სასწავლებლად ინგლისში გზავნიდნენ. მათ უნდა შეედგინათ „გლადიოს“ ორგანიზაციის პირველი ბირთვი. ჩვენ გვაქვს თანამშრომლობის დამამტკიცებელი საბუთები, ვთქვათ, დიდ ბრიტანეთსა და იტალიას შორის თანამშრომლობისა“.**

**«ჩვენ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ «გლადიოს» დაარსებიდანვე, — განაცხადა კამერების წინაშე იტალიის პარლამენტის წევრმა სერხიო დე ხულიომ, — ოფიცრებს სასწავლებლად ინგლისში გზავნიდნენ. მათ უნდა შეედგინათ «გლადიოს» ორგანიზაციის პირველი ბირთვი. ჩვენ გვაქვს თანამშრომლობის დამამტკიცებელი საბუთები, ვთქვათ, დიდ ბრიტანეთსა და იტალიას შორის თანამშრომლობისა»**

გაგრძელება იქნება

ეს საინტერესოა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც მარიამს ერთი წელი შეუსრულდა, იოაკიმემ მოიწვია ღვთისმსახურები, მწიგნობრები, მოხუცებულები და მეგობრები, სადღესასწაულო ნადიმი გადაიხადა, ამ შეკრებაზე მან მარიამიც მიიყვანა და ყველას სთხოვა, რომ იგი დაელოცათ. „ღმერთო მამათა ჩუენთაო, აკურთხე ყრმა ესე და განადიდე სახელი მისი ყოველთა ტომთა ზედა“. ამგვარი კურთხევა წარმოსთქვეს ღვთისმსახურებმა მარიამის მიმართ, ხოლო დამსწრეთ უპასუხეს: „ამინ, იქნას ესრეთ!“**

# 4 დეკემბერი — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის დღე

**წმინდა იოაკიმემ და წმინდა ანამ ორმოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად, მაგრამ შვილი არ მიეცათ, რის გამოც კაცთაგან უამრავ შეურაცხყოფას ითმენდნენ. ერთხელ მღვდელმთავარმა იოაკიმეს მსხვერპლიც კი არ მიიღო — უთხრა, ეტყობა ბევრი დაფარული ცოდვა გაქვს, რაკი ღმერთი შვილს არ გაძლევსო. დიდმა მწუხარებამ მოიცვა მართალი ცოლ-ქმარი. წმინდა ანამ გოდებით აღუთქვა უფალს, რომ თუ წყალობას მოიღებდა და შვილს აჩუქებდა, მასვე შესწირავდა.**

უფალმა შეისმინა ანას ლოცვა — ქალს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ ეყოლებოდა ასული — **მარიამი**, რომლის წიაღიდანაც ქვეყნიერებას მაცხოვარი მოევლინებოდა. ცხრა თვის თავზე გაუჩნდა ცოლ-ქმარს ნანატრი შვილი. გოგონას თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, ზრდიდნენ, აფუფუნებდნენ, ყრმა მარიამი კი საღმრთო მადლით განადიდებდა და განაძლიერებდა მოხუც მშობლებს.

ყრმა მარიამი ღვთის მადლით ცხებული და მშობლების მზრუნველობით გარემოცული იზრდებოდა და განმტკიცდებოდა. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ, როდესაც იგი ექვსი თვის გახდა, დედამ მიწაზე დასვა, სურდა, გამოეცადა, შეძლებდა თუ არა ფეხზე დგომას. მარიამმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და კვლავ მასთან დაბრუნდა, მაშინ მართალმა ანამ ის ხელში აიტაცა და შესძახა: „ცხოველი არს ღმერთი ჩემი, შენ მიწას ფეხს არ დააკარებ მანამ, სანამ უფლის ტაძარში არ მიხვალ“. ამის შემდეგ ანამ თავის საძინებელ ადგილას განსაკუთრებული სამყოფელი მოაწყო, სადაც არანაირი უწმინდურობა არ დაიშვებოდა, შეკრიბა უზაკველი ცხოვრების მქონე ებრაელი ასულები, რათა მათ ეზრუნათ ღვთივრჩეულ ყრმაზე.

**როდესაც მარიამს ერთი წელი შეუსრულდა, იოაკიმემ მოიწვია ღვთისმსახურები, მწიგნობრები, მოხუცებულები და მეგობრები, სადღესასწაულო ნადიმი გადაიხადა, ამ შეკრებაზე მან მარიამიც მიიყვანა და ყველას სთხოვა, რომ იგი დაელოცათ. „ღმერთო მამათა ჩუენთაო, აკურთხე ყრმა ესე და განადიდე სახელი მისი ყოველთა ტომთა ზედა“. ამგვარი კურთხევა წარმოსთქვეს ღვთისმსახურებმა მარიამის მიმართ, ხოლო დამსწრეთ უპასუხეს: „ამინ, იქნას ესრეთ!“**

მარიამს ორი წელი შეუსრულდა. გარშემომყოფნი განცვიფრებულნი იყვნენ მისი გულისა და გონების არაჩვეულებრივი განვითარებულობით, რომელიც ასაკს დიდად აღემატებოდა. მისი ბავშვური სიბრძნე კეთილისმყოფელ მზის შუქს ედრებოდა, მარიამი თავისი წლოვანების სხვა ბავშვებს არ ჰგავდა და მართალი იოაკიმე ჩქარობდა, იგი აღთქმისამებრ ღვთის ტაძარში მიეყვანა, მაგრამ ანამ, რომელსაც დედური გული ამოქმედებდა, სთხოვა, რომ კიდევ ერთი წელი მოეცადათ. **ბრძენი მშობლები ასულს უფლის სამსახურისთვის ამზადებდნენ და მასში აყალიბებდნენ აზრს, რომ იგი ღვთისთვის ჰყავდათ აღთქმული, რომ ღმერთთან ყოფნა გაცილებით უკეთესია, ვიდრე მშობლებთან, რომ მშობლები ვერ მისცემენ იმას, რასაც ღმერთი მიჰმადლებს.**

„ისმინე ასულო და მოჰყავ ყური შენი და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისა?“. - ამბობს დავით მეფე ფსალმუნში და აი, დადგა ღვთის წინაგანგებულების საიდუმლოს აღსრულების დრო. წმინდა ყრმა შედის წმიდათა წმიდათაში, რითაც დასაბამს იღებს ღმერთთან ადამიანთა მოდგმის შერიგების საიდუმლო, ის ხომ აურაცხელ ცოდვათა გამო აქამდე მოკლებული იყო სასუფეველს.

ღვთიურ გადმოცემაში შემონახულია ყოვლადწმიდა ქალწულის ტაძრად მიყვანების დაწვრილებითი ცნობები.

**ნაზარეთში ამ დღესასწაულზე იოაკიმესა და ანას მრავალი ნათესავი და ახლობელი შეიკრიბა, აქვე იყო ნორჩ ქალწულთა, მარიამის თანატოლთა გუნდი, რათა იგი ტაძარში გაეცილებინათ. ყველა გაემართა იერუსალიმისკენ, რომელიც ნაზარეთიდან სამი დღის სავალით იყო დაშორებული.** წმიდა ქალაქში შესვლის და იქ შვიდდღიანი მარხვითა და ლოცვით განწმენდის შემდეგ იმ ჩვეულების მიხედვით, რომელიც ტაძარში მსხვერპლის შემწირველებს უნდა დაეცვათ, იოაკიმე და ანა თანამხლებ პირებთან ერთად ტაძარს მიუახლოვდნენ, ხელში ეპყრათ სამი წლის ასული — მიმადლებული მარიამი. უბიწო ქალწულთა დასი მიაცილებდა მას, ნაცნობები და ნათესავებიც თან მისდევდნენ. — ყველა ანთებული სანთლებით ხელში ისწრაფოდა, რომ ქალწული მარიამის, მოხუცებული მშობლების ერთადერთი შვილის, ტაძრად მიყვანებაში წილი დაედო და წმინდა საგალობლებსაც აღავლენდნენ. მათთან შესახვედრად ტაძრიდან ღვთისმსახურები გალობით გამოვიდნენ, მღვდელმთავარი ზაქარია წინ უძღოდა მათ.

კიბე, რომელიც ტაძარში შედიოდა, 15 საფეხურისაგან შედგებოდა, იმ ფსალმუნთა რიცხვის მიხედვით, რომლებსაც ღვთისმსახურნი და ლევიტელები თითოეულ საფეხურზე გალობდნენ ტაძარში შესვლისას. **მართალთა მშობელთა ღვთისათა ქალწული მარიამი პირველ საფეხურზე დააყენეს. დამსწრეთა განსაცვიფრებლად სამი წლის მარიამმა სხვათა დაუხმარებლად სწრაფად და მხნედ აიარა კიბე და ბოლო საფეხურამდე ავიდა. აქ მას ღვთისმსახურებით გარშემორტყმული მღველმთავარი ზაქარია დაუხვდა.** მან მარიამი არ დააყოვნა კიბეზე, სადაც ჩვეულებისამებრ მლოცველები დგებოდნენ, არამედ პირველი და მეორე კრეტსაბმელის გავლით ტაძრის სიღრმეში შეიყვანა, ე.წ. წმიდათა წმიდაში. აქ შესვლის უფლება არ ჰქონდათ არა მხოლოდ ქალებს, არამედ ღვთისმსახურებსაც, თვით მღვდელმთავარი წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ხანგრძლივი მარხვის და ლოცვის შემდეგ შედიოდა, რათა საკუთარი და ხალხის ცოდვები სამსხვერპლო ცხოველის სისხლის პკურებით განეწმინდა, მაგრამ ეს ღვთის შთაგონებით მოხდა. ღვთისმშობელი შევიდა წმიდათა წმიდაში, ისევე, როგორც წარსულში აღთქმის კიდობანი, რომელიც კაცობრიობის მხსნელის — ქრისტეს დედის წინასახეს წარმოადგენდა.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

**მღვდელმთავარმა ქალწული მარიამი წმიდათა წმიდაში შეიყვანა და იქ სალოცავად ადგილი მიუჩინა. სხვა ქალწულებს, რომლებსაც სიყრმიდანვე სალოცავად მოიყვანდნენ ხოლმე, ტაძართან მიახლოება სასტიკად ეკრძალებოდათ, მათ არ აკარებდნენ ეკლესიასა და საკურთხეველს შორის მდებარე ადგილს, სადაც შემდეგ ზაქარია მოკლეს.**

მოხუცებულმა მშობლებმა, როდესაც ასული ზეციური მამის ნებას მიანდეს, მას სამადლობელი მსხვერპლი შესწირეს და სახლში დაბრუნდნენ. აქებდნენ და ადიდებდნენ უფალს, საყვარელ ასულთან გამოთხოვების გამო არ ტიროდნენ, არც მარტოობის დარდი აწუხებდათ და არც მათი სიხარულის საგანთან განშორება. ისინი მადლობას უძღვნიდნენ ღმერთს, რომელმაც მოხუცებულობის წლებში ღვთაებრივი საჩუქარი მიჰმადლა მათ, ხარობდნენ, რომ ღირსნი გახდნენ, ეს საჩუქარი მისთვის მიეძღვნათ, ვინც ადამიანთა მოდგმას ნუგეში და სიხარული შეაცნობინა.

იმ პერიოდში იერუსალიმის ტაძრის გალავნის გარშემო, რომელიც სოლომონმა დააარსა და შემდეგ ზორობაბელმა განაახლა, 30 შესანიშნავი სამსართულიანი ნაგებობა ერთმანეთის შორიახლოს იყო განლაგებული, ფართო და კეთილმოწყობილი ოთახები საცხოვრებლად მეტად მოხერხებულად მოეწყოთ. ერთ შენობაში ცხოვრობდნენ ქალწულები, რომლებმაც თავი ღვთის სამსახურს შესწირეს, მეორეში — უზაკველი ქვრივები, ხოლო ცალკეულ სენაკებში — ნაზორეველები (წევრები სექტისა, რომლებიც წინასწარმეტყველთა მსგავსად თვითუარყოფისა და წმინდა ცხოვრების მაგალითს წარმოადგენდნენ). მათ სიცოცხლე ერთ ღმერთს მიუძღვნეს და ახალი აღთქმის ეკლესიის ბერების მსგავს მოღვაწეობას მისდევდნენ. სხვა სამყოფლები იმ მწირთა მოსასვენებლად იყო განკუთვნილი, რომლებიც იერუსალიმში ღმერთის თაყვანისსაცემად ჩამოდიოდნენ.

**სამი წლის მარიამი ტაძრად მიყვანის შემდეგ მოათავსეს ქალწულთა სავანეში, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა. უფროსი ქალწულები, მღვდელთმთავრის კურთხევის მიხედვით, მას წმიდა წერილის კითხვასა და ქალის ხელსაქმეს შეასწავლიდნენ. კითხვის, საქმისა და დასვენებისათვის განკუთვნილი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, ტაძარში მხოლოდ სალოცავად შედიოდა.**

ქალწული მარიამის ყოფნა ტაძარში განსაკუთრებული სისპეტაკითა და სიწმინდით გამოირჩეოდა, მისი ცხოვრების წესი ღვთისადმი განსაკუთრებულ მოწიწებას აღძრავდა. დადგენილი კანონისამებრ ის ალიონზე დგებოდა და, გადმოცემის მიხედვით, დღეში სამჯერ ლოცულობდა: დილით (9 საათამდე), შუადღისას (დაახლოებით 12-ზე) და ნაშუადღევის შემდეგ (დაახლოებით 9 საათზე). ასეთი იყო იმ დროს ღვთისმოსავი ხალხის ჩვეულება და ტაძრის მსახურთა მოვალეობა. დანარჩენი დროის განმავლობაში იგი წმინდა წიგნების კითხვითა და ხელსაქმით იყო დაკავებული. საეკლესიო საგალობლებში არის მოწმობა იმის შესახებ, რომ წმინდა ანგელოზები ეცხადებოდნენ და ზეციურ საკვებს მიუძღვნიდნენ — ყოველდღიურად ნახულობდნენ და ესაუბრებოდნენ. მისი ყოფნა ტაძარში სულიწმიდის მიერ იყო ნაკურთხი. ხელსაქმედ ჰქონდა სელისა და მატყლის დართვა, უმეტესად საღვთისმსახურო შესამოსელს ქარგავდა აბრეშუმით. დობილებზე გაცილებით უკეთ უძლვებოდა ხელსაქმეს და მისი გონიერება წმინდა წიგნების კითხვით შესანიშნავად იყო განვითარებული, ღვთიური ზრახვებითა და ლოცვით განმტკიცებული. წმიდათა წმიდაში მისი მიყვანიდან დაახლოებით ცხრა წლის განმავლობაში ღვთისმოშიშებითა და წმინდა გულით ცხოვრობდა და იღვწოდა. მოხუცებული ღვთისმსახურები მას უმზერდნენ, როგორც წმინდა ტაძრის ძვირად ღირებულ სამკაულს და ახლოს ისე არ გაუვლიდნენ, რომ ღვთისაგან მისთვის ლოცვა-კურთხევა არ გამოეთხოვათ.

**უკვე მრავალი წელი იყო, მარიამი ტაძარში იმყოფებოდა და მისი ცხოვრება კაშკაშა ცასავით უშფოთველი და უღრუბლო იყო, მაგრამ ტაძარში ცხრაწლიანი ცხოვრების შემდეგ ამქვეყნად პირველი მწუხარება განიცადა: დაკარგა მოხუცი მშობლები. პირველად გარდაიცვალა იოაკიმე (80 წლის), ხოლო შემდეგ კი მალევე ღრმად მოხუცებული ანაც მიიცვალა.**

მართალ იოაკიმესა და ანას ეკლესია უწოდებს მშობელთა ღვთისათა და ყოველდღიურად, მსახურების შემდეგ, განტევების ჟამს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მართალთა იოაკიმეს და ანას ლოცვითა და ვედრებით უფლისაგან ყველა მლოცველისათვის ხსნასა და დახმარებას ითხოვს. ხსენება ყოველწლიურად 9 სექტემბერს აღესრულება — ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის მეორე დღეს.

მათი დაკრძალვის ადგილს დღემდე მიანიშნებენ იმ კიბესთან, რომელიც გეთსიმანიაში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამარხ გამოქვაბულში ჩადის.

**საყვარელ მშობლებთან განშორებისას მარიამმა მწარედ იგრძნო ობლობა და გააცნობიერა, რომ მას ამ ქვეყანასთან უკვე აღარაფერი აკავშირებდა. მთელი გულით იგი ერთ ღმერთს მიენდო და მხოლოდ იმის სურვილს განიცდიდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ღვთის მხევლად დარჩენილიყო, მუდამ მის წმინდა ნებას დამორჩილებოდა, მან უფლის წინაშე აღთქმა დადო, რომ სამუდამოდ დაიცავდა ქალწულებას.**

Orthodoxy.ge



წმიდანი და მართალნი მშობელნი ღმრთისანი იოაკიმე და ანა

**კომპანიის თანამშრომლები გერმანელ პროფესორს სისხლს ამოაცლიან და სპეციალური ფიზიკური ხსნარით შეუცვლიან. სწავლულის უჯრედები გაიყინება იქამდე, სანამ არ ისწავლიან მის გალღობას. მეცნიერის აზრით, ამისთვის კაცობრიობას 150 წელი დასჭირდება.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კრიოკონსერვაცია — სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ



## ტაილანდელმა მშობლებმა 2 წლის ქალიშვილი გაყინეს, რათა მომავალში მკვდრეთით აღდგეს

**შარშან აპრილში თავის ტვინის სიმსივნით დაავადებული პატარა გოგონა მედიკოსებმა აპარატიდან გამორთეს.**

პატარა ტაილანდელი გოგონას მშობლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მძიმედ დაავადებული მომაკვდავი გოგონა გამოერთოთ სიცოცხლისთვის საარსებო სისტემის აპარატიდან.

გოგონას თავში სიმსივნის დიაგნოზი 2014 წელს დაუდგინეს, მედიკოსებმა მას 11-სანტიმეტრიანი წამონაზარდი ამოჰკვეთეს, მაგრამ ოპერაციამ და ინტენსიურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო.

შარშან იანვარში მატერინას თავის ტვინის 80% უკვე დაზიანებული ჰქონდა, ამასთანავე, ბავშვის სხეულის მარცხენა ნაწილი მთლიანად პარალიზებული იყო. გოგონა მიერთებული იყო აპარატზე. ექიმებმა განაცხადეს, რომ ბავშვის გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არ არსებობდა, ამიტომ მშობლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გოგონა აპრატიდან გამოერთოთ და შემდგომ გაეყინათ.

შედეგად Alcor Life Extension-ის სპეციალისტებმა გოგონა იმ იმედით გაყინეს, რომ ოდესმე ისევ გააცოცხლონ.

## მეცნიერმა გადაწყვიტა, თავი გაიყინოს და 150 წლის შემდეგ გაცოცხლდეს

**75 წლის პროფესორმა ჰამბურგიდან კლაუს სამესმა გადაწყვიტა, მკვდრეთით აღდგეს 150 წლის შემდეგ.**



პროცესს, რომლის ჩატარებასაც გეგმავს ხანდაზმული სწავლული, ეწოდება **კრიოკონსერვაცია.** მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: გაიყინოს ცოცხალი ორგანიზმი და შემდეგ აღდგეს მისი ბიოლოგიური ფუნქციები.

თავდაპირველად კლაუსის სხეულს გაყინავენ 196 გრადუსამდე, შემდგომ იურისტები ოფიციალურად დაადასტურებენ, რომ მისი ტვინი აღარ ფუნქციობს, მის ასისტენტს სულ 5 წუთი ექნება იმისთვის, რომ პროფესორის სხეული ყინულით სავსე აბაზანაში მოათავსოს (წარმატებული ოპერაციისთვის 60 კილოგრამი ყინულია საჭირო).

ასისტენტმა ერთი წუთიც რომ დააგვიანოს, ოპერაცია ჩაიშლება, მაგრამ, **თუ ყველაფერი სწორად გაკეთდა, დაიწყება კრიოკონსერვაციის მეორე ეტაპი, პროფესორის სხეულს სპეციალური მაცივრით გადაიტანენ აშშ-ში, ქალაქ კლინტონ-თაუნშიპში (შტატი მიჩიგანი), სადაც მდებარეობს კლინიკა CRYONIC INSTITUTE-ის შტაბ-ბინა.**

გერმანელმა პროფესორმა კომპანიასთან უკვე მოაწერა ხელი ხელშეკრეულებას მკვდრეთით აღდგომაზე.

კომპანიის თანამშრომლები გერმანელ პროფესორს სისხლს ამოაცლიან და სპეციალური ფიზიკური ხსნარით შეუცვლიან. სწავლულის უჯრედები გაიყინება იქამდე, სანამ არ ისწავლიან მის გალღობას. მეცნიერის აზრით, ამისთვის კაცობრიობას 150 წელი დასჭირდება.

**„მე 100%-ით გავიაზრე, რასაც ვაკეთებ“,** — განაცხადა პროფესორმა, რომელმაც მთელი ცხოვრება გერონტოლოგიას მიუძღვნა, ხოლო 1995 წლიდან სერიოზულად დაინტერესდა კრიონიკის საკითხებით.

იმისთვის, რომ კლაუს სამესის გვამი 150 წლის შემდეგ გაალღონ, მან Cryonic Institute-ს 21 000 ევრო გადაუხადა.

## ინგლისელი გოგონა გაყინეს, რათა 2216 წელს მკვდრეთით აღადგინონ

**ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ გაასაჯაროა საქმის დეტალები, რომელიც გულგრილს ვერავის დატოვებს. შემოდგომის დასაწყისში 14 წლის გოგონამ თხოვნით მიმართა სასამართლოს, რომ მისი სხეული გაყინონ იმ იმედით, რომ ასი წლის შემდეგ მეცნიერები გამოიგონებენ წამალს, რომელიც მას უკურნებელი სენისგან იხსნის.**





გოგონა 2015 წლის აგვისტოში დაავადდა კიბოს იშვიათი ფორმით, ერთი წლის შემდეგ მას აცნობეს, რომ სიმსივნე ტერმინალურ სტადიაში გადავიდა და მასთან ბრძოლის მეთოდები ამოწურულია.

ამის შემდეგ გოგონა ონლაინ რეჟიმში სამი თვის განმავლობაში სწავლობდა **კრიოკონსერვაციის** შესაძლებლობებს მისი გარდაცვალების შემდეგ. შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ასეთი შინაარსის ანდერძი დაეწერა: „არ მინდა, მიწაში ვიწვე, მე მინდა სიცოცხლე, ხანგრძლივი სიცოცხლე. ვფიქრობ, მომავალში ადამიანები გამოიგონებენ კიბოს წამალს და გამაღვიძებენ, მინდა, რომ ასეთი შანსი მქონდეს“.

ლონდონის სასამართლოში გაიმართა განხილვა, ვის დარჩებოდა გოგონა გარდაცვალების შემდეგ — მისი მშობლები გაყრილები იყვნენ. რადგან მამა საერთოდ არ მონაწილეობდა ბავშვის აღზრდაში, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, დედის განკარგულებაში გადასულიყო გოგონას გვამი, მაგრამ ამისთვის მამის თანხმობა მაინც საჭირო იყო. მამამ კი უარი განაცხადა, ხელი მოეწერა საბუთზე, მისი აზრით, „კრიოკონსერვაცია ფულის ფუჭად ფლანგვა და ტყუილი დაპირებაა, მით უმეტეს, რომ თვითონაც ებრძვის სიმსივნეს“.

ამის შემდეგ გოგონამ მამას სასამართლოში უჩივლა და მოსამართლემ გამოიტანა განჩინება: გოგონა უნდა გაიყინოს.

17 ოქტომბერს გოგონა გარდაიცვალა. მედიკოსებმა გვამი მაშინვე გაამზადეს გასაყინავად, სხეულში შეიყვანეს ბიოლოგიური სითხე და სამედიცინო ანტიფრიზი, შემდეგ გაყინეს მინუს 70 გრადუსამდე, შეფუთეს 40 კილოგრამ მშრალ ყინულთან ერთად და მიჩიგანში გაგზავნეს, სადაც კრიოკონესერვაციის კლინიკაა განთავსებული, ჯამში ყველაფერი 46 ათასი დოლარი დაჯდა.

მსოფლიოში სამი მსგავსი კლინიკაა, მიჩიგანის გარდა, ერთი მოსკოვის მახლობლადაა, მეორე — არიზონას შტატში.

70-იანი წლებიდან დღემდე მსოფლიოში 200 გვამია გაყინული.

**გაყინულთაგან 20 გვამის დამარხვა მოუწიათ, რადგან ერთ-ერთი ამერიკული კომპანია გაკოტრდა, რომელიც ამ საქმით იყო დაკავებული. დანარჩენი 200 ადამიანი და ცხოველი კი ელოდება მომავალში გაცოცხლებას. ცნობილია მხოლოდ გაყინვის ტექნოლოგია, მაგრამ ჯერ არავინ გაუცოცხლებიათ.**



## ეგვიპტელი ქალი, რომელიც ნახევარ ტონას იწონის, შველას ითხოვს

**ახალგაზრდა ქალის ოჯახმა, რომელიც ალექსანდრიაში ცხოვრობს, თხოვნით მიმართა საზოგადოებას და მედიკოსებს, გადაარჩინონ მათი ნათესავი.**

იმამ ახმად აბდულატმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სახლში, საწოლში გაატარა, რადგან 36 წლის ქალი 500 კილოგრამს იწონის და შეიძლება მალე გარდაიცვალოს, თუ სასწრაფოდ ოპერაცია არ გაუკეთდება კაიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში.

იმამს დედა და და უვლიან. ბოლო 25 წელიწადია, იმამი სახლიდან საერთოდ არ გასულა. მას არასდროს უვლია სასწავლებელში. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, მისი წონის არანორმალურად მომატებას ხელი შეუწყო მოზარდ ასაკში მამის გარდაცვალებამ. სწორედ იმ პერიოდიდან გოგონას დაეწყო სტრესები და წონის მატება.

მსოფლიოში ყველაზე მსუქან ქალად ითვლებოდა ამერიკელი **კეროლ იაგერი**, მისი წონა 544 კილოგრამი იყო. იგი 1994 წელს 34 წლისა გარდაიცვალა.

ოფიციალურად დღეს ყველაზე მსუქან ქალად მსოფლიოში ისევ ამერიკელი **მარია როზელასი** ითვლება (470 კილოგრამი).

## სასიკვდილო დოზების საინტერესო სტატისტიკა

* **ალკოჰოლის** სასიკვდილო კონცენტრაცია სისხლში 5-6 პრომილია, ანუ 400-450 სუფთა ალკოჰოლი, რომელსაც ორგანიზმი დაახლოებით 1—1,25 ლიტრი არაყიდან მიიღებს.

* **ნიკოტინის** სასიკვდილო დოზას ადამიანის ორგანიზმი 94 სიგარეტის ერთბაშად მოწევით მიიღებს.

* **მარილის** სასიკვდილო დოზაა 250 გრამი ერთბაშად. მარილის სასიკვდილო დოზის მიღებისას უცბათ იმატებს არტერიული წნევა, შუპდება ტვინი და ფილტვები.

* **წყლის** სასიკვდილო დოზაა 8-10 ლიტრი დღეში. 1,5—2 ლიტრი წყალი ადამიანის ყოველდღიური ნორმაა, მაგრამ 3—4 ლიტრი უკვე იწვევს წყლით მოწამლვას, ანუ წყლით ინტოქსიკაციას.

წყლის გადაჭარბებული რაოდენობის მიღებისას თირკმელები ვერ ასწრებს ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას, ორგანიზმში ეცემა მარილის კონცენტრაცია და წყლით ივსება უჯრედშიდა გარემო, შედეგი: ტვინისა და ფილტვების შეშუპება.

* **კოღოს** ნაკბენის სასიკვდილო დოზა 500 000 ნაკბენია. მდედრ კოღოს, რომელიც იწონის დაახლოებით 2 მილიგრამს, შეუძლია თავის წონაზე ორჯერ მეტი სისხლი ამოწოვოს ადამიანს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მცენარეებს, ისევე, როგორც ადამიანებს, აქვთ გრძნობები, ტკივილის განცდა, შეუძლიათ ვინმე შეიყვარონ ან პირიქით — შეიძულონ, შეუძლიათ გარკვეული მოვლენები დაიმახსოვრონ კიდეც.**



# არის თუ არა უსაფრთხო რობოტი-ქირურგები?

**ბოლო ხანს მსოფლიოში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რობოტი-ქირურგების მთელ რიგ უპირატესობებზე, მაგრამ იაპონელ მკვლევართა ჯგუფმა გადაწყვიტა, გაერკვია, სტერილურობის თვალსაზრისით რამდენად საიმედოა რობოტები ოპერაციების ჩასატარებლად. აღმოჩნდა, რომ არც ისე.**

კვლევისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ რობოტის სრული დეზინფექცია შეუძლებელია. თუკი ჩვეულებრივი ქირურგიული ინსტრუმენტების შენახვა მშვიდად შეიძლება სტერილურ კარადაში, ბუნებრივია, უზარმაზარ რობოტს იქ ვერ შეტენი და გიწევს, დაჯერდე მხოლოდ მის ზედაპირულ დამუშავებას.

ექსპერიმენტის შედეგები მეტყველებს, რომ მოცემულ მომენტში ინფექციის შეჭრის საკმაოდ დიდი რისკია, მათ შორის, საკმაოდ საშიში მიკროორგანიზმების შტამების. თითქმის 2 წლის განმავლობაში იაპონელმა მეცნიერებმა დეტალურად შეისწავლეს 132 რობოტი-ქირურგი. ექსპერიმენტების შედეგად აღმოჩნდა, რომ, თუ სტანდარტული ინსტრუმენტები პრაქტიკულად 100%-ით სტერილური იყო, რობოტები — მხოლოდ 90-97%-ით, რაც სერიოზული ხარვეზიადა შეიძლება მიგვიყვანოს პაციენტის ინფიცირებამდე, ასევე გამოიწვიოს ოპერაციის შემდგომი სხვადასხვა გართულება — დაწყებული ხანგრძლივი საეაბილიტაციო პერიოდით ინფექციური პათოლოგიის განვითარებამდე.

# ადამიანის კომიდან გამოსაყვანად ექიმები ულტრაბგერებს იყენებენ

**სიტყვა „კომა“ ღრმა ძილს ნიშნავს და, ხატოვნად რომ ვთქვათ, მოსაზღვრე მდგომარეობაა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის.**

მედიცინაში კომას უწოდებენ უგონო მდგომარეობას, რომელიც ტვინის ფუნქციათა მოშლის შედეგია. კომა და კლინიკური სიკვდილი ხშირად ერევათ ერთმანეთში. პირველ შემთხვევაში ადამიანი უგონოდაა, მაგრამ მის ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესები მიმდინარეობს, მეორეში კი — სიცოცხლის ნიშნები გამქრალია: ადამიანი არ სუნთქავს, არც გული უძგერს. მსოფლიო მედიცინის ისტორიამ იცის უამრავი ფაქტი, როდესაც კომურ მდგომარეობაში მყოფი, პრაქტიკულად უიმედო ადამიანი სიცოცხლეს დაბრუნებია. ათეული წლებია, ამ მოვლენას იკვლევენ მეცნიერები და ექიმები და ბევრ საკითხში კარგ შედეგებსაც მიაღწიეს, მაგალითად, შეუძლიათ იმის თქმა, როდის გამოვა ადამიანი კომიდან. კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევრთა ჯგუფმა მოიფიქრა პრინციპულად ახალი მეთოდიკა პაციენტის კომიდან გამოყვანის დასაჩქარებლად. **ახალი მეთოდიკის არსი მდგომარეობს დაბალი ინტენსივობის ულტრაბგერის გამოყენებაში კომაში მყოფი ადამიანის ტვინის გასააქტიურებლად.** ამ მიმართულებით კვლევები ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა, მიუხედავად ამისა, ერთ პაციენტს ეს მეთოდი უკვე დაეხმარა, თუმცა ის კომაში არ იყო, მაგრამ მისი ტვინი გაღიზიანებაზე პრაქტიკულად არ რეაგირებდა.

# აქვს თუ არა მცენარეს ინტელექტი?

**დედამიწაზე მცენარეები რომ არ იყოს, რთული სათქმელია, როგორი იქნებოდა ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე. ეს მდუმარე მეგობრები ადამიანებს უანგაროდ აძლევენ საკვებს, სითბოსა და მედიკამენტებს.**



ადამიანები ოდითგანვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მცენარეებს. ზოგიერთ ქვეყანაში მიაჩნდათ, რომ მცენარეებს სული ჰქონდათ და ამიტომ ხეებს ტყუილუბრალოდ ტოტებს არ ამტვრევდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც კორომი (ტყით დაფარული ზოლი, რეგიონი) წმინდა ადგილად ცხადდებოდა და დიდ ცოდვად ითვლებოდა ხეების დაზიანება. ზოგიერთი რელიგიის მიხედვით, ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ რომელიმე ხეში გადადის სიცოცხლის გასაგრძელებლად. მაგ., ბუდისტები თვლიან, რომ ვიდრე ბუდა ადამიანის სახით მოევლინებოდა ამ ქვეყანას, მისმა სულმა 23 სიცოცხლე სხვადასხვა მცენარეში გაატარა. ავსტრალიის აბორიგენებს კი ზუსტად შეუძლიათ იმ მცენარის მითითება, რომელშიც მათი ახალგარდაცვლილი ნათესავის სული ჩასახლდა. ჩინელები კი სასაფლაოზე ხეებს რგავენ, რათა მიცვალებულის სულებმა თავშესაფარი იპოვონ.

დროთა განმავლობაში, ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, ადამიანების დამოკიდებულება მცენარეებისადმი შეიცვალა. მცენარემ სამომხმარებლო დანიშნულება მიიღო და დაიწყო ტყეების მასიური ჩეხვა, ხოლო მათ ადგილას სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების შენება. ამ ფონზე მეცნიერები, რომლებიც მცენარეებს იკვლევენ, მათში უჩვეულო თვისებებს აღმოაჩენენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ **მცენარე სიცოცხლის განსაკუთრებული ფორმაა, რომელსაც თავისებურად შეუძლია ფიქრი, ურთიერთობა და აქვს გრძნობებიც კი.**

მცენარეების გონიერების შესახებ კვლევებს საფუძველი ამერიკელმა მეცნიერმა და კრიმინალისტიკის სკოლის დამფუძნებელმა **კლაივ ბაქსტერმა** (ცსს-ს ექსპერტ-კრიმინალისტი, მცენარეების აღქმის უნარის ჰიპოთეზის ავტორი) ჩაუყარა. მან სიცრუის დეტექტორის სენსორები ლაბორატორიაში მდებარე ფილოდენდრონს დაამაგრა ფოთლებზე. **თავდაპირველად განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა — ჩამწერი უმოძრაოდ იყო, მაგრამ, როდესაც ყვავილის სიახლოვეს კვერცხი გატეხეს, სენსორებმა მცენარის რეაქცია აღბეჭდა და ჩამწერი ამუშავდა. იგივე სიტუაცია განმეორდა, როდესაც ლაბორატორიის თანამშრომლებმა კრევეტების მომზადება გადაწყვიტეს — ხელსაწყოს მაჩვენებლების მიხედვით, მცენარე ყოველთვის „შეშინებული კრთოდა“, როდესაც ცოცხალ არსებას მდუღარე წყალში აგდებდნენ.** მიზეზი უცნობია, მაგრამ **მცენარე ტელეპათიურად გრძნობს იმას, რაც მასზე მზრუნველ ადამიანს ემართება.** იმავე ფილოდენდრონმა, მაშინაც „გამოხატა გრძნობები“, როდესაც ბაქსტერმა ხელი გაიჭრა და ჭრილობაზე იოდი წაისვა — ხელსაწყოს ჩამწერმა იმ მომენტში ქაღალდზე ორი დიდი პიკი გამოსახა, რაც იმას ნიშნავს, რომ მცენარე პატრონს თანაუგრძნობდა.

ცოტა ხნის წინათ ჩატარებული კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მცენარეებს „ლაპარაკი“ შეუძლიათ. მაღალმგრძნობიარე ხელსაწყოების საშუალებით, სპეციალისტებმა შეძლეს და მოისმინეს 220 ჰც სიხშირეზე წყალში ჩადებული სიმინდის ფესვების მიერ გამოცემული „წკაპუნი“. როდესაც მსგავსი სიგნალი ფესვებს გაუგზავნეს, მან ზრდის მიმართულება შეცვალა და იმის ნაცვლად, რომ ქვევით წასულიყო, ფესვებმა ზევით, ხმის წყაროს მიმართულებით დაიწყო ზრდა.

**მცენარეებს, ისევე, როგორც ადამიანებს, აქვთ გრძნობები, ტკივილის განცდა, შეუძლიათ ვინმე შეიყვარონ ან პირიქით — შეიძულონ, შეუძლიათ გარკვეული მოვლენები დაიმახსოვრონ კიდეც.**

უძველესი დროიდან ადამიანები ფიქრობდნენ, რომ მცენარეებს ესმოდათ ადამიანის ენა და ელაპარაკებოდნენ მათ. სოფლებში დღესაც მოჭრით ემუქრებიან „ზარმაც“ ხეებს, რომლებიც რაღაც მიზეზის გამო ნაყოფს არ იძლევიან. და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მუქარა ამართლებს და მომდევნო წელს „შეშინებული“ ხე ნაყოფს ისხამს.

**აქვს თუ არა მცენარეს ინტელექტი?**

ბევრი თვლის რომ ამის დაშვება, უბრალოდ, სისულელეა, თუმცა ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს. ყველამ იცის, რომ ლიანისებურ მცენარეებს საყრდენის გარეშე დგომა არ შეუძლიათ. უბრალო ცდა დაგვარწმუნებს იმაში, რომ მცენარეები **ხედავენ** კიდეც (რა თქმა უნდა, თავისებურად). საკმარისია ლიანის ყლორტის სიახლოვეს ჯოხის ჩარჭობა, მცენარე მას „შენიშნავს“ და მისკენ დაიწყებს სწრაფვას. თუ ცდას გავართულებთ და მცენარეს ორ საყრდენს შევთავაზებთ — ერთს მოღუნულს და მეორეს სწორს, მცენარე მოღუნულს აირჩევს, რადგან მასზე ჩამოკიდება უფრო მარტივი და საიმედოა.

მცენარის გონიერებაზე მიუთითებს **დროზერაზე** (მწერიჭამია მცენარე) ჩატარებული ექსპერიმენტიც: როდესაც მცენარის სიახლოვეს ნემსზე დამაგრებული მწერი მიჰქონდათ, მცენარე ფოთლებსა და ულვაშებს ნემსისკენ აბრუნებდა, ხოლო თუ იმავე ნემსზე მისთვის საკვებად გამოუყენებელი რამ იყო დამაგრებული, არ ინძრეოდა.

ამ ეტაპზე მცენარეების ნეირობიოლოგები სამეცნიერო და ექსპერიმენტალური კვლევის გზით, მცენარეების უნარებზე ისეთ აღმოჩენებს აკეთებენ, რომლებიც ზეთანამედროვე აპარატურის გამოყენების გარეშეც ცნობილი იყო ჩვენი წინაპრებისთვის — რომ **მცენარე სიცოცხლის განსაკუთრებული ფორმაა, რომელსაც იგივე გრძნობები გააჩნია, რაც ადამიანს. მცენარეებს შეუძლიათ აზროვნება, მოსმენა და პატიება, ამიტომ მათ მიმართ მომხმარებლური დამოკიდებულება დაუშვებელია. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი მხოლოდ ჩვენი კეთილდღეობისთვის არიან შექმნილი.**



# ქალი, რომელიც ფეხმძიმედ იყო, ხელმეორედ დაფეხმძიმდა

**როგორც პორტალი eurosmi.ru იუწყება, 33 წლის ჯულია გროვენბურგი მედიცინის ისტორიაში მეთერთმეტე ქალია, რომელმაც მშობიარობიდან ერთი თვის შემდეგ მეორედ იმშობიარა.**

ჯულიას განმარტებით, მას და მის მეუღლეს 3 წლის განმავლობაში არ უჩნდებოდათ შვილი და უკვე აპირებდნენ, ბავშვი ეშვილებინათ, თუმცა მორიგმა ულტრაბგერითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჯულია ფეხმძიმედ იყო.

ექიმების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა როცა დაინახეს, რომ ფეხმძიმე ქალის სხეულში ორი ნაყოფი იყო, მაგრამ არა ტყუპები, არამედ განსხვავებული ასაკისა და განვითარების. გამოკვლევამ დაადასტურა ორივე ნაყოფის ნორმალური განვითარება, რაც ნამდვილი შოკი აღმოჩნდა ჯულიას ექიმებისთვის, რადგან არც ერთი მათგანი მსგავსი ფაქტის წინაშე არ მდგარა.

როგორც აღმოჩნდა, ჯულიას შემთხვევაში საქმე ჰქონდათ ძალზე იშვიათ მოვლენასთან, როდესაც ფეხმძიმე ქალი ხელმეორედ ფეხმძიმდება. მსოფლიოში დარეგისტრირებული მსგავსი შემთხვევებიდან ჯულია აღმოჩნდა მეთერთმეტე.

მას გაუკეთდა საკეისრო კვეთა — ჯერ შეეძინა გოგონა, ხოლო ერთი თვის შემდეგ — ჯანმრთელი ბიჭუნა (ისევ საკეისრო კვეთით).



მცენარეებს, ისევე, როგორც ადამიანებს, აქვთ გრძნობები, ტკივილის განცდა, შეუძლიათ ვინმე შეიყვარონ ან პირიქით — შეიძულონ, შეუძლიათ გარკვეული მოვლენები დაიმახსოვრონ კიდეც.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვენი პლანეტის საოცარი არსებები

**დედამიწაზე ცხოველთა უამრავი სახეობა ბინადრობს, რომელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ნამდვილად უცნაურად გამოიყურებიან. წარმოგიდგენთ მათგან რამდენიმეს:**



## არმადილო

**არის ძუძუმწოვრების ოჯახი ამერიკული არასრულკბილიანების რიგისა.** მისი სხეული (12-100 სმ) ზემოდან და გვერდებიდან დაფარულია სქელი ჯავშნით, რომელიც შედგება რქოვანი ფარებისგან. აქვს ძალზე დიდი ბრჭყალები, გრძელი, ჭიისებრი, წებოვანი ენა, 8-100 კბილი. გავრცელებულია ძირითადად ამერიკის კონტინენტზე. ეს ცხოველები უფრო ღამით აქტიურობენ და იკვებებიან მწერებითა და ხერხემლიანებით. არმადილოებზე ადამიანები ჩვეულებრივ ნადირობენ, იკვებებიან მათი ხორცით, ხოლო ჯავშანს იყენებენ ან ყიდიან.

საფრთხის მოახლოებისას არმადილოები ბურთივით მრგვალდებიან, ჯავშანი მათ თითქმის ყველანაირი დარტყმისგან იცავს. აქვთ გრძელი ხორთუმისებრი ცხვირი, არ გააჩნიათ წინა კბილები. გრძელი ენის საშუალებით სწრაფად იკრობენ ჭიანჭველებსა და სხვა მწერებს, რომლებიც მათ ძირითად საკვებს წარმოადგენენ. არმადილოებს საკვების მოპოვებაში ეხმარება გრძელი, ძლიერი ფრჩხილები.



## ტასმანიური ეშმაკი

**მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე გაუმაძღარი არსებაა, ძალიან უყვარს ჭამა.** ბინადრობს მხოლოდ ტასმანიის კუნძულზე. მისი სახელწოდება მომდინარეობს იმ უცნაური ხმებიდან, რომლებსაც გამოსცემს. ამ არსების კვების რაციონში შედის თითქმის ყველაფერი – ლეშით დაწყებული, ადამიანის საყოფაცხოვრებო ნივთებით დამთავრებული.

ტასმანიის ეშმაკს სახესა და თავზე აქვს ულვაშები, რომელიც სიბნელეში საკვების მოპოვებაში ეხმარება. როდესაც ბრაზდება, საშინელ სუნს უშვებს. კარგად აქვს განვითარებული გრძნობის, ყნოსვისა და სმენის ორგანოები.



## თეთრსახიანი საკი

**საკი უცნაური და, ამასთანავე, საშინელი გარეგნობის მაიმუნია.** პრიმატების ოჯახის ყველაზე განსაკუთრებული წარმომადგენელი ცნობილია ასევე, როგორც „ოქროსსახიანი საკი". ძირითადად ხილით იკვებება, ზოგჯერ თხილს, მცენარის ფესვებსა და მწერებსაც კი მიირთმევს. სამწუხაროდ, ამ არსებებსაც გადაშენების საფრთხე ემუქრებათ. ცხოვრობს ბრაზილიის ტყეებში ამაზონსა და რიუ-ნეგრუს შორის.



# კიბოს საწინააღმდეგო სამკურნალო მცენარე

**ვაშინგტონის უნივერსიტეტის ონკოლოგები ამტკიცებენ, რომ აღმოჩენილია მეთოდი, რომელიც სიმსივნის უჯრედების 98%-ს უსწრაფესად ანადგურებს. ამერიკელმა ონკოლოგებმა ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიოინჟინრებთან ერთად განაცხადეს, რომ, როგორც იქნა, აღმოაჩინეს სამკურნალო საშუალება, რომელსაც თითქმმის სრულად შეუძლია გაანადგუროს ავთვისებიანი კიბოს უჯრედები. ეს თვისება აღმოაჩნდა ერთწლიან ბალახს სახელწოდებით Artemisia Annua.**



უკვე 2000 წელია, ამ მცენარეს ჩინური მედიცინა სამკურნალოდ იყენებს, მაგრამ ის, რომ მას შეუძლია სიმსივნური უჯრედების 98 %-ის განადგურება, სიახლეა.

როგორც კვლევებმა დაადასტურა, ავთვისებიანი უჯრედების განადგურებას არც კვირები სჭირდება და არც თვეები, ამისათვის სულ რაღაც 16 საათია საკმარისი.

კვლევის ხელმძღვანელმა, ქიმიის პროფესორმა ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან — **ტომიკასუ სასაკიმ** მოკლედ აღწერა პრეპარატის ნაერთის მოქმედება და ის „კიბოს ბირთვის ეპიცენტრში ბომბის მოხვედრას შეადარა". ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ უჯანგარს რეალურად შეუძლია, პაციენტს უმოკლეს დროში მოაშოროს კიბო, დაამატა მეცნიერმა.



უჯანგარი (Artemisia annua) ერთწლოვანი ველური მცენარეა ავშნის (აბზინდა) ოჯახიდან, მისი ცალკეული სახეობები გამოიყენება მადის აღმძვრელ საშუალებად, აქვს სიცხის დამწევი, ანტისეპტიკური და ტონუსის მომცემი თვისებები. ნერვული დაავადებებისას მოქმედებს, როგორც დამამშვიდებელი, სპაზმის საწინააღმდეგო საშუალება. გააჩნია, აგრეთვე, ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეს მხოლოდ მესამედით შეუძლია შეამციროს საწყის სტადიაში ავთვისებიანი სიმსივნე, მაგრამ სხვა დანამატებთან კომბინაციაში მისი ეფექტიანობა თითქმის 100%-იანია. „ყველა კომპონენტი ერთად მუშაობს, როგორც **„ტროას ცხენის" ეფექტი"**, — აზუსტებს კვლევის თანაავტორი **ჰენრი ლაი**, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიოინჟინერიის პროფესორი.

მაგალითად, ამ სახეობის ავშანი რკინასთან ერთად უაღრესად ტოქსიკურია კიბოს უჯრედებისთვის". დუეტი „ავშანი და რკინა" უკვე გამოსცადეს ვირთაგვებზე, ნაერთმა სრულად გაანადგურა კიბოს უჯრედები. **რაში მდგომარეობს საიდუმლო?**

ეს მცენარე შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ანადგურებს მხოლოდ დაავადებულ უჯრედებს, ორგანიზმის ჯანმრთელ ქსოვილებსა და ორგანოებს კი არ ეხება, ანუ არავითარი „ერთს არჩენს, მეორეს აზიანებს". ამასთანავე, ამ მცენარით დამზადებული პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია კიბოს ნებისმიერ სტადიაზე, გართულების რისკის გარეშე.

მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ონკოდაავადებათა მკურნალობაში კოლოსალური ნაბიჯი გადაიდგა და ის მილიონობით ადამიანს სიკვდილისგან იხსნის.

მსხვილმა ფარმაკოლოგიურმა კომპანიებმა უკვე გამოთქვეს სურვილი, აწარმოონ ატრემიზინინი, ანუ უჯანგარის ძირითადი კომპონენტი. გეგმაშია წელიწადში 50-60 ტონა არტემიზინინის მიღება.

შეგახსენებთ: **1972 წელს ჩინელმა ფარმაკოლოგმა ტუ იუიუმ ერთწლოვანი ავშნისგან დაამზადა (არტემიზინინი) მალარიის საწინააღმდეგო ეფექტიანი პრეპარატი, რომლისთვისაც მას 2015 წელს ნობელის პრემია გადაეცა.**

**მსოფლიოს ონკოლოგებს ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ ახალაღმოჩენილი მეთოდი ონკოდაავადებებთან ბრძოლის ერთ-ერთ პერსპექტიულ საშუალებად მიაჩნიათ, მაგრამ არც იმის იმედი აქვთ, რომ ეს იქცევა „ოქროს ტყვიად" კაცობრიობის ამ ვერაგ მტერზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად.** პრობლემა არის ის, რომ სიმსივნური უჯრედები განიცდიან მუტაციას, ახერხებენ დამალვას და „გაქცეულთა" ყველაზე უმნიშვნელო რაოდენობა მეტასტაზების ზრდას იწვევს. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ყველაზე ეფექტიანი და საიმედო საშუალება იმუნოთერაპიაა. ორგანიზმის იმუნური ძალების გამოყენება კიბოს წინააღმდეგ დიდ დარტყმას აყენებს მას. ამ დარტყმის გასაძლიერებლად შეიძლება არტემიზინინის გამოყენება. თუმცა ჯერ მისი ანტისიმსივნური მოქმედება მხოლოდ ვირთხებზე დადასტურდა, ხოლო სრულფასოვანი გამოკვლევები ადამიანებზე ჯერ არ ჩატარებულა.



# საპატარძლო კაბისთვის «გაღებული მსხვერპლი»

**36 წლის ბეტი უილერმა, რომელიც სომერსეტის საგრაფოში ცხოვრობს, საპატარძლო კაბა რომ ჩაეცვა, 64 კილოგრამი დაიკლო.**

როცა საყვარელმა ადამიანმა მას ცოლობა სთხოვა, ბეტი 140 კილოგრამს იწონიდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში თავს მოხდენილ და ლამაზ პრინცესად წარმოიდგენდა თავის ქორწილზე. ამიტომ ბეტიმ თითქმის გაინახევრა წონა, რათა საპატარძლო კაბა ჩაეცვა.

ბეტი უილერმა მკაცრი დიეტა დაიცვა: ჭამდა ბევრ ბოსტნეულსა და ხილს, მინიმუმამდე შეამცირა შემწვარი საჭმლის რაოდენობა, გაზარდა თევზისა და ზღვის პროდუქტების შემცველობა რაციონში, ხშირად სტუმრობდა სპორტის დარბაზს. დიეტამ და ფიზიკურმა სავარჯიშოებმა შედეგი ერთ წელიწადში გამოიღო.

ზედმეტ კილოგრამებთან ერთად ახალგაზრდა პატარძალი სხვა დაავადებებისგანაც გათავისუფლდა, მათ შორის დიაბეტისა და ქრონიკული დაღლილობისგან.

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა წამოსულია მეცნიერთა ახალი თაობა, რომელიც აგროვებს და განავითარებს თავიანთი მასწავლებლების დიდი შრომით დაგროვებულ სამეცნიერო მემკვიდრეობას. ეს მეცნიერები არიან მოსაძებნი და საქართველოში ჩამოსაყვანი, რაც ერთ და ორ დღეში ვერ და არ მოხერხდება ამ საქმეში იუნესკოს აქტიური ჩართულობის გარეშე. ამ საერთაშორისო ორგანიზაციას კი, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე უნდა წარედგინოს განაცხადი, რათა მან მომავალი წელიწადი რუსთაველის წლად გამოაცხადოს.**

## გამოვიდა ჟურნალ «ისტორიული მემკვიდრეობის» მეთერთმეტე ნომერი

ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ ნოემბრის ნომერში წარმოდგენილია საინტერესო მასალები შოთა რუსთაველის 850 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებზე — რატომ არ გაიმართა საქართველოში შოთა რუსთაველის იუბილე ოქტომბერში და როგორ აღნიშნეს ეს თარიღი რუსეთში.

ნომერში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ — ქართული ენის ორიგინალურ სახელმძღვანელოს დაწყებითი სკოლებისთვის, რომელიც 140 წლის წინათ შეადგინა დიდმა პედაგოგმა და რომელიც დღესაც ერთ-ერთი რჩეული განძია ქართველი ერისთვის.

აქვე რუბრიკით „ილიას გაკვეთილები“ წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1899 წელს რუსი მწერლის, მოგზაურის, ლიტერატურის კრიტიკოსისა და ეთნოგრაფის — ევგენი ლვოვის ძე მარკოვის პატივსაცემად გამართულ სადილზე. ილიას ამ სიტყვაში მკაფიოდაა გამოხატული ღრმადდასაბუთებული რწმენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ და, აქედან გამომდინარე, იმის შესახებაც, რა როლს ანიჭებდა ილია საქართველოში რუსი სტუმრების პატივითა და დიდებით მიღებას.

„ერი, რომელიც „ჰთაკილობს სხვისგან ჭკუის სწავლებას“, არ ითვისებს „სხვის ავკარგიანობას“, კარგავს საკუთარ ისტორიასაც, ნაციონალურ ფასეულობებსაც, განვითარების შესაძლებლობებსაც, ის ვერ გაუფრთხილდება იმას, რაც აქამდე შეუქმნია და ვერც რამე ახალს შექმნის“, — ვკითხულობთ წერილში.

რუბრიკა „სახელოვანი ქართველები“ მოგვითხრობს სახალხო მასწავლებელ მალაქია ჯაფარიძის ოჯახზე, რომლის სათაურია „ღარიბად არ ჩაითვლება ისეთი ხალხი, რომლის წარმომადგენელს უნარი ჰქონია ასეთი „ზავოდის“ შექმნისა“.

დიდი მგოსნის — აკაკი წერეთლის ეს სიტყვები 1924 წელს დაიბეჭდა სათეატრო-სალიტერატურო ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№19 (22), 21 დეკემბერი), რომელიც მხატვარ უჩა ჯაფარიძის მამას, მალაქია ჯაფარიძეს, სამასწავლებლო ასპარეზზე მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს ულოცავდა.

ტრადიციულ რუბრიკას „უნივერსიტეტის პირველი პროფესორები“ განაგრძობს ალექსანდრე დიდებულიძე, რომელიც ფიზიკის კათედრის შესაქმნელად თავის დროზე ოდესიდან ჩამოვიდა.

ჟურნალის ამ ნომერში, ასევე, წაიკითხავთ ივანე ჯავახიშვილისა და პროფესორ ჯუანშერ ვათეიშვილის მასალებს საქართველოს ისტორიიდან და სხვ.


ისტორიული მემკვიდრეობა

7 რატომ არ გაიმართა რუსთაველის იუბილე ოქტომბერში?!
შესაძლოა, შოთა რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები სკანდალით დასრულდეს

ხარფუხი 48

«მე მინდა ჩემზეც იფიქროთ ხოლმე ხანდახან» 44

# რატომ არ გაიმართა შოთა რუსთაველის იუბილე ოქტომბერში?!

## შესაძლოა, შოთა რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები სკანდალით დასრულდეს

**2016 წლის შოთა რუსთაველის საიუბილეო წლად გამოცხადება ჯერ კიდევ წინა პრემიერმინისტრის დროს იყო გადაწყვეტილი, მაგრამ ფართო საზოგადოებამ არ იცის, „საშინაო მოხმარების“ ორიოდე ღონისძიების გარდა, რა გაკეთდა.**

**ჯერ კიდევ 2015 წლის დეკემბერში მთავრობის სხდომაზე საქართველოს მაშინდელმა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2017 წელს საქართველოში შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს საზეიმოდ აღსანიშნავად ემზადებიან და რომ ამაზე მთავრობის ადმინისტრაციას მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.**

**„ჩემი სურვილია შოთა რუსთაველის 850-ე წლის იუბილე პომპეზურად აღვნიშნოთ, ისე, როგორც ეკადრება შოთა რუსთაველს, მე უკვე ვთხოვე ჩემს ადმინისტრაციას, შევქმნათ კომისია და ძალიან მაღალ დონეზე აღვნიშნოთ შოთა რუსთაველის იუბილე“, — განაცხადა ღარიბაშვილმა, რამდენიმე დღეში კი გადადგა და ეს სურვილიც თან გაიყოლა. საზოგადოება კი ამაოდ ელოდა ოქტომბერში დაანონსებულ პომპეზურ იუბილეს.**

**ჩვენი მწირი ინფორმირებულობის შევსება ვთხოვეთ რუსთაველის საიუბილეო წლის მასშტაბური აღნიშვნის აქტიურ გულშემატკივარს, სახელგანთქმულ ქართველ არქიტექტორსა და საზოგადო მოღვაწეს გიგა ბათიაშვილს.**


გიგა ბათიაშვილი

— საქმე ის არის, — **თქვა ბატონმა გიგამ,** — რუსთაველის იუბილე გაცილებით სერიოზული საკითხია, ვიდრე ნებისმიერი სხვა, კარგად ორგანიზებული საიუბილეო ღონისძიება. თუ ეს იუბილე იუნესკოს ეგიდით მოწყობილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გარეშე გაიმართება, მაშინ სახელმწიფოებრივ დონეზე მისი ფასი და მნიშვნელობა ნულის ტოლი იქნება.

რაგინდ კარგი ღონისძიებებით — საზეიმო სხდომით, სტუმრების მიღებით, საქართველოს ისტორიული ადგილების მონახულებით, მრავალფეროვანი კონცერტებით, უხვი სუფრით და ა.შ. დავტვირთოთ იგი, არაფერს მოგვცემს.

**ჭეშმარიტ, დიდად ღირებულ შედეგს, რომელსაც იმსახურებს რუსთაველი და მისი უკვდავი, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედევრი „ვეფხისტყაოსანი“ მივიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომლებიც რენესანსის ეპოქასა და თეორიაზე მუშაობენ.** საქმე ის არის, რომ ჩვენ ვცდილობთ, ლამის მუხლებზე ვხოხავთ, ევროპამ მოწყალების თვალით რომ გადმოგვხედოს და თავის ოჯახში მიგვიღოს. არადა, **სწორედ რუსთაველის იუბილის გონივრული გამოყენებითა და მასზე დაყრდნობით გვაქვს შანსი, ისე წარვუდგინოთ ჩვენი თავი მსოფლიოს, რომ ევროპას უხაროდეს ევროპის ოფიციალურ სტრუქტურებში ჩვენი გაწევრება.**

დღევანდელი ევროპა რენესანსის იდეოლოგიის, კულტურის პროდუქტია, იგი რენესანსის საფუძველზეა აშენებული. ხოლო ამ რენესანსის იდეოლოგია სწორედ რუსთაველმა საუკუნე-ნახევრით ადრე შესთავაზა საზოგადოებრიობას. ეს იდეოლოგია ციდან არც მეტეორივით ჩამოვარდნილა, არც ციურ მანანასავით მოჰფენია ევროპას. იგი წინა თაობების მიერ გააზრებული და დამუშავებული ფილოსოფიაა. აი, ამის წარდგენა არის საჭირო დღევანდელი მსოფლიოსთვის.

თავის დროზე ირაკლი აბაშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა ოთხი წელიწადი მოანდომეს რუსთაველის იუბილის მომზადებას, მთელი მსოფლიო შეძრეს, ლუი არაგონიც კი ჩამოიყვანეს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ის მეცნიერები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შალვა ნუცუბიძის თეორიას, ფსევდოიბერისა და არეოპაგის თემას, ცოცხლები აღარ არიან. **ახლა წამოსულია მეცნიერთა ახალი თაობა, რომელიც აგროვებს და განავითარებს თავიანთი მასწავლებლების დიდი შრომით დაგროვებულ სამეცნიერო მემკვიდრეობას. ეს მეცნიერები არიან მოსაძებნი და საქართველოში ჩამოსაყვანი, რაც ერთ და ორ დღეში ვერ და არ მოხერხდება, ამ საქმეში იუნესკოს აქტიური ჩართულობის გარეშე. ამ საერთაშორისო ორგანიზაციას კი, სულ ცოტა, ერთი წლით ადრე უნდა წარედგინოს განაცხადი, რათა მან მომავალი წელიწადი რუსთაველის წლად გამოაცხადოს.**

**— აბა, გამოაცხადაო?**

— რას ლაპარაკობთ! არა, არ გამოუცხადებია. გამოცხადებული იყო, რომ ოქტომბერში ჩავატარებდით რუსთაველის იუბილეს, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს არ მოხდებოდა, რადგან თუნდაც ამ დიდი მოვლენის მოსამზადებელი საბჭო თუ კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა მთელი საიუბილეო სცენარი, მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, დღემდე პერსონალიზებული არ არის. რომც ყოფილიყო პერსონალურად დამტკიცებული, ასეთ შემთხვევაშიც ვერაფერს გააკეთებდნენ, რადგან არავითარი პრაქტიკული ბერკეტი არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ ვთქვი უარი კომისიის წევრო-

**სწორედ რუსთაველის იუბილის გონივრული გამოყენებითა და მასზე დაყრდნობით გვაქვს შანსი, ისე წარვუდგინოთ ჩვენი თავი მსოფლიოს, რომ ევროპას უხაროდეს ევროპის ოფიციალურ სტრუქტურებში ჩვენი გაწევრება. დღევანდელი ევროპა რენესანსის იდეოლოგიის, კულტურის პროდუქტია, იგი რენესანსის საფუძველზეა აშენებული. ხოლო ამ რენესანსის იდეოლოგია სწორედ რუსთაველმა საუკუნე-ნახევრით ადრე შესთავაზა საზოგადოებრიობას**

## უკრაინისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხი წლის ბოლომდე გადაწყდება

**წლის ბოლომდე ევროკავშირი უკრაინისთვის 160 მილიონი ევროს გამოყოფას გეგმავს. თანხა უკრაინაში რეფორმების გატარებას უნდა მოხმარდეს, ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხი კი წლის ბოლომდე გადაწყდება.**

ბრიუსელში დასრულდა უკრაინა-ევროკავშირის სამიტი. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ უკრაინისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხი წლის ბოლომდე გადაწყდება. ევროკომისიის განცხადებით, გამოყოფილი თანხები მოხმარდება ქვეყანაში გასატარებელი ადმინისტრაციული რეფორმების მომზადებას. „104 მილიონი ევრო განკუთვნილია ადმინისტრაციული რეფორმებისთვის, 52.5 მილიონი ევრო კანონში შესატანი ცვლილებებისთვის“, — განაცხადა ევროკავშირის მდივანმა.



## ჭეშმარიტ, დიდად ღირებულ შედეგს, რომელსაც იმსახურებს რუსთაველი და მისი უკვდავი, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედევრი „ვეფხისტყაოსანი“ მივიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომლებიც რენესანსის ეპოქასა და თეორიაზე მუშაობენ.

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბაზე. მხოლოდ იმიტომ ვიყო იმ კომისიაში, რომ წევრთა შორის ჩემი სახელი და გვარი ჩაიწეროს, პრაქტიკულად კი არაფრის გაკეთება არ შემეძლოს, ასეთ ფორმალობას ვერ დავთანხმდებოდი...

**— მაშ, არაფერი არ გაკეთებულა?**

— ერთი დიდი საქმე ნამდვილად გაკეთდა, მერიისა თუ საკრებულოს კომისიის გარეშე, კერძო ინიციატივით: **ძალიან მაღალ დონეზე ინგლისურად ითარგმნა ის სერიოზული სამეცნიერო ნაშრომები რენესანსის ეპოქის თემატიკაზე, რომლებიც ჩვენთან არსებობდა, და ამერიკელები გამოსცემენ წიგნს, რომლის სასიგნალო ეგზემპლარს დღე-დღეზე მივიღებთ.** ეს დიდად მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა საქართველოში ორი კაცის და ამერიკაში ერთი ადამიანის ძალისხმევით.

**— არ დაასახელებთ „დამნაშავეებს“?**

— უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მთარგმნელებისთვის ჰონორარის გადახდას ჩვენი კულტურის სამინისტრო დაგვპირდა. ვიმედოვნებ, კულტურის მინისტრი სიტყვას არ გატეხს.

ამ საქმეს თავი დაადგეს **სერგო გოცირიძემ** და **გიგა ბათიაშვილმა.** ხომ გაგიგია? *(ბატონ გიგას ელიმება).*

**— წარმოიდგინეთ, რომ ორივეს ვიცნობ, — იმავე ტონალობაში ვუპასუხებ.**

— ამერიკაში ეს საქმე ითავა **ნადია კულუმუსმა** ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე გამომცემელმა.

რა მინდა ვუთხრა თქვენს მკითხველებს, იცით? როცა მარტო ყოფილხართ ოჯახის წევრებთან ან მეგობართა წრეში, თანამოაზრეებთან ერთად, შოთა რუსთაველი შეიძლება არც გაგხსენებიათ, მაგრამ საქართველოს უკვდავებაზე თუ ლაპარაკობდით და ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო გითქვამთ, ეს რუსთაველის სადღეგრძელო იყო. საქართველო რუსთაველის სახლია, საქართველო უდიდესი განძის პატრონია, რენესანსის იდეოლოგიის შემქმნელი ქვეყანაა. რუსთაველი ჩვენი ყოველდღიურობის თანმდევია. **ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, როცა შემომთავაზეს „ვეფხისტყაოსნის“ ხუთი სტროფის გადაწერა: ასეთი ხელნაწერის წიგნად გამოცემას აპირებენ. ეს რომ გავაკეთე და შინ რომ დავბრუნდი, ცოლ-შვილს „ავუკრძალე“ იმ კალმისტრის ხელში აღებაც კი, რომლითაც რუსთაველის შედევრის სტროფები გადავწერე და რომელიც ჩემს შთამომავლობას გადაეცემა, როგორც ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდი განძი.**

საიუბილეოდ აპირებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემას. კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ იგი ყოველწლიურად უნდა გამოიცემოდეს. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემაც უნდა დაისტამბოს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, იაკობ გოგებაშვილმა თავისი „დედაენის“ შრიფტი ამ გამოცემის მიხედვით ააწყო და დაბეჭდა.

ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ არა — გადამწყვეტი. გადამწყვეტი და მთავარი არის რუსთაველის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში იმ მეცნიერთა მოხსენებებით წარდგენა, რომლებიც მუშაობენ არეოპაგზე, XI-XII საუკუნეებზე, როგორც საქართველოში კვატროჩენტოს წინმსწრები ფილოსოფიის განვითარების პრობლემატიკაზე.

კვატროჩენტო, მოგეხსენებათ, ითარგმნება, როგორც წინარენესანსი, ანუ რენესანსის დაწყების პირველი ეტაპი.

**— რატომ გაჭიანურდა (თუ გადაიდო) იუბილის აღნიშვნა?**

— როგორც ჩანს, საპარლამენტო არჩევნების გამო. 18 ან 19 ნოემბერს ყველაფერი დამთავრდება და ჩვენც აქტიურად შევუტევთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც წლეულს გაიმართოს. აჩქარება, როგორც გითხარით, მხოლოდ უარყოფით გავლენას იქონიებს, დაგვაკარგვინებს იმ უძლიერეს მუხტს, რომელმაც საერთაშორისო მასშტაბით უნდა გაიტანოს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობის კულტურული ისტორიის განვითარებაში.

**— ამას დრო დასჭირდება.**

— რა თქმა უნდა. ორი წელიწადი მაინც. რუსთაველის იუბილის ჩატარება ნაჩქარევად, ჰაიჰარად ყოვლად წარმოუდგენელია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. 10 ოქტომბერს Interfax-Russia.ru იტყობინებოდა, რომ რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ძეგლი დაიდგმება. უკვე პრაქტიკულად ყველა საკითხი გადაწყვეტილი და შეთანხმებულია. ეს ძეგლი, რომლის ავტორია ზურაბ წერეთელი, მოქანდაკისგან ქალაქს საჩუქრად გადაეცემა და იგი რუსთაველის ქუჩაზე, სკვერში, წლის ბოლომდე დაიდგმება.**

**აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილ ქართველ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას, როგორც შევიტყვეთ, თბილი საუბარი ჰქონდა რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილესთან, შეთანხმდნენ, რომ შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომას მოსკოვის მაცხოვრის ტაძრის საეკლესიო კრებათა დარბაზი უმასპინძლებს.**



# «რუსთაველის ეპოქა» ერმიტაჟში

**ამ დღეებში პეტერბურგში ერმიტაჟმა გენიალური შოთა რუსთაველის იუბილეს საგანგებო საღამო-კონცერტი მიუძღვნა სახელწოდებით „რუსთაველის ეპოქა“. ამის თაობაზე მოგვითხრობს ღონისძიების მონაწილე, ფოლკლორული ანსამბლი „დიდგორის“ წევრი გივი აბესაძე.**

**— ბატონო გივი, როგორ მოხვდით ამ ღონისძიებაზე, ვინ მიგიწვიათ?**

— როდესაც ღონისძიების ჩატარების იდეა დაიბადა, პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის გენერალურმა დირექტორმა **მიხეილ პიოტროვსკიმ**, რომელიც ადრე თბილისში გავიცანით და მოეწონა ჩვენი ანსამბლი და დაგვიმეგობრდა, მიგვიწვია 13 ნოემბრის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

**— თქვენ გარდა საქართველოდან სხვა კოლექტივებიც თუ მონაწილეობდნენ კონცერტში?**






— არა, საქართველოდან მხოლოდ ჩვენ ვიყავით ჩასული, მაგრამ აკადემიკოს მიხეილ პიოტროვსკის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ განხორციელდა პირველი ტელეხიდი თბილისში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრთან. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხელნაწერთა ცენტრის დირექტორმა **ზაზა აბაშიძემ.**

შეკრებილ საზოგადოებას რუსთაველის ეპოქის ძეგლების შესახებ ესაუბრა ერმიტაჟის მეცნიერი თანამშრომელი **იაროსლავა ბილინკინა.**

საღამო კი დასრულდა კონცერტით, რომელზეც ანსამბლი „დიდგორი“ სპეციალურად ამ საიუბილეო დღისთვის მომზადებული რეპერტუარით წარსდგა.

**— როგორ შეხვდა რუსი მაყურებელი თქვენს ანსამბლს?**

— მინდა გითხრათ, რომ დიდი აღფრთოვანებით. შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და ტრადიციული საეკლესიო საგალობლები, რომლებსაც დიდი ოვაციები და მაყურებლის მქუხარე ტაში მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ კონცერტზე შესრულდა ხალხური სიმღერები, რომლებშიც გამოყენებულია ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“.

როგორც ეტმიტაჟის ოფიციალურ ვებგვერდზე დაიწერა, ამ საღამომ მოგვცა საშუალება, არა მხოლოდ გვეგრძნო თავი რუსთაველის ეპოქაში, არამედ ის დღე ქართულ-რუსული კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ერთ-ერთ სანიმუშო მაგალითად ქცეულიყო.

ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ №11

## შულცი ევროპარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე კიდევ ერთი ვადით დარჩენაზე უარს ამბობს

**მარტინ შულცი ევროპარლამენტის თავმჯდომარეობას კიდევ ერთი ვადით არ აპირებს. ამის შესახებ მან ევროპარლამენტში ცოტა ხნის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.** შულცმა დაადასტურა მედიაში გავრცელებული ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით ბუნდესტაგის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. სოციალ-დემოკრატები მარტინ შულცს, ვიცე-კანცლერ ზიგმარ გაბრიელთან ერთად, გერმანიის კანცლერის პოსტზე შესაძლო კანდიდატად განიხილავენ. პარტია თავის კანდიდატს იანვარში დაასახელებს. მარტინ შულცი ევროპარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობას 2012 წლის იანვრიდან იკავებს.



ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში გავრცელებული ხეხილის 200-ზე მეტი კულტურიდან 100-მდე საქართველოს ტყეებსა და ბაღებში ხარობს და მაინც არ ხდება მათი სრული გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩასაყენებლად, განსაკუთრებით ეს ეხება მშრალ სუბტროპიკულ და კენკროვან კულტურებს, რომლებიც მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით და იმთავითვე გამოიყენებოდა სახალხო მედიცინაში.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

# როგორ მოვაწყოთ ხეხილის სანერგე მეურნეობა



**ხეხილის სანერგეებსა და ბაღებში აგროტექნოლოგიური ღონისძიებების სწორად განსახორციელებლად გთავაზობთ დახმარებას წიგნის — „ხეხილის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები“ (აგროწესები) — მიხედვით.**

მეხილეობაში მკვიდრდება ახალი მიმართულება — ბაღების გამდიდრება ხეხილის კულტურებითა და ჯიშებით, რომელთა ნაყოფიც შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებს.

ჯიშების სიმრავლის პირობებში საკმარისი აღარ არის ბაღების გაშენება მხოლოდ მაღალმოსავლიანი ჯიშებით, საჭირო შეიქნა ჯიშების შეფასება ადამიანისათვის საჭირო ნივთიერებებით უზრუნველსაყოფად. შეფასება კი ხდება მათი კვებითი ღირებულებით — ენერგეტიკულობითა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის ოდენობით.

**მსოფლიოში გავრცელებული ხეხილის 200-ზე მეტი კულტურიდან 100-მდე საქართველოს ტყეებსა და ბაღებში ხარობს და მაინც არ ხდება მათი სრული გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ჩასაყენებლად, განსაკუთრებით ეს ეხება მშრალ სუბტროპიკულ და კენკროვან კულტურებს, რომლებიც მდიდარია ბიოაქტიური ნივთიერებებით და იმთავითვე გამოიყენებოდა სახალხო მედიცინაში.**

ბოლო 20 წლის განმავლობაში თესლოვან და კურკოვან ხილთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნა კაკლოვან, მშრალ სუბტროპიკულ, კენკროვან და ტყის ხილზე. ამიტომ კვლავ უნდა გაგრძელდეს ხეხილის ბაღების პროდუქტიულობის მომატება ფართობის ერთეულზე და მებაღეს უნდა შეეძლოს აგროღონისძიებების გამოყენებით მცენარის მართვა, ბაღის სხვადასხვა კონსტრუქციებისა და არატრადიციული მიდგომების გამოყენება, სხვლა-ფორმირება, ქირურგიულ პროცესებში ჩარევა (მყნობა), სპეციალური უნარ-ჩვევების დაუფლება, რომლებიც უპასუხებს მცენარისა და ადამიანის მოთხოვნებს.

დადგენილი ნორმით, **ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ადამიანმა წელიწადში უნდა მიიღოს ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი 100-120 კგ ხილი.**

1995 წლიდან საქართველოში წარმოებული ხილიდან მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში მოდის 40კგ (ძირითადად, ვაშლი), რაც 2.5-3-ჯერ ნაკლებია წინა წლებთან შედარებით. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ვიტამინების მიუღებლობა „არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ბოროტება“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეხილეობის წინაშე დგას ხილის მოსავლის გაზრდის, ნამყენი ნერგის საჭირო რაოდენობით წარმოების, საბაღე ფართობების განსაზღვრის და ბაღების გაშენების ამოცანა.

ხეხილის სხვადასხვა ჯიშს, ბიოლოგიური თავისებურებების გამო, არაერთგვაროვანი მოთხოვნები აქვს გარემო პირობების მიმართ, ამიტომ მათი ჯიშობრივი ტერიტორიული დარაიონება და გაადგილება მოითხოვს, ზუსტად გავითვალისწინოთ ძირითადი ეკოლოგიური ფაქტორები: კლიმატი, ნიადაგები, ჰიდროლოგიური პირობები, აგროტექნიკა და სხვ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ინტენსიურად მიმდინარე გლობალური დათბობის პროცესი, რომელსაც შესწორებები შეაქვს გარემოში.

**ხეხილის სანერგე.** საქართველოში 1991 წლამდე მოქმედ სახელმწიფო სანერგე მეურნეობებში ნერგის ჯიშობრივ სიწმინდესა და სტანდარტზე ზედამხედველობა იყო დაწესებული.

**ამჟამად ხეხილის ნამყენი ნერგის წარმოება და რეალიზაცია მიმდინარეობს მოუწესრიგებლად, რადგან ეს დიდი საქმე გადავიდა კერძო პირების ხელში, რომლებსაც ყოველგვარი კონტროლის გარეშე, თავიანთი ნება-სურვილით გამოჰყავთ ნერგები. მეპატრონე არ იძლევა გარანტიას ჯიშის სიწმინდეზე და არც აკისრია პასუხისმგებლობა გაყიდულ სარგავ მასალაზე.**

ამიტომ **ფერმერებს ვურჩევთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძინონ გზაზე გასაყიდად გამოტანილი ნერგები. ნერგის შეძენა უნდა მოხდეს სანერგე მეურნეობაში, საბუთის გამოწერით და ნერგის მეპატრონის ხელმოწერით, რომელიც პასუხს აგებს ნერგის სიჯანსაღეზე, ხარისხსა და ჯიშზე.**

**ფერმერებს ვურჩევთ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძინონ გზაზე გასაყიდად გამოტანილი ნერგები. ნერგის შეძენა უნდა მოხდეს სანერგე მეურნეობაში, საბუთის გამოწერით და ნერგის მეპატრონის ხელმოწერით, რომელიც პასუხს აგებს ნერგის სიჯანსაღეზე, ხარისხსა და ჯიშზე**

* სანერგის მეპატრონე უნდა ადგენდეს კატალოგს ნამყენი ნერგის ჯიშისა და კონკრეტული ზონის დასახელებით. აქვეყნებდეს განცხადებას სანერგის მისამართის მითითებით. აუცილებლობა მოითხოვს, რომ შეიქმნას სანერგის მფლობელთა კავშირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სანერგე მეურნეობის სპეციალიზაციას ხეხილის გასაშენებელი ზონების მიხედვით, რათა მებაღეებმა შეიძინონ სასურველი კულტურისა და ჯიშის სტანდარტული, მაღალი ხარისხის ნამყენი ნერგი.

* რეკომენდებულია, ერთმა სანერგემ აწარმოოს **თესლოვნების** ჯგუფის ნერგები, მეორემ – **კურკოვნების,** მესამემ – **კაკლოვნების,** მეოთხემ — **მშრალი სუბტროპიკული** კულტურების, მეხუთემ — **კენკროვნების** ჯგუფის ნერგები.



* სანერგის მფლობელმა, მოსახლეობის მოთხოვნების მიხედვით, თვითონ უნდა განსაზღვროს ნერგის წარმოების ოდენობა, ოღონდ სანერგის მფლობელთა კავშირთან შეთანხმებით. მხოლოდ ასე შეძლებს დაადგინოს, რამდენი ნერგი უნდა გამოიყვანოს, რათა სარგავი მასალის რეალიზაციის დროს არ განიცადოს ზარალი.

* ხეხილის გამშენებელმა ერთი წლით ადრე უნდა მიმართოს სანერგის ფირმის მეპატრონეს წერილობითი განცხადებით, რომელი კულტურის, რომელი ჯიშის, რომელ საძირეზე და რომელ ზონაში სურს ბაღის გაშენება. ხოლო სანერგის მეპატრონემ სრულად უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებელი.

* სანერგე მეურნეობის აგრონომებმა და პასუხისმგებელმა პირებმა კარგად უნდა იცოდნენ მათ სანერგეში გამოყვანილი სარგავი მასალის, ჯიშის ბიოლოგიური და სამეურნეო ღირსებები და ნაკლოვანი მხარეები, აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მყიდველს უნდა მისცენ ამომწურავი პროფესიული რჩევა ნერგის მუდმივ ადგილზე დარგვისა და შემდგომი მოვლისთვის.

* ხეხილს, როგორც მრავალწლოვან კულტურას, სჭირდება **ბაღისა და სანერგე მეურნეობის დაპროექტება**, რათა არ იქნას დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომები. პროექტის შესადგენად საჭიროა, წინასწარ შესწავლილი იქნას შესაბამისი ტერიტორია, ნიადაგები, მიკროკლიმატი, რელიეფი, ბუნებრივი მცენარეული საფარი. პროექტში აღნიშნული უნდა იყოს ფართობი, საძირე, ჯიში და ნამყენი ნერგის წარმოების მოცულობა, სანერგის ტიპი, განყოფილებათა ურთიერთშეფარდება, თესლბრუნვის სქემა, ტერიტორიის ორგანიზება თავისი საზღვრებით, ნიადაგის რუკა, სარწყავი არხები და გზები.

ტერიტორია ნაწილდება კვარტალებად და თარგებად. სასურველია, შეირჩეს ქარისაგან დაცული ადგილი. სანერგისა და ბაღის გაშენებამდე 4-5 წლით ადრე უნდა გაშენდეს ქარსაფარი ზოლი. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი ცელსიუსით 25-30 გრადუსზე დაბლა არ უნდა ეცემოდეს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ტემპერატურა ძლიერ აზიანებს კლონურ საძირეებზე ნამყენ ნერგებს.

* სანერგისთვის საუკეთესოა ალუვიური თიხნარი, სილნარევიანი, ჰუმუსით მდიდარი შავმიწები, წაბლა, მდელოს ყავისფერი სტრუქტურიანი ნიადაგები. ნაკვეთის დაქანება არ უნდა აღემატებოდეს 3-50°და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი და სასმელი წყლით. სასურველია, სანერგე მოეწყოს გზასთან ახლოს.

* სანერგეები არის დროებითი და მუდმივი. დროებითი სანერგეები ფუნქციობს ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში სარგავი მასალის საწარმოებლად. მუდმივი სანერგე კი ათეული წლობით მოქმედებს, უზრუნველყოფს სანერგეში დასაქმებული კადრის აღზრდას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

* სანერგეს უნდა ჰქონდეს ტექნოლოგიის სპეციალური შენობა. სამყნობი სახელოსნო ზამთრის მყნობის ჩასატარებლად. თესლის გადასამუშავებელი და გასაშრობი საამქრო, კალმების, თესლის სტრატიფიკაციის ოთახი. დახურული გრუნტის ნისლწარმოსაქმნელი ნაგებობა, საფუმიგაციო ოთახი, სარგავი მასალის შესანახი საკანი. ყოველი სანერგე მეურნეობის მფლობელი თვითონ განსაზღვრავს, რომრორი შენობა-ნაგებობა სჭირდება ადგილობრივი პირობების და ნერგის გამოყვანის ტექნოლოგიის გათვალისწინებით (ერთი ჰექტარი სანერგის ფორმირებისას ორწლიანი ნამყენი ნერგის მისაღებად საჭიროა, სულ ცოტა, 24 ჰექტრამდე სასარგებლო მიწის ფართობი). ეს განაპირობებს როგორც ნერგის, ისე საძირის ჯიშობრივ სიწმინდეს და ქმნის წარმოდგენას ზონების მიხედვით ჯიშების დარაიონებაზე.

სანერგე მეურნეობა მოითხოვს განსაკუთრებულ აგროტექნიკას ნამყენი ნერგის გასაზრდელად, ცალკეულ ნაკვეთებს და სტრუქტურას. სანერგის ორგანიზატორებმა უნდა შექმნან სხვადასხვა დანიშნულების განყოფილებები:

**1. გასამრავლებელი განყოფილება,** საძირეთა გამრავლების ნაკვეთი ანუ:

**ა)** სათესი სკოლა, სადაც ითესება თესლი და მიიღება ნათესარი საძირეები;

**ბ)** საძირეთა სადედე, სადაც საძირეებს ვეგეტატიურად ამრავლებენ.

**2. ფორმირების განყოფილება,** სადაც ტარდება მყნობა და ნამყენის აღზრდა.

ეს განყოფილება შედგება სამი ნაკვეთისგან:

**ა)** პირველი წლის მინდორი — საძირეებზე სანამყენე ნაკვეთი;

**ბ)** მეორე წლის მინდორი — ერთწლიანი ნამყენი ნერგის გასაზრდელი ნაკვეთი;

**გ)** მესამე წლის მინდორი — ერთწლიანი ნამყენის ფორმირების ანუ ვარჯის ჩასახვის ნაკვეთი.

**3. სადედე განყოფილებას აქვს:**

**ა)** სათესლე სადედე ბაღი — სადაც მზადდება თესლი საძირეების მისაღებად.

**ბ) საკალმე სადედე ბაღი** – სადაც იჭრება კალამი, ე.ი. საკვირტე მასალა.

აუცილებელია, სადედეები მოეწყოს სანერგეებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭირო რაოდენობის კვირტით, დაცული იყოს ჯიშების სიწმინდე. კალმის დამამზადებლები კარგად უნდა ცნობდნენ და ერკვეოდნენ ჯიშებში, რომ გამორიცხული იყოს გაუგებრობა.

**იუზა ვასაძე,**
**ვაჟა კვალიაშვილი.**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები**

**განახლების, ცვლილებების პერიოდია, კარგ შედეგს გამოიღებს საქმიანი მოლაპარაკებები ახალი პროექტის დაწყებაზე. წარმატებას მიაღწევენ ლომისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**30 ნოე. - 6 დეკ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი — 20 აპრილი

თქვენი მისწრაფება, განიმტკიცოთ პირველობა, რა თქმა უნდა, შესაქებია, მაგრამ თავდაუზოგავმა მუშაობამ შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები შეგიქმნათ. ამიტომ შეეცადეთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ იმ სფეროებს, რომლებიც პროფესიასთან არ არის დაკავშირებული.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუ მის ინტერესებსაც გაითვალისწინებთ.

კარგი პერიოდია მავნე ნივთიერებებისგან ორგანიზმის გასაწმენდი პროცედურების ჩასატარებლად.

**დადებითი დღე: 30 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

## კურო — 21 აპრილი — 21 მაისი

ახალი ადამიანების გაცნობა, მოგზაურობისგან მიღებული შთაბეჭდილებები — აი რა აღგავსებთ ენერგიით და მოგგვრით სიხარულს. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

თუ მიხვდებით, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჩიხში შედის, ვითარებას სხვა რაკურსით შეხედეთ ან რჩევა სთხოვეთ უახლოეს მეგობარს. საბოლოო გადაწყვეტილება კი თვითონ მიიღეთ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა. შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვები.

**დადებითი დღე: 6 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 დეკემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი—21 ივნისი

შეეცადეთ, შეასრულოთ ყველა დაპირება და გააკონტროლოთ ემოციები, რადგან იმპულსურობა კარგს არაფერს მოგიტანთ. გაითვალისწინეთ, რომ სამუშაოსადმი ზერელე დამოკიდებულების გამო შეიძლება ხელმძღვანელობისგან საყვედური დაიმსახუროთ.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება შეგექმნებათ, ნუ შეეცდებით ურთიერთობის გარკვევას. ამ მცდელობამ შეიძლება მწვავე კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად. კარგი იქნება, თუ დაკავდებით სპორტის რომელიმე სახეობით, მაგალითად, ცურვით.

**დადებითი დღე: 30 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 2 დეკემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი—22 ივლისი

ნუ დაიკისრებთ პასუხისმგებლობას იმ საქმეებზე, რომელთა შესრულებაც თქვენს ძალებს აღემატება და ისწავლეთ, დახმარება ითხოვოთ, როცა ეს აუცილებელია.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

მარტოხელა კირჩხიბებმა უნდა დაძლიონ მორცხვობა და გრძნობა გაუმხილონ ადამიანს, რომლის მიმართაც, დიდი ხანია, გაუჩნდათ სიმპათია.

ცუდი პერიოდია ჰიპერტონიკებისთვის. შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ და მოერიდოთ ფიზიკურ დატვირთვას.

**დადებითი დღე: 6 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 2 დეკემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი —22 აგვისტო

ახალ გუნდურ პროექტში მონაწილეობით, რომელიც თქვენგან არასტანდარტულ მიდგომასა და ლიდერის თვისებების გამოვლენას მოითხოვს, სახელსაც გაითქვამთ და ფინანსურ მდგომარეობასაც გაიუმჯობესებთ. თავი აარიდეთ საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ ადამიანთან ფლირტს და მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებთან ურთიერთობას.

დიდია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა, მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. კარგი პერიოდია კოსმეტიკური პროცედურის ჩასატარებლად.

**დადებითი დღე: 4 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 დეკემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. —23 სექტემბ.

რთული პერიოდია. მოგიწევთ ბევრი საქმის ერთდროულად შესრულება, რაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ და გაგაღიზიანებთ.

შეეცადეთ, გადაჭარბებით არ შეაფასოთ თქვენი შესაძლებლობები. დახმარებისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ. სიურპრიზი, რომელსაც საყვარელი ადამიანი მოგიწყობთ, გუნებას გამოგიკეთებთ.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებთან ურთიერთობას. დიდია გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამწვავების ალბათობა. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 6 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 ნოემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. — 23 ოქტ.

აქტიურობის პერიოდია. წარმატებას მიაღწევენ შემოქმედებით სფეროში მოღვაწე სასწორები — მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, მწერლები, ჟურნალისტები.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

კამათი და უთანხმოება თავიდან რომ აიცილოთ, საყვარელი ადამიანის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ — წადით ერთად კულტურულ ღონისძიებაზე ან მოაწყვეთ წვეულება და მეგობრები მიიპატიჟეთ.

დიდია ტრავმირების ალბათობა, თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 6 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 3 დეკემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

ბევრი პრობლემა დაგიგროვდებათ, მაგრამ შეძლებთ ორიგინალური გადაწყვეტილებების მოძებნას და ყველა პრობლემის მოგვარებას. თავი აარიდეთ აზარტულ თამაშებსა და საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას.

ვიდრე რამეს იტყვით, კარგად დაფიქრდით, რადგან წინდაუხედავად წამოსროლილმა სიტყვებმა შეიძლება არა მხოლოდ კონფლიქტის, არამედ გზაზე ავარიული სიტუაციის პროვოცირებაც კი გამოიწვიოს.

ბევრი საქმისა და დროის დეფიციტის გამო შეიძლება ძალიან გაღიზიანდეთ. შეეცადეთ მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 6 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 3 დეკემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. — 21 დეკ.

რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფერი გამოგივათ და საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩებით.

ყურადღებით გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია: ის ახალი ცხოვრებისეული ეტაპის დასაწყისზე შეიძლება მიგანიშნებდეთ. მარტოხელა მშვიდოსნებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან, დაქორწინებულებს კი შვილები წარმატებებით გაახარებენ.

მშვილდოსნებისთვის, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, რეკომენდებული არ არის დიეტის დაცვა, თუმცა რაციონიდან ცხიმიანი და ცხარე კერძების ამოღება არ აწყენთ.

**დადებითი დღე: 2 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. — 20 იან.

გაგიჩნდებათ პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევის შანსი, მაგრამ მიზნის მისაღწევად მხოლოდ სურვილი საკმარისი არ იქნება — შეუპოვრად უნდა იმოქმედოთ, თანაც გადაწყვეტილებები სწრაფად მიიღოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მოსალოდნელია უთანხმოება. გამოავლინეთ ინიციატივა და პირველი ნაბიჯი თქვენ გადადგით შერიგებისკენ.

თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს — დაავადება შეიძლება სერიოზული იყოს.

**დადებითი დღე: 30 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 4 დეკემბერი.**

## მერწყული — 21 იან. — 19 თებ.

დაძაბული პერიოდია. მოგიწევთ საქმეებში თავის ჩარგვა. რეალური ამოცანები დაისახეთ, მიუღწეველზე ოცნებას კი თავი დაანებეთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ — მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

საყვარელი ადამიანისგან ვერ მოისმინეთ მხარდამჭერი და გამამხნევებელი სიტყვები, რომლებსაც ელოდით? გაგაკრიტიკეს? ნუ გაღიზიანდებით, ჩათვალეთ, რომ ცხოვრებამ გაკვეთილი ჩაგიტარათ. მალე ყველაფერი სასურველ კალაპოტში ჩადგება.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს — დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 6 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 4 დეკემბერი.**

## თევზები — 20 თებ. — 20 მარტი

ამ პერიოდში არ ღირს ახალი პროექტების დაწყება, სჯობს, მიმდინარე საქმეები დაასრულოთ და იმ პოზიციის შენარჩუნებაზე იფიქროთ, რომელსაც უკვე მიაღწიეთ. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას — დიდია ალბათობა იმისა, რომ თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

მარტოხელა თევზებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას მოისურვებენ. ჯანმრთელობისადმი უყურადღებობა პრობლემებს შეგიქმნით. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. შეეცადეთ, ფიზიკური სავარჯიშოებით გაიკაჟოთ ჯანმრთელობა.

**დადებითი დღე: 3 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 6 დეკემბერი.**

მოამზადა ნიკა კორინთელმა



## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 30 ნოემბერი — 6 დეკემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**30 ნოემბერი** — რეკომენდებულია ოთახისა და სათბურის მცენარეების მოვლა. მიწის გაფხვიერება, სანიტარული აკაფვა. მავნებლებთან ბრძოლა შხამქიმიკატებით.

**1 დეკემბერი** — კარგი დღეა სწრაფად მზარდი მცენარეების დარგვა-გადასარგავად, განსაკუთრებით ისეთი მცენარეების, რომელთა მოსავლის ზედა ნაწილი საკვებად გამოიყენება — გოგრის, ბადრიჯნის, კიტრის, ყაბაყის, მწვანილის, აგრეთვე, ყვავილოვანი კულტურებისა და სამკურნალო მცენარეების.

**2 დეკემბერი** — ბაღსა და ბოსტანში აქტიური სამუშაოების პერიოდია. გააფხვიერეთ მიწა, კარგად მორწყეთ მცენარეები.

**3 დეკემბერი** — შეიძინეთ: მცენარეების თესლი დასათესად, მცენარეთა დაცვის საშუალებები, მინერალური სასუქები.

**4 დეკემბერი** — დაიცავით მცენარეები ყინვისა და მავნებლებისგან. რეკომენდებული არ არის მორწყვა.

**5 დეკემბერი** — კარგი დღეა კენკროვანი მცენარეების, აგრეთვე, ლობიოს, გოგრის, ყაბაყის, წიწაკის მოსავლის ასაღებად.

**6 დეკემბერი** — რეკომენდებულია ოთახის მცენარეების მოვლა-მორწყვა, მიწის გამდიდრება მინერალური სასუქებით. სასათბურე პირობებში სალათისა და მწვანილის დათესვა.



# ღატაკი ქვეყნის ბედნიერი პარლამენტარები

## პარლამენტარობა ამქვეყნიური სამოთხე და ბავშვობის ყველა ოცნების ასრულებაა ამ ღატაკ ქვეყანაში

**დასრულდა საპარლამენტო არჩევნები და, როგორც მოსალოდნელი იყო, უმრავლესობით გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“. ყველანაირი ლეგალური თუ არალეგალური გზით ხელისუფლებაში მოვიდა 150 ბედნიერი მოქალაქე. ზღაპრული ხელფასი; ზღაპრული პრემიები; ზღაპრული დამატებითი ხელფასი. ევროპული დონის საპარლამენტო შენობა და, შესაბამისად, „მუშაობის“ იდეალური პირობები. ე.წ. მუშაობისთვის არავითარი კვალიფიკაცია არ არის საჭირო. მთავარია ღილაკზე ხელის დაჭერა, რასაც ბავშვიც თავისუფლად შეძლებს. პარლამენტის წევრს შეუძლია პარლამენტში, საერთოდ, არ იაროს.**

მოკლედ, პარლამენტარობა ამქვეყნიური სამოთხე და ბავშვობის ყველა ოცნების ასრულებაა ამ ღატაკ ქვეყანაში.

თანაც, შეუძლია გაურკვეველი მიზნით „გულაობა“ სხვადასხვა ქვეყანაში. პლუს საპარლამენტო ხელშეუხებლობა და სიბერეში ზღაპრული პენსია.

მივიღეთ პარლამენტი, როგორც რუსები იტყვიან: „გვინდოდა უკეთესი, მაგრამ გამოვიდა ისე, როგორც ყოველთვის!“

პარლამენტარების უმრავლესობა არის დილეტანტი და უბიოგრაფიო.

პარლამენტს დაემატა 4 ვეტერანი სპორტსმენი, ორი ფეხბურთელი და ორიც მორაგბე. ახლა საკანონმდებლო ორგანოში გვყავს 6 ვეტერანი სპორტსმენი — ორი ძიუდოისტი, ორი ფეხბურთელი და ორიც მორაგბე.

გაუგებარია, რა დააშავეს სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებმა: კალათბურთელებმა, ტყვიით მსროლელებმა, ძალოსნებმა... იქნებ სჯობს, სპორტის ყოველ სახეობაში გვქონდეს ე.წ. კვოტა ორ-ორი წარმომადგენლის სახით.

ეჭვი არავის ეპარება ხსენებული ვეტერანების დამსახურებაში, მაგრამ ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. ისინი სპორტს დააკლდნენ და პარლამენტს ვერაფერს შესძენენ.

**ამ სიტუაციის გამოსწორების გზები არსებობს:**

**I. შეიქმნას კომისია ადგილობრივი და უცხოელი მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით, რომლებიც შეადგენენ აუცილებელ პროგრამას, რა ცოდნა უნდა ჰქონდეთ მომავალ პარლამენტარებს.**

II. ამ პროგრამით ჩატარდეს გამოცდა პარლამენტის წევრობის კანდიდატებისთვის.

**III. გამოცდის ვერჩამბარებლები მოიხსნან პარლამენტის წევრობის კანდიდატობიდან.**

IV. დაწესდეს მინიმალური ასაკი პარლამენტარობისთვის, ალბათ, 35 წელი.

**V. საკანონმდებლო დონეზე დაწესდეს პარლამენტარების მაქსიმალური ანაზღაურება. ყოველგვარი პრემიები და დამატებითი ხელფასი უნდა გამოირიცხოს. უნდა იქნას გათვალისწინებული მინიმალური ხელფასი, რაც არის ქვეყანაში და დააწესონ ჯერადობა, რამდენჯერ მეტი უნდა იყოს პარლამენტარების ანაზღაურება მინიმალურ ხელფასზე.**

ჩვენ ხომ ყველაფერში ვბაძავთ აშშ-ს, იქ კონგრესმენების და სენატორების ანაზღაურებაზე გადაწყვეტილება ძალაში შედის მომავალი მოწვევის კონგრესსა და სენატში. შესაბამისად, თვითონ ვერ იმატებენ ხელფასს. ზემოთ ხსენებული ხუთი პუნქტის შესრულების შემთხვევაში პარლამენტი დაცული იქნება დილეტანტი და ამბიციური ხალხისგან.

ამჟამინდელი პარლამენტი არჩეული იქნა საკმაოდ ეშმაკური სქემით — ცუდები და დამნაშავეები. გაიმარჯვეს ცუდებმა, ფასადად შეიყვანეს მესამე პარტიის 6 წევრი და ორიც დამოუკიდებელი კანდიდატი.

გარეთ დარჩენილი 200-მდე პარტიის წარმომადგენლებმა დაიწყეს ტელევიზიით მყვირალა განცხადებების კეთება. ზოგი პარტიას ტოვებდა, ზოგიც — პოლიტიკას, ვითომ მათი წასვლით საქართველო დედა ენას დაკარგავდა. **ნეტა, პარლამენტში რას აკეთებდნენ და მის გარეთ რა უნდა გააკეთონ?!**

ხომ ყველა მათგანს აქვს უმაღლესი განათლება. შექმნან შპს-ები ან გახდნენ ინდმეწარმეები და თითოეულმა მაგანმა 10 კაცი მაინც რომ დაასაქმოს, ესეც საქმეა.

მთელი ცხოვრება ხალხის დაბოლებაზე რომ იყვნენ გადასული, ახლა მაინც გააკეთონ რამე რეალური.

დარწმუნებული ვარ, ამას თითქმის ვერავინ შეძლებს.

მათი სფეროა უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო სექტორი და მთავრობის მიერ შექმნილი გაურკვეველი შპს-ები, რომლებში დასაქმებას მათ პრემიერი დაჰპირდა.

**გაგაცნობთ ახალბედა პარლამენტარების წესდებას:**

I. გამოცვალეთ მობილური ტელეფონის ძველი ნომერი, უბრალო მოკვდავი რომ ვეღარ შეგეხმიანოთ.

II. აიღეთ ახალი ნომერი, რომელიც ეცოდინება მხოლოდ თქვენთვის საჭირო ხალხს.

III. აიყვანეთ თქვენს ე.წ. ბიუროებში თანამშრომლებად საყვარლები, სიმპათიური ახალგაზრდები და დაარიგეთ, რომ ყველანაირად დაგბლოკონ მოსახლეობისგან.

IV. არასოდეს თქვათ ცუდი თქვენს პროტეჟეზე და მამამარჩენალზე, თუნდაც კერძო საუბარში, რაც საკმაოდ საშიშია თქვენი კარიერისთვის.

V. რაც შეიძლება იშვიათად ან საერთოდ არ გამოხვიდეთ სიტყვით საპარლამენტო სხდომაზე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, რაც ბევრს ილაპარაკებთ, მით მეტ სისულელეს იტყვით.

VI. იზრუნეთ, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვოთ, რადგან არავინ იცის, სად იქნებით 4 წლის შემდეგ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელოვნურად არის ასეთი პარლამენტი დაკომპლექტებული, რადგან დილეტანტებისა და დამნაშავეების მართვა უფრო ადვილია. ან როდის იყო საქართველოში დემოკრატია? შევარდნაძის, სააკაშვილისა და ახლა ივანიშვილის მმართველობის პერიოდში ყველა საკითხს 2-3 კაცი წყვეტდა.

ახლა გადავიდეთ ე.წ. ქამრების შემოჭერის საკითხზე, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ლარის გაუფასურებასთან.

**I. რას აკეთებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი თავმჯდომარე 20 აკადემიკოსის ხელფასით?**

ცესკოს აქვს გარკვეული სამუშაო ადგილობრივი თუ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, რომელიც 4 წელიწადში მხოლოდ 2-ჯერაა.

ეს კომისია უნდა გადავიდეს დროებითი მუშაობის გრაფიკზე.

**II. რას აკეთებენ დაკარგული (დროებით, იმედია) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალჩინოსნები 9-მილიონიანი ბიუჯეტით?**

ბიუჯეტი აშკარად შესამცირებელია.

**III. რას აკეთებს დაკარგული (იმედია, დროებით) ცხინვალის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა თავისი 3 მილიონ 500 ათასი ლარით?**

აქაც თანხა აშკარად შესამცირებელია.

**IV. რას აკეთებს „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის“ სამინისტრო მილიონ 350 ათასლარიანი ბიუჯეტით?**

ეს სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია.

**V. რას აკეთებს „ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში“ ინტეგრაციის სამინისტრო 3 მილიონ 100 ათასლარიანი ბიუჯეტით?**

ეს სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია.

**VI. რას აკეთებს „დიასპორის საკითხებში“ სამინისტრო მილიონ 200 ათასლარიანი ბიუჯეტით?**

ეს სამინისტროც გასაუქმებელია.

**VII. კონსტიტუციიდან ამოსაღებია და, შესაბამისად, გასაუქმებელია გუბერნატორის ინსტიტუტი. რეალური თვითმმართველობა ამ შუალედური რგოლის არსებობის პირობებში ფარსია. გუბერნატორების „გრიალი“ თავიანთი 100 ათასიანი ჯიპებით უნდა დამთავრდეს.**

პარადოქსია, რომ ჩვენ ვერ შევდივართ ვერც აფხაზეთში და ვერც ცხინვალის რეგიონში, ისინი კი თავისუფლად შემოდიან ჩვენთან. ჩვენ მათ უფასოდ ვმკურნალობთ, ისინი კი საზღვრიდან იტაცებენ, აპატიმრებენ ან ხოცავენ ჩვენს მოქალაქეებს.

**სიმდიდრის მიხედვით მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში 113-ე ადგილზე ვართ, ანუ ღარიბ-ღატაკ და ჩამორჩენილ სახელმწიფოთა კატეგორიაში ვტრიალებთ. ამ დროს ტელევიზიიდან გვესმის საუბარი რაღაც წარმატებებსა და რეფორმებზე, რომელიც მხოლოდ ღიმილის მომგვრელია.**

ჩვენთან ოჯახებს, ძირითადად, ინახავს აქედან წასული მილიონზე მეტი ემიგრანტი. მათი ზუსტი რაოდენობა, ალბათ, არავინ იცის. უმეტესობა იქ უკანონოდ ცხოვრობს და მუშაობს. ისინი საქართველოში რომ გამოუშვან, რაც არ არის გამორიცხული, ხომ წარმოგიდგენიათ რა ამბები დატრიალდება — 1990-იანი წლები მონაგონი იქნება.

საქართველოს არ სჭირდება კოსმეტიკური ცვლილებები. ჩვენ გვჭირდება საფუძვლიანი გარდაქმნები, რომელთა განხორციელებაც არსებულ ხელისუფლებას არ ძალუძს.

**გურამ ამირანაშვილი**

# CNEWS: გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 120 ქვეყანაში უკანონოდ გატეხა 8 ათასი სერვერი

**ამერიკელმა სამართალდამცავებმა დაარღვიეს კანონი. მათ ორდერის გამოყენებით, რომელიც მხოლოდ ვირჯინიის შტატში მოქმედებდა, იმ მოქალაქეების პერსონალურ კომპიუტერებში შეაღწიეს, რომლებიც არ წარმოადგენდა აშშ-ის მოქალაქეების საკუთრებას.**



ამერიკელმა სამართალდამცავებმა გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას ბავშვთა პორნოგრაფიის საგამოძიებო საქმეში. გფბ-ს (გამოძიების ფედერალური ბიუროს) თანამშრომლები იყენებდნენ ორდერებს, რომლებსაც ძალა მხოლოდ ვირჯინიის შტატის აღმოსავლეთ რეგიონში ჰქონდა. ამ მეთოდიკით მათ გატეხეს 8 ათასი კომპიუტერის სერვერი 120 ქვეყანაში. ეს ყველაფერი დაიწყო 2015 წელს, როდესაც გფბ-მ დააპატიმრა რესურსი **„ფლეიპენი“**, რომელიც სოციალურ ქსელში ათავსებდა ბავშვთა პორნოგრაფიას. იმის მაგივრად, რომ ბიუროს თანამშრომლებს მაშინვე დაეხურათ საიტი, კიდევ 13 დღით დატოვეს იგი პირვანდელი სახით. მათი განმარტებით, ეს გაკეთდა იმისათვის, რათა გაეგოთ, რომელი სერვერიდან ხდებოდა საიტზე შესვლა და ასე მოეხერხებინათ მომხმარებლთა იდენტიფიკაცია. იმის გამო, რომ „ფლეიპენზე“ მნახველები ქსელის დახმარებით შედიოდნენ, გამოძიება ჩიხში შევიდა და სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს ზუსტი აიპ-მისამართების დადგენა. სწორედ ამიტომ გფბ-ს თანამშრომლებმა თხოვნით მიმართეს ვირჯინიის შტატის აღმოსავლეთ რეგიონის მოსამართლე **ტერეზა ბუჩანანს** ორდერის გამოსაწერად, რომლის მშვეობითაც შემდგომში შეძლეს სერვერების გატეხვა. „გფბ-ს ისტორიაში აქამდე არასდროს მომხდარა მგავსი ტოტალური დაუდევრობა იურიდიული ორდენის გამოყენების მიმართ“, — ხაზს უსვამს სახალხო დამცველი **კოლინ ფიმანი** საქმეზე წარმოებული გამოძიების შეფასებისას.

გარდა გატეხილი სერვერებისა, გფბ-მ აწარმოა ჰაკერული თავდასხმები კომპანიაზე, რომელიც ფიგურირებდა „თანამგზავრული პროვაიდერის“ დოკუმენტებში. ბუჩანანის მიერ გაცემული ორდერი, რომელსაც გფბ ჰაკერული თავდასხმებისთვის იყენებდა, არღვევს ამერიკის ფედერალური ბიუროს განაწესს. საქმე გამოძიებისთვის ამჯერად გადაეცა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894